DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Gobejishvili,G. / გობეჯიშვილი,გ. / Гобеджишвили, Г. Ф.
- Title: თეთრიწყაროს ნასოფლარი / Целище Тетри Цкаро
- Publication Date: 1978
- Publisher: Georgian National Academy of Scineces , GNM Archaeological center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_cefec12321

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

[illegible]

[illegible]

«ნაკადული»

IVE
3819

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გერმანე გოგეჯიშვილი

თეთრი წყაროს ნასოფლარი

„მეცნიერება"
თბილისი — 1978

902.6(с 41)
202.6(47.922)
გ 582

ნაშრომში ჭვეყნდება თეთრი წყაროს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნასოფლარისა და სამარხების გათხრისას აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. ძვ. წ. IV—III ათასწლეულის კულტურული ფენების თანდათანობითი განლაგების დადასტურებამ საფუძველი მისცა ავტორს დაედგინა ერთიანი კულტურის განვითარების თანმიმდევარი, წარმოშობით ერთმანეთთან დაკავშირებული ორი საფეხური, რაც ილუსტრირებულია ღია და შავპრიალა კერამიკის უმცროს-უფროსობის დოკუმენტური მაჩვენებლებით.

აღმოჩენილი მასალის უძველესი ნიმუშები ოდიშისა და კისტრიკის ნეოლითური კომპლექსების სინქრონულად არის მიჩნეული. ამ ქრონოლოგიურ კავშირს შესაძლოა გენეტური საფუძველიც ჰქონდეს. ამ ორი უძველესი კერის მასალებში შესამჩნევი სხვაობა ახსნილია ლოკალური თავისებურებებით, რაც ბუნებრივია კავკასიური ცივილიზაციისათვის. ასეთ ფონზეა ნაჩვენები წინამდებარე ნაშრომში საქართველოსა და კავკასიის ნეოლითის, ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის კულტურების გენეტური კავშირი.

თეთრი წყაროს ნასოფლარის არქეოლოგიურ ძეგლებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისისა და საქართველო-კავკასიის მკვიდრ მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა ისტორიის უძველესი მონაკვეთის კვლევისათვის.

ნაშრომს საგანგებო ინტერესით შეხვდებიან ენეოლით-ადრებრინჯაოს კულტურის — კავკასიური ცივილიზაციის ამ უძველესი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტის მკვლევრები.

რედაქტორი ანდრია აფაქიძე

გ 10602 / M 607 (06)—78 202—77

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977

წინასიტყვაობა

„თეთრი წყაროს ნასოფლარი“ გერმანე გობეჯიშვილს დაუმთავრებელი დარჩა. ამ ნაშრომის უდიდესი ნაწილის გადაბეჭდვა ავტორს მოუსწრია, მაგრამ ტექსტს საბოლოო ჩასწორება-რედაქციაც აკლდა და დასკვნითი ნაწილიც. ავტორის არქივში აღმოჩნდა დასკვნითი ნაწილის ფრაგმენტები, რომლებიც თითქმის სრულად ასახავდნენ მონოგრაფიის ძირითად დებულებებს. ამიტომაც გადაწყდა ამ ფრაგმენტების გაერთიანება და დართვა გამოკვლევისადმი. ეს, საკმაოდ რთული სამუშაო იკისრა განსვენებული მეცნიერის ყოფილმა ასპირანტმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გურამ მირცხულავამ. მასვე დაეკისრა ნაშრომის სქოლიოების შედარება-შევსება, ნახაზებისა და გეგმა-ჭრილების შედარება ტექსტთან, ტაბულების დიდი ნაწილის მითითებათა დაზუსტება და მათი აღწერილობის შედგენა.

ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც ქვეყნდება და განხილულია ქვის იარაღები თუ სხვა საგნები და ნივთები ავტორისეულ დედანს შეადარა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გურამ გრიგოლიამ. მასვე მოუხდა სათანადო საილუსტრაციო მასალის მოწესრიგება, ტექსტთან შედარება და მითითებათა შემოწმება-დაზუსტება.

ამ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებას, რა თქმა უნდა, წინ უძღოდა დიდი ლაბორატორიული მუშაობა როგორც თბილისში, ასევე თეთრ წყაროში. ამ სამუშაოს ჩატარებაში გურამ მირცხულავასა და გურამ. გრიგოლიასთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანე გობეჯიშვილის ყოფილ ასპირანტს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს გურანდა ფხაკაძეს. ზემოთ დასახელებული სპეციალისტების გარდა, წინამდებარე მონოგრაფიის გამოსაქვეყნებლად მომზადებისათვის საილუსტრაციო ნაწილის მოწესრიგებაზე, მასალის კამერალურ დამუშავებასა და ტექსტის კორექტურაზე ბევრი იმუშავა განსვენებულის ვაჟიშვილმა, ინსტიტუტის ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელმა გელა გობეჯიშვილმა.

წიგნის გრაფიკულ ილუსტრაციას საფუძვლად უდევს, ბუნებრივია, საველე ჩანახაზ-ჩანახატები, გეგმები, ჭრილები და სხვ. ველზე შესრულებული საილუსტრაციო მასალების გამოსაცემად მომზადების რთული და შრომატევადი სამუშაო იტვირთა ხუროთმოძღვარმა მანუჩარ ყარაშვილმა; მასვე მოუხდა იმ გეგმებისა და ნახაზების დაზუსტება-გადათეთრებაც, რომლებიც შესრულებული იყო ველზე, ექსპედიციის მუშაობის პროცესში. საველე გრაფიკული ფიქსაცია ეკუთვნის ვასილ კანდელაკს, იოსებ მესხს, ნანა ბოტკოველს.

გერმანე გობეჯიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის გამოსაცემად საჭირო მასალას სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კომისია მეცნიერებათა დოქტორის ტარიელ ჩუბინიშვილის თავმჯდომარობით. განსვენებული

მეცნიერის არქივის გაცნობის შემდეგ გამოიყო სარედაქციო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა გეგმა მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომების გამოსაცემად.

„თეთრი წყაროს ნასოფლარიც“ სწორედ ამ გეგმით არის მომზადებული. ამას გარდა უკვე მზად არის გამოსაცემად „ბედენის გორასამარხები“, „რიონის სათავეების მხატვრული ხელოსნობის ძეგლები“ და სხვ.

გერმანე გობეჯიშვილის ხელნაწერ ნაშრომთა გაცნობა ნათელყოფს, რომ მის ავტორს, დიდმნიშვნელოვანი საველე-საძიებო და გათხრითი სამუშაოების განხორციელებასთან ერთად, დიდი ყურადღება დაუთმია და ენერგიულად მოჰკიდებია მისივე ხელმძღვანელობით მომუშავე ექსპედიციების მიერ გამოვლენილ ძეგლთა (მეტწილად პირველხარისხოვანი არქეოლოგიური მასალების) მეცნიერულად გამოკვლევისა და გამოსაცემად მომზადების საქმეს. ყველაფერი ეს გერმანე გობეჯიშვილს უკეთებია მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული სიღრმითა და კეთილსინდისიერებით.

გერმანე გობეჯიშვილის მონოგრაფიების გამოქვეყნება დიდად მნიშვნელოვანია საქართველოს არქეოლოგიის განვითარების აწინდელ საფეხურზე. მისი გამოკვლევები შეუწყობს ხელს ქართველოლოგიისა და კავკასიური ცივილიზაციის არაერთი დღემდე მცირედ გამოკვლეული ან ბნელით მოცული საკითხისა თუ პრობლემის ახლებურად გადაწყვეტას. ამ პრობლემის კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თეთრი წყაროს ნასოფლარის გათხრისას გერმანე გობეჯიშვილის მიერ შენიშნული ორი, ქრონოლოგიურად უშუალოდ ერთიმეორის თანმიმდევარი კულტურული ფენა. პირველი, ე. ი. უძველესი, ავტორმა მიაკუთვნა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრინდელ საფეხურს, ხოლო მეორე — ამ კულტურის შუა და გვიანდელ მონაკვეთებს. მეორე საფეხურზე განაგრძობს არსებობას უძველესისათვის დამახასიათებელი ვარდისფერ სარჩულიანი თიხის ჭურჭელი, თუმცა სულ უფრო მკაფიო ხდება ახლადაღმოჩენილი შავპრიალა კერამიკის უპირატესობა. უძველესის თანდათან გადასვლა მომდევნო საფეხურზე და მათ შორის სტერილური ფენის არარსებობა ავტორს საფუძვლიანად მიუჩნევია იმის დამადასტურებლად, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ეს ელემენტები ადგილობრივ ჩანს წარმოქმნილი, ე. ი. აბორიგენულია.

სხვა დეტალებზე რომ არაფერი ითქვას, ზემოაღნიშნულიც საკმაოდ მკაფიოდ გვიჩვენებს თეთრი წყაროს ენეოლით — ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის გათხრისას აღმოჩენილი მასალისა და გერმანე გობეჯიშვილის დასკვნების მნიშვნელობას მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისის საკითხების კვლევისათვის. მტკვარ-არაქსის კულტურა კი კავკასიური ცივილიზაციის ბრწყინვალე კომპონენტია, სულ ცოტა ხუთი ათასი წლის წინ.

ამავე რიგისაა თავისი მეცნიერული ღირებულებით უძველესი ოთხკუთხა სახლების, მესაქონლე ტომთა საზაფხულო სადგომების — აწანგვარას ტიპის ნაგებობების, მიწათმოქმედთა საყანო ნაკვეთებისა თუ ნეოლით-ენეოლითის ხანის კაჟის იარაღ-ხელსაწყოთა საკეთებელი სახელოსნოს ნაშთების აღმოჩენა სოფიოსეულის გათხრისას. ყველაფერი ეს აწინდელ დონეზე კავკასიის ცივილიზაციის ისტორიის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს.

სპეციალისტები და, საზოგადოდ, ჩვენი ფართო საზოგადოებრიობა კმაყოფილებით მიიღებენ გამოჩენილი მკვლევრის, ღვაწლმოსილი თანამემამულის ღირსეულ წვლილს საქართველოს უძველესი ისტორიისა და კულტურის, კავკასიის ცივილიზაციის პრობლემების კვლევის საქმეში.

ა. აფაქიძე

ნასოფლარის გუნებრივი გარემო და გათხრილი ძეგლების ხასიათი

საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, თუ სად დაირწა აკვანი ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურისა და რა მიმართულებით წარიმართა მისი განვითარების ხაზი, გარკვეულ შუქს ჰფენს მასალები, რომლებიც აღმოჩენილია თეთრ წყაროსთან, ძველი ნასოფლარის გათხრების შედეგად (სურ. 1).

ეს ნასოფლარი მდებარეობს ტყიან მასივში რაიონული ცენტრიდან $5^1/_2$ კმ-ის დაშორებით, დასავლეთით, ბედენისაკენ მიმავალი გზის ხელმარცხნივ. მისი აღმოჩენის გარემოება ასეთია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციას, ნიკო ბერძენიშვილის მეთაურობით, 1952 წ. თეთრი წყაროს რაიონში მიუკვლევია გორასამარხთა ორი ჯგუფი, რომელთა გათხრა 1956 წ. დაევალა იმავე ინსტიტუტის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ექსპედიციას. ერთ-ერთ ამ ჯგუფში, სხვათა შორის, შედიოდა ადგილ „სოფიოსეულში“ აღმართული დიდი ქვაყრილიც — 4 მ სიმაღლისა და 60 მ დიამეტრის მქონე, „კრატერიანი“ გორასამარხი (ტაბ. I). უკვე ერთი წლის შემდეგ, 1956 წ., როცა მისი გამოკვლევა დაიწყო, ქვაყრილისაგან მხოლოდ 1 მ სიმაღლის ფუძე-ღა იყო დარჩენილი. თეთრი წყაროს მოსახლეობას უკვე მოესწრო ქვაყრილის უდიდესი ნაწილის მოხსნა და მშენებლობაზე გამოყენება. ფუძის ყრილში შავი მიწაც ბლომად ერია, ხოლო მიწაში — ობსიდიანის ნატეხები, ამ მასალისა და კაჟის იარაღები, წარმოების გადანაყარი და წვრილად ჩაფხვნილი კერამიკაც. ქვის ინდუსტრიის ყველა ნაშთი ძლიერ არქაულ იერს ატარებდა მაშინ, როცა კერამიკულ მონაპოვარში თვალსაჩინო სიჭრელე იყო კეცის მიხედვით; ზოგიერთი ნატეხი მოგვაგონებდა იმხანად ცნობილ ენეოლითურ ნასახლართა თიხის ჭურჭლეულს, ზოგიერთს, მათთან შედარებით, კიდევ უფრო არქაული იერი ჰქონდა, მაგრამ აქა-იქ, განსაკუთრებით ქვაყრილის ცენტრში, შეიკრიბა შუა საუკუნეთა მოჭიქული ჯამების ცოტაოდენი ნატეხებიც. გორასამარხის მიმდგომ ფართობთა შემოვლისას, ექსპედიციის ყურადღება მიიქცია უამრავმა დაბალმა და გრძელმა ქვაყრილმა და რამდენიმე ადგილას დედამიწის ზედაპირზე ამოჩრილმა დიდმა ლოდებმა, რომლებიც თითქოს წესიერი წყობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ერთიმეორის მოშორებით ჩათხრილ ოთხ შურფში თავი იჩინა ქვის ინდუსტრიის ბევრმა ნაშთმა და კერამიკულმა მასალებმა.

ის კითხვა თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს, ბოლოსდაბოლოს, სწორად აიხსნა: ობსიდიანის ნატეხები გორასამარხზე შეიძლებოდა მიმოებნიათ ჩვენთვის უცნობი წესის შესასრულებლად, ანდა მას შემდეგ, რაც ისინი გამოიყე-



სურ. 1 — გათხრების საერთო გეგმა (ტოპოსაფუძველზე)

ნეს სარიტუალო სისხლის გამოსაშვებ იარაღებად — როგორც ტყვიავის მასალების მიმართ წერდა ს. მაკალათია[1]. გორასამარხის ყრილისათვის შეეძლოთ გამოეყენებინათ რომელიღაც ნაგებობების ნანგრევებიდან მოტანილი ქვის ლოდები; აგრეთვე, კულტურულ ფენებში მოჩრილი მიწაც, რომელსაც უნდა თან მოჰყოლოდა ძველი ჭურჭლების ნატეხები და სხვა მასალა: ფეოდალური პერიოდის კერამიკის იქ გაჩენის ასახსნელად რჩებოდა ორი შესაძლებლობა: მოჭიქული ჯამები შეიძლებოდა დამტვრეოდათ გორასამარხის ქვაყრილზე

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1940, გვ. 41—42, შენ. 1.

ასულ უცნობ პირებს (სულ ერთია, მწყემსები იყვნენ ისინი, თუ იმ საოცარი ქვათა გროვის სანახავად იქ მისული ცნობისმოყვარენი), ან მძარცველებს, რომელთაც, შესაძლოა, ეკუთვნოდათ ქვაყრილის ცენტრში 1952 წ. შენიშნული ძაბრისებრი დიდი ორმო, „მდიდრულ საფლავში ჩასაძრომად ამოთხრილი“, — როგორც ფიქრობდა ამ ძეგლის პირველადმომჩენი ნ. ბერძენიშვილი. ჰურჭლის ნატეხებს ორივე შემთხვევაში შეიძლებოდა დროთა განმავლობაში ჩაეღწია ქვებს შორის დარჩენილ ფარღიატებში და ამნაირად მოხვედრილიყო საკმაოდ ღრმად. ჯერ კიდევ ღიად დარჩა წაგრძელებულ ქვაყრილებთან დაკავშირებული საკითხები, რაც ვიმედოვნებდით, გათხრის შემდეგ გაირკვეოდა. ერთი რამ მაინც თითქოს საკმაოდ ნათელი იყო: გრძელ ქვაყრილთა უმეტესობა შეიმჩნეოდა გორასამარხის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, საითკენაც დახრილია თვით რელიეფი; იგი თითქმის არ ჩანდა დასავლეთით ვაკეზე, და სრულიად არ შეიმჩნეოდა ჩრდილო მხრისკენ, საითკენაც შეინიშნება არც თუ მაინცადამაინც მკვეთრი აღმართი. ქვაყრილების განლაგების ამ სურათმა და რელიეფმა გვაფიქრებინა, რომ ჩრდილო და დასავლეთ მხარეებზე ოდესღაც არსებული ქვაყრილები შეიძლებოდა მოეშალათ და გამოეყენებინათ გორასამარხის სამშენებლო მასალად. იქიდან გაცილებით უფრო იოლი იქნებოდა ქვების მოზიდვა, ვიდრე ქვემოდან.

ძეგლთა წინასწარ გაცნობის შემდეგ დაისახა გათხრების ჩატარების ზოგადი გეგმა: მთლიანად უნდა გამოგვეკვლია გორასამარხიდან გადარჩენილი ქვების ყრილი, მის ქვეშ მდებარე ძეგლები და კულტურული ნაშთების შემცველი ფენა (თუ ასეთები დაგვხვდებოდა); უნდა გათხრილიყო თუნდაც ერთი ან ორი გრძელი ქვაყრილი; უნდა მოსინჯულიყო გორასამარხის დასავლეთით მდებარე ვაკე, რომელზედაც წესიერ მწკრივად განლაგებული ქვების თავები შეინიშნებოდა. გასათხრელი ფართობები 5-5 მეტრიან კვადრატებად დაიყო. ძეგლის უდიდესი შემაღლება დედამიწის ზედაპირიდან წარმოადგენდა ნულ წერტილს. მონაპოვარი აღირიცხებოდა საველე წიგნში კვადრატის ნომრის, აღმოჩენის ზუსტი ადგილისა და სიღრმის ჩვენებით. ფიქსაციისათვის ძირითადად გამოყენებული იყო ფოტოგრაფია; ხუროთმოძღვრული ნაშთებისათვის, ამასთან ერთად, კეთდებოდა ჩანახატები და გრაფიკული ჩანახაზები. საველე დღიურებში მოცემულია ყოველდღიური სამუშაოს აღწერილობა. ყოველი არქეოლოგიური კამპანიის შემდეგ იმავე წელს, ან მომდევნო წლის პირველ თვეებში წარმოებდა მონაპოვრის კამერალური დამუშავება და იწერებოდა მეცნიერული ანგარიშები[2], რომლებიც განსახილველად გადიოდა სამეცნიერო სესიებზე.

სოფიოსეული ითხრებოდა ძირითადად 1956—58 წლებში, ყოველ წელიწადს 2-3 თვის განმავლობაში; მცირე მასშტაბის გათხრა ჩატარდა 1959 წლის სეზონის ბოლოს. გათხრის შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები მოწმობენ, რომ ამ ადგილზე ლითონის ხანის დასაწყისში არსებობდა იმ პერიოდისათვის დიდი სოფელი, რომელიც მოსახლეობამ მიატოვა ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო. უფრო გვიან, სავარაუდოა — ადრინდელი ბრინჯაოს

---

[2] გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1956—1958 წწ. ანგარიშები (ხელნაწერები დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის არქივში); აგრეთვე, იხ.საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები, თბ., 1959, გვ. 9—10.

ხანის დასასრულში ან შუა ეტაპის დასაწყისში ნასოფლარის აღმოსავლეთ კიდესთან ახლოს დაუკრძალავთ რომელიღაც წარჩინებული და მის საფლავზე აღუმართავთ დიდი ქვაყრილი. როგორც ჩანს, ფეოდალურ ეპოქაში ეს საფლავი გაუძარცვავთ; შემდგომში იქ, რაიმე დიდი მასშტაბის მშენებლობის კვალი აღარ ჩანს.

განათხარი ძეგლების დაწვრილებით გაცნობამდე, საჭიროდ ვთვლით რამდენიმე სიტყვით გადმოვცეთ ნასოფლარის ტოპოგრაფია და ის ბუნებრივი პირობები, რომელშიც უხდებოდა მოსახლეობას მეურნეობისა თუ კულტურის განვითარება.

ნასოფლარის მთელი ფართობის ზომა საბოლოოდ დაზუსტებული არ არის. არაზუსტი მონაცემებით ის ვრცელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით 150 მეტრის მანძილზე, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ — სულ ცოტა, ას მეტრზე მაინც. დასავლეთითა და აღმოსავლეთით თითქოს ბუნებრივ ზღუდეებად ჩამოუდის მშრალი ხევები, რომელთაც კლდის მასივში გაუჭრიათ ღრმა კალაპოტი; პირველი უშუალოდ ეკვრის ნასოფლარს, მეორე კი მისგან 500-ოდე მეტრის მანძილზეა. ხევებში წყალი მხოლოდ გაზაფხულზე და შემოდგომით მოედინება, აგრეთვე, წვიმიან ზაფხულშიაც. ცოტა უფრო შორს (დაახლოებით $1^1/_2$ კმ) აღმოსავლეთით, ამათებრ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიედინება შედარებით უფრო წყალუხვი ჰივჰავის ხევი. მთელ რაიონში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გემრიელი და ცივი „არსენას წყარო“ ნასოფლარიდან ერთ კილომეტრზე მდებარეობს, აღმოსავლეთით. თვით ნასოფლარზე ვაკე ადგილას ერთი პატარა ჭაობია, რომელშიც ძველად შესაძლოა, წყარო დიოდა. მოსახლეობის მომარაგება სამეურნეო და სასმელი წყლით, ამგვარად, რთული პრობლემა არ იქნებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ნასოფლარი დევს ტყის მასივში, რომელშიც შიგადაშიგ პატარ-პატარა ამწვანებული ველებიცაა. ტყე მთლიანად ფოთლოვანია— უმეტესად მუხა და რცხილა, შემდეგ — კუნელა, შვინდი, პანტა, მაჟალო და სხვ. ტყიანი იყო თუ უტყეო ეს ადგილი როცა იქ ძველი მოსახლეობა არსებობდა, ამ საკითხს შეიძლება შუქი მოჰფინოს ნიადაგში შემონახულ მტვრიანათა ლაბორატორიულმა გამოკვლევამ.

იქაური ნიადაგი შავი ჰუმუსური თიხნარია. მისი სიმძლავრე ყველა უბანზე ერთნაირი არ არის; ალაგ-ალაგ იგი 1—$1^1/_2$ მეტრამდე აღწევს, სხვაგან 30—50 სანტიმეტრით განისაზღვრება. მის ქვეშ ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება გარდამავალი მოყავისფრო თიხების ფენა, ზოგჯერაც ის პირდაპირ ებჯინება ვულკანური წარმომავლობის ანდეზიტ-ბაზალტებით წარმოდგენილ კლდეს, რომელიც მთელი ქვემო ქართლის ზეგანს ახასიათებს. ეს კლდე აქა-იქ შიშველია, ატმოსფერული მოვლენებით დაბზარული ან მთლად დაშლილი. მოსახლეობას ეს ბაზალტები უხმარია მშენებლობაზეც და, აგრეთვე, სხვადასხვაგვარი იარაღების დასამზადებლად; ამ ქვებისაა, მაგალითად, ნავისებრი ხელსაფქვავები, როდინები, გრდემლები, ხელკვერები, საბეგველები, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა საძირკვლები; იგივე ქვები შეადგენდა გორასამარხის ყრილის ძირითად ნაწილს და მათგანვეა დაზვინული წაგრძელებული ქვაყრილები.

ნასოფლარის სიმაღლე ზღვის დონიდან 1300 მეტრია. როგორც ქვემო ქართლის მთელი ზეგანი, ეს ადგილიც ბუნებას მშვენიერებით შეუმკია. ჰავა გრილი და ჯანსაღია. იქაც და მის მეზობელ მიდამოებშიც ყოველგვარი პირობაა მეურნეობის მოსაწყობად; მახლობლად ძევს ნაყოფიერი სახნავ-სათესი

ნაკვეთები, საძოვრები და სათიბები; ჩრდილოეთისკენ თუ შევუყვებით, დააწლოებით მე-15 კილომეტრზე დაიწყება სათიბ-საძოვრით სახელგანთქმული ბედენის ველი. სამხრეთით ნასოფლარი გადაჰყურებს ქციას — ხრამის ხეობას, რომლის აღმოსავლეთ ნაწილს შეადგენს მებაღეობა-მებოსტნეობით ცნობილი ქვემო ქართლის ვრცელი დაბლობი. აქ თოვლი იშვიათად თუ მოდის ხოლმე და, ამიტომ, ის საზამთრო საძოვრადაც გამოდგებოდა. ხრამის ჭალებზე უამრავია კაჟის ლოდები, რომელთაგან ნაირ-ნაირი საჭურველი და სამეურნეო იარაღი მზადდებოდა. უხვადაა საჭურჭლე თიხაც. ამ მდინარის მარჯვენა შენაკადთა რაიონში დევს სპილენძისა და რკინის მადნის საბადოები. დასავლეთიდან თეთრი წყაროს რაიონს ეკვრის თრიალეთის დიდი ზეგანი, სადაც ხშირია ობსიდიანის გამოსავლები.

ეს ბუნებრივი პირობები, უეჭველია, უძველეს დროშიც ხელს უწყობდა მოსახლეობის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას, რომლის შესწავლას ეძღვნება ჩვენი ნაშრომი.

* * *

გათხრა დაიწყო გორასამარხის ყრილის ნაშთის ფენობრივი აღებით; წინასწარ მისი ზედაპირი განთავისუფლდა მიწისაგან (ტაბ. II). წმენდის პროცესში ნაპოვნია სხვადასხვა დროის მასალები: მოჭიქული კერამიკის რამდენიმე ნატეხი და გაცილებით უფრო ძველი ნაშთები (როგორიცაა ანდეზიტ-ბაზალტისგან დამზადებული ნავისებური ხელსაფქვავები და როდინების ნატეხები ობსიდიანისა და კაჟის აურაცხელი ნატეხები, ანატკეცები და რამდენიმე მზა იარაღი, ვარდისფერი, მოყვითალო და შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები).

თვით ქვაყრილშიც განმეორდა ეს სურათი, იმ განსხვავებით, რომ იქ აღარ იყო არც ჩვენი დროისა და არც ფეოდალურ საუკუნეთა მასალები. გარდა წვრილმანი ნივთებისა, ქვაყრილში ხშირად მოჰყოლია როდინები და ხელსაფქვავები. ნასოფლარის თანადროულ მონაპოვრებზე უფრო ახალგაზრდა მასალებიდან შეიძლება დავასახელოთ გვიანი ანტიკური ხანის ოქროს საკიდი ცისფერი თვლით; გვიანდელი ბრინჯაოს ხანის თიხის ქოთანი და ბრინჯაოს სამაჯურები — აღმოჩენილი ყრილის ჩრდილო-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაპირებთან. პირველი შეიძლება შემთხვევითი ნივთია, ხოლო მეორე — ალბათ, ჩაშვებული საფლავის ინვენტარის ნაწილია.

როცა ქვაყრილი მთლად მოიხსნა, მისგან დაკავებული წრიული მოედნის შუაგულში აღმოჩნდა კლდეში ამოკვეთილი ორმო, შემდგარი ორი დიდი და მცირე — განყოფილებისაგან (ტაბ. III-1). ესაა უეჭველად ფეოდალურ ეპოქაში გახსნილი და გაძარცული საფლავი იმ პირისა, ვის სახელზედაც 4 მეტრი სიმაღლისა და 60 მ დიამეტრის მქონე ქვაყრილი აუზიდავთ. სამარხი გამართულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ქვებით და შავი მიწით ამოვსებულ სამარხ ნაგებობაში ნაპოვნია ადრეული ბრინჯაოს ხანის შავპრიალა და ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ორი ნატეხი, სპილენძის მცირე ღერაკი, აგრეთვე, ბევრი დანახშირებული წაბლი და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი. დადასტურდა, რომ ძაბრი ან კრატერისებრი დიდი ორმო, რომელიც ქვაყრილში ნ. ბერძენიშვილს 1952 წ. შეუნიშნავს, წარმოადგენდა იმ ხვრელის ნაშთს, რომელიც მძარცველებს უნდა ამოეთხარათ.

სამარხის ირგვლივ, ვრცელ მოედანზე, ყრილის აღების შემდეგ დარჩა კულტურული ნაშთებით გაჯერებული შავი მიწა და მოზრდილი ნაგებობის დიდი ლოდებით ამოყვანილი საძირკვლები, რომლებიც დღესაც ურღვევად დგას კლდეში ნაკვეთი ორმოს დასავლეთით (ტაბ. III-2; სურ. 2). აღნიშნული



სურ. 2 — № 1 გორასამარხის ტოპოგეგმა, დაყოფილი კვადრატებად

შავი მიწა განამარხებული ნიადაგია, რომელიც ადევს ვულკანურ ქანს. ნიადაგის და, მაშასადამე, კულტურული ფენის სისქე დიდი არაა, ის 10—40 სანტიმეტრით განისაზღვრება. მის გამოჩენას ესჭვედიცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვინაიდან იმედოვნებდა, რომ აქ შეხვდებოდა გორასამარხის ყრილისაგან დაურღვეველად დაცულ სტრატიგრაფიას, რომელიც გარეთ მდებარე ფართობებზე, ერთი გამონაკლისის გარდა, არსად არ იყო თვალსაჩინო. ეს იმედი, სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა: ჩრდილო სექტორის რამდე-



სურ. 3 — № 1 ლორასაბარხანის ჭრილი: № 1 — ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ; № 2 — დასავლთიდან აღმოსავლეთისაკენ

ნიმე კვადრატში შეინიშნა, რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტად შემონახული თიხატკეპნილი იატაკით ერთმანეთისგან გათიშული ორი სხვადასხვა ფერის კერამიკა ერთმანეთის თავზე იყო განლაგებული, მაგრამ მათ შორის სტერილური მიწის ფენა არ წარმოქმნილა (ტაბ. IV-1). ეს ფაქტი ალბათ იმას გვაუწყებს, რომ სოფლის ცხოვრება უწყვეტად ვითარდებოდა, მაგრამ მისი სიცოცხლის მთელ მანძილზე გარკვეული ცვლილება მოხდა კერამიკულ წარმოებაში.

ქვედა შრეს, რომელიც შეიცავდა ოქროსფერ, მოყვითალო და მოვარდისფრო, თანაც ზოგჯერ ბზენარევი ჰურჭლის ნატეხებს, საველე მუშაობის ანგარიშებში „A“ დონის სახელწოდებით ვიხსენიებთ, ხოლო ზედას, რომელშიც ღია ფერის ნატეხებთან ერთად შავპრიალა და რელიეფურ ხვიებიანი ჰურჭლეულია, „B“ დონე აქვს შერქმეული. ამ საკითხს ქვემოთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით.

სხვათა შორის, საჭიროდ ვთვლით იმის აღნიშვნას, რომ ყრილქვეშ მდებარე ფართობის ზოგ ნაწილში ნიადაგი სულაც არ იყო; ყრილი პირდაპირ კლდის მასივზე მდებარეობდა. იმთავითვე ასეთი იყო ვითარება, თუ ნიადაგი ყრილის მშენებლებმა ახვეტეს ქვებს შორის დარჩენილი ხვრელების ამოსავსებად, ეს კითხვა კვლავ ღიად დარჩა.

როცა ექსპედიცია კულტურული ფენის პრეპარაციას შეუდგა, მთელ ფართობზე გამოვლინდა თიხატკეპნილი და საგანგებოდ გამომწვარი იატაკების ნაწყვეტები, შავ ნიადაგზე საგულდაგულოდ მოგებული (ტაბ. IV-2). არც ერთი სრულად შემონახული იატაკი არ შეგვხვედრია; ზემოხსენებული ქვის ნაგებობის ჩრდილოეთით გაწმენდილი იატაკი ყველაზე უფრო მოზრდილია (5×3 მ), მაგრამ ისიც მხოლოდ ფრაგმენტია და არა სრული. ეს ფრაგმენტი შედის მეტად მნიშვნელოვანი წრიული გეგმის ნაგებობის ქვეშ (ტაბ. V-1) და ზედ გადადის ამ ნაგებობის ქვეშ მოქცეულ ქვაფენილებზე. რა თქმა უნდა, ამ ძეგლების ურთიერთობა სტრატიგრაფიის საკითხების გარკვევისათვის ძალიან დიდმნიშვნელოვანია.

გორასამარხის ყრილქვეშ მდებარე ფართობის გათხრას, რომელმაც თიხატკეპნილი იატაკები და ქვის ორი ნაგებობის ნაშთი-მოგვცა (სურ. 4), თან მოჰყვა შედარებით წვრილი საგნების აღმოჩენა. ესენია მთელ ფართობზე გაფანტული აურაცხელი კერამიკული ნატეხები, სამწუხაროდ, ქვაყრილისაგან ჩალეწილი და თითქმის დაფხვნილი ისე, რომ ჰურჭლის ფორმების წარმოდგენა (ძლიერ იშვიათ გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში), არც კი ხერხდება; ესაა ქვის ინდუსტრიის ნედლი მასალა, მზა პროდუქცია და იარაღების კეთების დროს დარჩენილი ანატკეცები; მასშივე შედის ცხოველთა ძვლები, გადამწვარი ხორბლის ნაშთები და სხვ. (ტაბ. V-2). ისინი დაუფასებელ დახმარებას გვიწევს ნასოფლარის ოდინდელი მოსახლეობის მეურნეობისა და კულტურის საკითხების გაშუქებაში.

გორასამარხის დასავლეთით, სამხრეთით და, უფრო ნაკლებ, აღმოსავლეთით, უამრავი წაგრძელებული, იშვიათად კი მომრგვალებული ქვაყრილია (იხ. ნასოფლარის ტოპოგრაფიული გეგმა). ბევრი მათგანი დედამიწის ზედაპირზე ჩანს. ხევთაშუა ტერიტორიის დასავლეთ ნაწილს ქვაყრილები ჰყოფს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაწოლილ ვიწრო ზოლებად, რომლებიც ერთი შეხედვით მოგვაგონებს კერძო პირთა პატარა-პატარა სახნავ ნაკვეთებს, ხოლო ყრილები — ამ ნაკვეთების გამთიშველ მიჯნებს. პირველ ხანებში ჩვენც ვფიქრობდით, რომ ქვაყრილები წარმოიშვა ძველი სოფლის



სურ. 4 — ქვაყრილის ქვეშ მდებარე ნაგებობათა ნაშთები

გავერანებიდან დიდი ხნის შემდეგ, რკინის სახნისის ეპოქაში, როცა ნასოფლარი შეიძლებოდა სახნავ ადგილად გადაექციათ. ასეთი ახსნა ემყარებოდა ყრილთა შორის მოქცეულ რამდენიმე ზოლში, საცდელ თხრილებში გამოვლენილი უძრავი ქვების ზედაპირზე შენიშნულ არაერთ ნაკაწრს (ტაბ. VI-1), მიმართულს ყველა შემთხვევაში ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ეს ნაკაწრები მივიჩნიეთ რკინის სახნისის ნაკვალევად. ნასოფლარის სახნავ-სათესად გადაქცევის წინ, ცხადია, ფართობი უნდა გაეწმინდათ მრავალრიცხოვან ნანგრევთაგან; ამ პროცესში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ქვაყრილები. თუმცა ნასოფლარის კულტურული ფენების მნიშვნელოვანი აშლილობა და ახლახან მოხსენიებული ნაკაწრები, ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს ადგილი რკინის ხანაში (უფრო მეტად ფეოდალურ ეპოქაში) მუშავდებოდა, მაგ-

რამ არქეოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთ შედეგს თუ დავეყრდნობით, ჩვენი პირველი ვარაუდი ქვაყრილების წარმოქმნის დროზე, სწორი არ არის. აღმოჩნდა, რომ დაკაწრულია არა მარტო „სახნავ“ ზოლებში მდებარე ქვები, არამედ იმ ყრილების ზედა ფენის ზოგიერთი ქვაც, რომლებიც მიწაშია დამარხული. ეს თითქოს საკმარისი საბუთია ქვაყრილების თარიღის გადასაწევად რკინის ხანის უწინარესი დროის სიღრმეში, ვინაიდან მტკიცდება, რომ ეპოქაში, როცა ნასოფლარის ტერიტორიას ხნავდნენ, ისინი უკვე მიწის სიღრმეში მდებარეობდა. მაგრამ სინამდვილეში ეს საბუთი მეტად სუსტია, რადგანაც გამორიცხულად არ ჩაითვლება შესაძლებლობა, რომ ყრილებს მიწა გადაეფარა სამიწათმოქმედო სამუშაოთა რომელიღაც ადრეულ მონაკვეთზე, ხოლო უფრო გვიან—მათ ზედაპირზე გამავალ სახნისს შეეძლო კვალი დაეჩნია ქვებისათვის. გაცილებით უფრო სარწმუნოა სხვა საბუთი, კერძოდ, გათხრილ ყრილებში აღმოჩენილი უძველესი ნივთიერი კულტურის ბევრი ნაშთი, მათ შორის ისეთი წვრილი საგნებიც, რომლებსაც მხვნელ-მთესველნი არ შეკრებდნენ იმ განზრახვით, რომ მათგან გაეწმინდათ სამიწათმოქმედო ნაკვეთები. გარდა ამისა, ქვემოთ ვნახავთ, რომ ერთ-ერთ ყრილქვეშ თავი იჩინა ძველი შენობის ქვის საძირკველთა მცირე ნაშთმა. მეორეში კი — თიხატკეპნილი იატაკის ნაშთებმა და მთლად ჩამსხვრეულმა თიხის კერამ, რაც აქ ადამიანის ცხოვრების დროინდელია. საბუთები მიუთითებს, რომ ზოგიერთი ქვაყრილი მაინც წარმოადგენს რკინის ხანაზე ადრინდელი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ძვირფას ნათშებს, რომელთა შემდგომი გათხრა-შესწავლა ქართული არქეოლოგიის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ქვაყრილთა უმეტესობა სიმაღლით 0,4—0,8 მეტრია, სიგანით—2,—5 მ, ხოლო სიგრძით—10—40 მ და ზოგჯერ მეტიც. დანარჩენთაგან გამოირჩევა ზღუდისებური ერთი ქვაყრილი, რომელიც მდებარეობს ნასოფლარის სამხრეთ ნაპირზე. ის იწყება დასავლეთი ხევის ფლატე ნაპირთან, მიხვეულ-მოხვეულად გასდევს ნასოფლარის სამხრეთ საზღვარს სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით, გორასამარხის გასწვრივ ფერდობზე სამხრეთისაკენ იბრუნებს პირს, ოციოდე მეტრის მანძილზე ბუჩქნარში შედის და იკარგება. მისი საერთო სიგრძე 180 მეტრს აღწევს, სიგანე თითქმის ორი მეტრია, სიმაღლე. ყველაზე კარგად შემონახულ მონაკვეთებზე 1,2 მეტრით განისაზღვრება; ნაგებია უმთავრესად დიდი ლოდებით, რომელთა შორის, შემავსებელი ნაშალის სახით, არის წვრილი ქვებიც. ამ ყრილის ერთი პატარა მონაკვეთის გათხრის შედეგად გაირკვა, რომ მისი ჩრდილო ნაპირის გაყოლებაზე ბლომადაა ისეთივე კერამიკის ნატეხები და ქვის საგნები, როგორიც თვითონ ნასოფლარზეა აღმოჩენილი. ისინი, ალბათ, ჩაირეცხა ფერდობიდან და ყრილთან შეჩერდა, თუმცა ზოგ მათგანს თვითონ ყრილშიაც შეუღწევია.

ერთი შეხედვით ეს ყრილი ნასოფლარის დასაცავ სამხრეთ კედელს ჰგავს[3], მაგრამ ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ მისი აღმოსავლეთი ბოლო არ ებჯინება არავითარ ხელოვნურ ან ბუნებრივ ზღუდეს. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ მისი ეს ბოლო დროთა ვითარებაში ჩაირეცხა და დაიკარგა. დასავლეთის ბოლოს სამხრეთიდან მიდგმული აქვს ერთმანეთის პარალელური ორი კედე-

---

[3] ლ. სახაროვა, თეთრი წყაროს ენეოლითური ნასოფლარის IV უბნის გათხრის შედეგები, (საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები, თბ., 1959, გვ. 10).

ლი, რომელთაგან თითოეულის სიგრძე ორმოც მეტრს აღწევს; თუმცა მათი შემკვრელი დასავლეთი კედელი არ ჩანს, მაგრამ მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქ სოფლის გარეთ გამართული საზაფხულო ფარეხი იყო.

ასეთ ადვილად შესამჩნევ „ზღუდეებსა“ და ყრილებს გარდა, როგორც ითქვა, არის მიწის წიაღში დამალული მცირე ყრილები და ქვაფენილები. ზოგი მათგანი თავს ამჟღავნებს ზედაპირზე ამოჩრილი რამდენიმე ქვით, ზოგიც სულ არ ჩანს. ექსპედიციამ დაიწყო 5 ასეთი ქვაყრილის (№ 1—5) გათხრა, მაგრამ ბოლომდე გამოიკვლია მხოლოდ 4 (№ 1, 3—5). მათგან ორი (№ 1, 3) მიწის ზედაპირზე თითქმის არ ჩანდა, ორი კი (№ 4,5) — კარგად შეიმჩნეოდა. ყველა მათგანი მდებარეობდა გარე ფართობზე (ტერმინი შემოგვაქვს გორასამარხის დასავლეთით მდებარე ტერიტორიის აღსანიშნავად), ამასთან,



სურ. 5 — „სახელოსნო“

№ 1,4 და 5 სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართულ თითქმის სწორ ხაზზე, მე-10, მე-60 და მე-100 მეტრზე, შესაბამისად, ხოლო № 3 — ჩრდილო-დასავლეთ სექტორთან ახლო, 25 მ-ის მანძილზე. ყველა ამ ძეგლში მოპოვებული მასალები არსებითად ისეთივეა, როგორიც აღმოჩენილია გორასამარხის ყრილის გათხრისას. ამას გარდა, № 3 ყრილში გამოვლინდა „სახელოსნოს“ ერთ-ერთი კუთხე (ტაბ. VI-2, სურ. 5) და მასზე მიდგმული გრძელი კედელი, რომელშიაც ჩადგმულია ოდესღაც გაძარცული ოთხი სამარხი (ტაბ. VII-1), ოთხივე აგებულია ბავშვთა გვამების დასაკრძალავად. „სახელოსნოს“ წინ (დასავლეთით) არსებული ფართობის გათხრამ გამოავლინა ერთმანეთისგან ქვაფენილით გათიშული კულტურულ ნაშთთა ორი ფენა, რომლებიც შეესატყვისება შ ი დ ა ფ ა რ თ ო ბ ზ ე, ე. ი. თვითონ გორასამარხის ქვაყრილის ქვეშ დამოწმებულ A და B დონეს. რაც შეეხება I ყრილს, იქაც აღმოჩნდა ორი სამარხი, მათ შორის ერთი ბავშვის ფერფლით, მეორეს კი შემოუნახავს ინვენტარიცა და ბავშვის ჩონჩხიც (ტაბ. VII-2). ამ ექვსი ფაქტის მიხედვით ჩანს, რომ ბავშვებს სოფლის შიგნით სახლებთან ახლოს ასაფლავებდნენ*, მაგრამ, სამაგიეროდ, არავითარი მასალა არა გვაქვს იმის სათქმელად, თუ სად მარხავდნენ სრულწლოვანებს: საერთო სამაროვანი, ალბათ, ნასოფლარის გარეთ იქნება, რომლის მიკვლევა სამერმისო ამოცანაა.

ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა გორასამარხის დასავლეთით შენიშნული კედლების გამოვლენას. აქ გაითხარა ნახევრად მრგვალი დიდი შენობის საძირკვლები — ზედ მიდგმული ძლიერ პატარა სათავსებით (ტაბ. VIII). როგორც ჩანს, იგი საქონლის სადგომ ფარეხს წარმოადგენდა, თუმცა იქ აღმოჩენილ მასალებს ბოსელთან კავშირი არა აქვთ.

გამოკვლეული ძეგლების ამ უბრალო ჩამოთვლის შემდეგ, გადავდივართ მოპოვებული მასალების უფრო დეტალურ გაცნობაზე.

ნაგებობათა ნაშთები

არაერთი შურფის მიხედვით გაირკვა, რომ გორასამარხს ეკავა ნასოფლარის აღმოსავლეთი ნაპირი. კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ერთ-ერთი მშრალი ხევისაკენ, კერამიკული ნატეხები თუმცაღა ღრმა ფენებში ჩნდება, მაგრამ ძალიან იშვიათად. ასე რომ, ნამოსახლართა იქ არსებობაზე ეს მასალა დამაჯერებლად არ მიუთითებს; იქ არც თიხატკეპნილ იატაკთა ნარჩენებია, და არც შენობათა ქვის საძირკვლები.

სხვა სურათი ჩანს თვით იმ ვაკეზე, რომელზედაც გორასამარხი აუზიდავთ („შიდა ფართობი“) და მის დასავლეთითაც („გარე ფართობი“) — თვით მშრალი ხევის ნაპირამდე. მართალია, გარე ფართობის მხოლოდ ცალკეული უბნებია გამოკვლეული, მაგრამ ყველგან, სადაც კი გაითხარა, გამოვლინდა ან შენობათა ქვის საძირკვლები, ან მოტკეპნილ-მომწვარ იატაკთა მცირე ნაშთები, ან კიდევ — მჭიდრო ქვაფენილები; კერამიკული ნატეხები და ქვის ინ-

---

* რიტუალის სისრულისათვის იხ. ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 36—41.

დუსტრიის ნაშთები ხომ, რა თქმა უნდა, ძალზე ბევრია. იგივე უნდა ითქვას შიდა ფართობზეც, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ ნახევარზე.

თიხატკეპნილ იატაკებზე აქ სიტყვის გაგრძელებას არ ვაპირებთ[4]. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ თიხაში ბზე ურევია და საკმაოდ კარგად გამომწვარია. ასეთი ფრაგმენტები ხშირად ქვის საძირკვლების გარეთაც გვხვდება. ეს გარემოება გვიკარნახებს ვივარაუდოთ, რომ ნაგებობანი, რომელთა იატაკი მოტკეპნილი თიხისა იყო, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ხისაგან უნდა ყოფილიყო აშენებული. ამასთან, ისინი ისეთივე ჯარგვალის ტიპისა თუ იქნებოდა, როგორიც გ. ნიორაძემ სამგორის გორასამარხში აღმოაჩინა[5], ან როგორსაც ვიტრუვიუსი გვაცნობს კოლხეთის მიმართ[6]. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სახლები ბოძებზე იდგა, ან ბოძები კუთხეებში მაინც იყო ჩამაგრებული, მაშინ მიწაში შემონახული უნდა ყოფილიყო სათანადო ორმოები ან ფოსოები, როგორიც, მაგალითად, თვალსაჩინოდაა დამოწმებული ურბნისის ახლოს ქვაცხელების ნამოსახლარზე[7]. ასეთნაირი ვარაუდისას, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იქნეს თეთრი წყაროს ნასოფლარზე გავრცელებული წებოვანი თიხის თვისება: ეს შავი თიხა ისე სწრაფად ჰკრავს პირს, რომ 1 წლის წინ გათხრილ ადგილსაც ძნელად თუ განვასხვავებთ უყი მიწისგან. ასე რომ, ნაგებობებში ბოძების მონაწილეობის საკითხი მოხსნილად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს.

ქვის შენობების ნაშთები, როგორც ითქვა, შემონახულია ორთავ ფართობზე. ერთ-ერთ მათგანს უკავია შიდა ფართობის g^2 და d^3 კვადრატების დიდი ნაწილი. ესაა ნაშთი უზარმაზარი ქვებით ყორულად ამოყვანილი სწორკუთხედი ნაგებობისა, რომელიც დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ (ტაბ. III-2; სურ. 6) კედლები მდებარეობს კლდოვან მასივზე. ისინი შემონახულია 0,40—1,00 მ-ის სიმაღლეზე. მათი სისქე 0,80 მ-ს აღწევს. ნაგებობის სიგრძე 10 მეტრია, სიგანე—5 მ. კარი სამხრეთისკენაა მიქცეული. იატაკი მოუწვავი მიწისა ჰქონია. შენობის შიგნით აღმოჩენილი ბათქაშის ცოტაოდენი ნატეხები, ეგებ, შელესილობის ნაშთი იყოს. შელესილობის ნატეხთა შორის ერთს ნათლად უჩანს ხის ბოჭკოების ანაბეჭდი. კედლების ზემო ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ქვის, ისე ხის მასალისა; სახურავის რაგვარობაზე მსჯელობისთვის მასალები არ გაგვაჩნია.

რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო ეს ნაგებობა? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა მასში აღმოჩენილი მასალების ახლო გაცნობა. ნაგებობის შუა ნაწილში ბლომად იყო ხის ნახშირი და ნაცარი; იატაკზედაც, და რამდენადმე უფრო მაღლაც, აღმოჩნდა ჭურჭლის ნატეხები (საველე აღწერილობის № 369, 373, 375-ა, 436, 446, 447, 450, 454, 456, 845), ობსიდიანის (№ 361), კაჟის უყუნწო ფოთლისებრი ისრის წვერი (№ 455; ტაბ. IX-1) ნამგლის ჩასართი (№ 441), ბაზალტის ხელსაფქვავი (№ 374), რიყის ქვის ხელ-

---

[4] თიხატკეპნილ იატაკთა ვრცელი აღწერა-დახასიათება განათხარის კვადრატების მიხედვით იხ. გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1956 და 1957 წლების ანგარიშები (ხელნაწერი).

[5] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 30.

[6] В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. II, Вып. I, Санкт-Петербург, 1904, გვ. 42—43.

[7] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 45, ტაბ. XVII, XXIII.

18626



სურ. 6— ოთხკუთხა და მრგვალი ნაგებობების ნაშთები

კვერი, სანაყები და საპრიალებლები (371, 444, 843, 846), კერამიკული წიდა, მსხვილფეხა საქონლის ძვლის ნატეხი და სხვ. გარდა ამისა, ჩრდ.-აღმ. კუთხეში იატაკზე შეიკრიბა კაჟისა და ობსიდიანის აურაცხელი ანატკეცი (ტაბ. IX-1). მონაპოვარი სავსებით შესაფერისია ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო ს თ ვ ი ს, მაგრამ გვგონია, რომ ზემოაღწერილი ძეგლის სახით ჩვენს წინაშე უნდა იყოს საცხოვრებელი სახლის ნაშთი, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი დაუთმიათ ხელოსნისათვის ქვის იარაღთა საკეთებლად. ასეთ ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ d^2 კვადრატის კერამიკულ მონაპოვარში ურევია თიხის კერის ბევრი ნატეხი (№ 373).

მეორე ნაგებობა შიდა ფართობზე მდგარა, პირველის ჩრდილო-დასავლეთით—სულ 4-ოდე მ-ის მანძილზე—b^1 g^1 და მათ დამატებითს კვადრატებში. აღწერილიდან განსხვავებით, ამ ნაგებობის ფუძე, რომელიც საშუალოდ 30 სმ-ის სიმაღლეზეა შერჩენილი, წრიული მოყვანილობისაა. ის ამოყვანილია ნაგლეჯი ქვების ორპირი წყობით. საძირკვლის განი აქაც 0,70—0,80 მეტრია; წრის შიდა დიამეტრი 5,30—5,80 მეტრამდე აღწევს; შესასვლელი, პირველის მსგავსად, ამასაც სამხრეთით აქვს მიქცეული; ქვის მშრალი წყობა დაფუძნებულია თიხით მოტკეპნილ და გამომწვარ სქელ იატაკზე, რომლის ქვეშ გამოვლენილია ორი წრიული ქვაფენილი. აქედან ერთს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს უჩანს თითო პატარა ამბიონის ან ნახევარმთვარისებრი მინაშენი (ტაბ. IX-2 ;სურ. 6). ეს იატაკი კედლებს გარეთაც შორს ვრცელდება და წყვეტილებით თითქმის პირველ ნაგებობამდე აღწევს. ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ის რომელიღაც უფრო ძველი ნაგებობის კუთვნილებაა, შემდეგში — მრგვალი შენობისათვის ხელახლა გამოყენებული. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, კარგად დამტკიცდა მას შემდეგ, რაც აღებულ იქნა აღმოსავლეთით მდებარე ქვაფენილს ზემოთ გადამავალი ქვის საძირკველი (ტაბ. X-1). ეს უკანასკნელი ზედ დაწოლოდა თიხატკეპნილ იატაკში ჩაძერწილ თიხის პატარა, თხელკედლიან კერის ნაშთებს, რომელიც ზედ ქვაფენილის შუაზე მოდის (ტაბ. X-2). კედელსა და ახლახან დასახელებულ კერას ერთმანეთისაგან ამხოლოებდა შავი ჰუმუსური თიხის თხელი შრე.

საკითხი, თუ რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ქვაფენილები, ადვილად გადასაწყვეტად არ გვეჩვენება. ამ კომპლექსის ზუსტ ანალოგებს ჩვენ არ ვიცნობთ სხვა მხარეებში და, ამიტომ, შეიძლება მხოლოდ სავარაუდო მოსაზრება გამოითქვას. ნაგებობათა ნაშთების ეს კომპლექსი მდებარეობს ვაკეზე, რომლის ახლო დაჭაობებული ადგილია, სწორედ ის, სადაც, როგორც პირველ პარაგრაფში შევნიშნეთ, ძველ დროში სასმელი წყარო უნდა ყოფილიყო. ქვაფენილი და ზედ მოგლესილ-მომწვარი თიხის იატაკი, სინოტივისგან გამამხოლოებელი საშუალება იქნებოდა იმ ადგილას, რომელზედაც კერა ყოფილა დაფუძნებული. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ასეთ როლს ქვის ფიცრებიდან გაკეთებული ყვერბი ასრულებს და შეიძლება, რომ თეთრი წყაროს ნასოფლარზე, სადაც თიხაფიქლები არაა გავრცელებული, მათ მაგიერ იყენებდნენ ბაზალტის წვრილ ქვებს. მაგრამ აღნიშნული კერა და ყვერბი საოჯახო დანიშნულების არ უნდა იყოს. მათ მაგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ, როგორც ციურ მნათობთა სიმბოლოებს. ამას უნდა მიუთითებდეს „ყვერბის“ წრიული მოყვანილობა და ნახევარმთვარისებური მინაშენები. საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთივე მინაშენები ჰქონდა სოფ. ხადიკში (წალკის რ-ნი) 1947 წ. გათხ-

რიელ ქვისწრიან ერთ გორასამარხს[8], რომელიც მაშინაც მხათობთა კულტს დავუკავშირეთ[9].

ქვემოთ ჩვენ კიდევ დაგვჭირდება ასტრალური კულტის საკითხის დაყენება. ახლა კი წრიულ ნაგებობაში აღმოჩენილ მასალებს უნდა გავეცნოთ. შიგნით, შესასვლელიდან ოდნავ ხელმარჯვნით იყო მიწაში ღრმად ჩადგმული ბაზალტის დიდი როდინი (ტაბ. XI-1), რომელშიც ჩაცვენილა დაშლილი იატაკის ერთი მოზრდილი და რამდენიმე წვრილი ნატეხი. მთელ ფართობზე აღმოჩენილია თიხის ჭურჭელთა ნატეხები (№ 202, 208, 214, 216, 219, 780, 814, 818, 819), დაუმუშავებელი ობსიდიანის დიდი ნაჭერი (№ 41), საფხეკი [779], კაჟისა და ობსიდიანის უფრო პატარა კაჭრები (№ 195 ბ და 817 შესაბამისად), საკმაოდ ბევრი ანატკეცი, კაჟის ძალიან იშვიათი ტიპის შუბისწვერის ქვედა ნაწილი, რომელიც გადაყელილი ყუნწით გამოირჩევა (№ 195; ტაბ. XI-2), დანა (№ 240ა), ნუკლეუსი (№ 816), ბაზალტის ხელსაფქვავი (№ 200), შურდულის ქვა (№ 781), საპრიალო და სალესი ქვები (№ 212, 221 შესაბამისად, ძვლის ნატეხები (№ 207, 227) და ხის ნახშირი (№ 48).

მონაპოვართა ხასიათი უფლებას გვაძლევს, რომ ნაგებობა ჩავთვალოთ საცხოვრებელ სახლად, რომელშიც, ჩვეულებრივ, ქვის იარაღთა დამუშავებაც წარმოებდა, მაგრამ იგი, ეგებ, საკულტმსახურო ძეგლიც იყოს.

საყურადღებო მასალაა მიკვლეული მრგვალი სახლის მიმდგომ ფართობზე. სამხრეთით d^1 კვადრატის თითქმის შუაში, მიწაში ჩადგმული იყო ოქროსფრად გამომწვარი თიხის კერა (ტაბ. XII; სურ. 7), რომელთაგანაც აღმოჩენილია ასეთივე ფერის ჭურჭლეულის ბევრი ნატეხი. აღმოსავლეთით g^2 კვადრატში შემონახულია ქორდიანი კერის, ან შეიძლება „ლამპრის“ ქვედა ნაწილი (ტაბ. XIII-2), შიგ ჩამსხვრეული კერამიკითურთ (ტაბ. XIII-1), ხოლო ნაგებობის აღმოსავლეთ კედელთან ახლოს — კიდევ ერთი სხვა როდინი და ჩამსხვრეული თიხის ჭურჭელი. სტრატიგრაფიის საკითხებთან დაკავშირებით, ძეგლთა ამ კომპლექსს ცოტა ქვემოთ დავუბრუნდებით. ახლა კი გადავდივართ გარე ფართობის ნაგებობათა გაცნობაზე.

იქ გამოკვლეულ შენობათა ნანგრევებიდან ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლი ე. წ. სახელოსნოს ნანგრევებია (ტაბ. VI-2). იგი მოქცეული იყო მე-3 ქვაყრილქვეშ, რომელიც, ვფიქრობთ, სხვა არაფერი უნდა ყოფილიყო, თუ არა ნაგებობის კედლების მოშლის შედეგად წარმოშობილი ლოდების გროვა. ყრილის სიგრძე, სიგანე და უდიდესი სიმაღლე შუა ნაწილში შესაბამისად უდრიდა 16,8 და 0,65 მ-ს; ნაპირებისკენ ის თანდათანობით დაბლდებოდა და მიწაში იმალებოდა. ზედაპირული ქვები ატმოსფერული გავლენით დაშლილა და ამიტომ წვრილ-წვრილი იყო, სიღრმეში ისინი თანდათან მსხვილდებოდა, ხოლო სულ დაბლა, საგანგებოდ მოსწორებულ კლდის ზედაპირზე საკმაოდ ბევრი კუთხედი ლოდი ეგდო; თითოეული ასეთი ლოდის მოცულობა ზოგ შემთხვევაში 1 მ³-ს აღწევდა. ამგვარი ლოდებით გამართული საძირკვლით იყო შეკრული შენობის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, შემონახული მხოლოდ თითო ქვის სიმაღლეზე. დასავლეთი კედელი სიგრძით 5 მ იყო, სამხრეთისა კი წყდებოდა მე-2 მ-ის დასასრულზე. მთელი შენობის შესაკრავად აუცილებელ სხვა

---

[8] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ხადიკის ყორღანი, სმამ, XI, № 10, 1950.

[9] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1947 წლის დღიურები (ხელნაწერი ინახება პირად არქივში).



სურ. 7 — ქერა

კედელთა არავითარი კვალი არ ჩანდა. სხვათა შორის, სწორედ ისეთი ზომის და მოყვანილობის ლოდები, როგორიც „სახელოსნოში“ უხმარიათ, აღმოჩნდა გორასამარხის შიდა ზღუდის ჩრდილო კედელში და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი „სახელოსნოს“ ნანგრევებიდან მიაგორეს.

„სახელოსნოს“ დასავლეთი კედლიდან დიაგონალურად ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გადის შედარებით უფრო მცირე ლოდებით ამოყვანილი გრძელი კედელი, რომელზედაც სამხრეთიდან მიდგმულია ზემოთ უკვე მოხსენებული 4 სამარხი. შეიძლება მასთანვე ყოფილიყო დაკავშირებული მის ჩრდილოეთით 2 მ-ის მოშორებით შემორჩენილი პარალელური კედლის ნაწყვეტი და ასეთ შემთხვევაში შეიკვრებოდა სახელოსნოზე მიშენებული ტრაპეციის მსგავსი სათავსი, მაგრამ ამის დასამტკიცებლად საკმაო საბუთები არ შენახულა. გამოვლენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ნაშთების ერთობლიობა თითქოს უფრო იმას გვაუწყებს, რომ დიაგონალური კედელი საფლავებისთვის აშენებულა.

აქ აღწერილი ნაშთები, სამწუხაროდ, მეტად მწირია თავდაპირველი ნაგებობის ყველა წვრილმანის წარმოსადგენად: არ ვიცით შენობაში შესასვლელი კარის ან, სარკმლების (თუ ასეთები ჰქონდა) ადგილმდებარეობა; არ ვიცით სათავსების ზომა და გადახურვის რაგვარობა. კუთხის შემკვრელი საძირკვლების სისქეც და ყრილის სიმძლავრეც უფლებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ (არა ზუსტი ზომებით) საკმაოდ მაღლა აზიდული, მაგრამ შემამტკიცებელი ნივთიერების გამოუყენებლად ამოყვანილი ქვის კედლები. თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ რამდენადმე მოგვიანო დროის ისეთ ძეგლს, როგორიც ბედენის აკლდამაა[10], მაშინ შეგვეძლო სახელოსნო წარმოსახვით გადაგვეხურა ხის ძელებისგან მომზადებული ორფერდა სახურავით, რომელზეც დაგლესილი იქნებოდა წყალგაუმტარი თიხის ფენა. შეუძლებელი არც ისაა, რომ სახურავზე დაეყარათ ჭაობის თივა ან ლერწამი, რომელიც ბლომადაა ნასოფლართან ახლოს ნადარბაზევის ტბის ნაპირებზე[11].

ახლა რამდენიმე სიტყვა იმ მასალებზე, რომლებმაც საფუძველი მოგვცა ამ ნანგრევების „სახელოსნოდ“ მიჩნევისათვის.

არქეოლოგიური მონაპოვრებით უხვი იყო მთელი ქვაყრილი და მისი ძირი. ზედაპირზე ნაპოვნია თბილისში 1822 წ. მოჭრილი ვერცხლის მონეტა „ქართული თეთრი“.

ყრილიდან ქვების პირველი ფენის აღების შემდეგ თავი იჩინა ჯერ რიყის ქვის და ბაზალტის იარაღებმა (როგორიცაა ფილთაქვები, როდინები, ხელსაფქვავები, საპრიალოები და სახეხები), ხოლო უფრო ღრმად — კაჟისა და ობსიდიანის იარაღებმაც; დაუმუშავებელი ნედლი მასალის დიდმა ნაჭრებმა, წარმოების გადანაყარმა, კერამიკულმა ნატეხებმა, ცხოველთა ძვლების ძალიან მცირე ნატეხებმა და ხის ნახშირმა. მათი უმეტესობის რიცხვი თანდათანობით მატულობდა თვით გაშიშვლებულ კლდოვან ქანამდე. მონაპოვართა რაოდენობა ყველა კვადრატში ერთნაირი არ ყოფილა: შედარებით მცირე მასალა გამოვლინდა $ა^3$ და $ა^2$ კვადრატებში, ხოლო ყველაზე უფრო უხვი იყო $ა^3$ და $ბ^3$ კვადრატებში.

---

[10] გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, „ძეგლის მეგობარი“, 12, 1967, გვ. 16-17.

[11] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941, გვ. 44.

აღმოჩენილი საგნების უდიდეს უმრავლესობას კერამიკული ნატეხები წარმოადგენდა, მაგრამ რადგანაც ეს მასალა ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფხვნილის სახითღა შემონახულა, ამიტომ, ლაბორატორიულად გამოსაკვლევად შერჩეულ იქნა მხოლოდ ჭურჭელთა ცალკეული ნაწილების წარმოსადგენად გამოსადეგი ნატეხები. ისინი საველე დავთარში ჩაწერილია 19 ნომრით [№ 686 — 669. 694, 696, 706, 711, 714, 720 — 721, 726, 728, 736, 745—746, 757, 765, 768], მაგრამ როგორც გათხრის სხვა უბნებზედაც, ყოველი ნომრით ძალიან ხშირად აღნიშნულია ათეულზე მეტი ნატეხი. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს ნატეხები შედის სხვა უბნებზე აღმოჩენილი კერამიკული მასალის წრეში, მაგრამ ზოგ მათგანს გარკვეული თავისებურებაც ახასიათებს. აქ ჭარბობს ბზენარევი და მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან ნაძერწი ღია ფერის ნატეხები, რომელთა შორის ზოგიერთი, ალბათ, ხელმეორედ გადაწვის გამო, წიდად ქცეულა. ზოგი ნატეხი შეღებილია მუქი წითელი საღებავით, ზოგსაც ღია ფერების წერნაგი შემორჩენია. არის სხვაგანაც უხვად წარმოდგენილი რბილკეციანი ოქროსფერი ნატეხებიც. შედარებით იშვიათია ვარდისფერსარჩულიანი და შავად გაპრიალებულზედაპირიანი კეცი, სრულიად არ არის ორნამენტიანი ჭურჭლეული და არც „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის ჩვეულებრივი ყურები.

ქვის ინდუსტრიის ნაშთები, როგორც ზემორე სტრიქონების მიხედვითაც ნათელია, სავსებით შეესატყვისება მთელ ნასოფლარზე მოპოვებულ ამგვარ მასალებს, იმ შენიშვნით, რომ „სახელოსნოში“ არ ყოფილა აღმოჩენილი გადაყელილი ისრისა და შუბისწვერები. მაგრამ ეს ფაქტი ხელს არ უშლის ერთიანობას, რადგან საჭურველის ასეთი ტიპი მეტისმეტად იშვიათია და ის მხოლოდ შიდა ფართობზეა დამოწმებული. ასევე შეიძლება ითქვას ზოგიერთ სხვა მასალაზედაც — სულ ერთია, ქვის საგნებს შეეხება ეს, თუ კერამიკას.

„სახელოსნოში“ აღმოჩენილ ქვის ნივთებს შორის ზოგი საყოფაცხოვრებო დანიშნულებისაა (როგორიცაა, მაგალითად, ხელსაფქვავები, ფილთაქვები და როდინები), მაგრამ კიდევ უფრო ხშირად გვხვდება ჭურჭლეულისა და იარაღთა დასამზადებელი ხელსაწყოები. ბაზალტისა და წვრილმარცვლოვანი ქვებისაგან დამზადებული სახეხები, საპრიალოები, ხელკვერები და გრდემლები (№ 703, 703ა, 734). ბევრია დასამუშავებლად შემარაგებული ნედლი მასალა — ობსიდიანისა და კაჟის დიდი ნაჭრები (№ 692, 702, 707—09, 712); კეთების დროს დაზიანებული იარაღები, ნახევარფაბრიკატები, სავსებით დასრულებული ნახელავები, ნუკლეუსები, ანატკეცები და საერთოდ, წარმოების უამრავი გადანაყარი. ეს მასალები ძალიან მნიშვნელოვანია იმ დროის წარმოების თითქმის მთელი ციკლის წარმოსადგენად, ნედლი მასალის დამზადებიდან დაწყებული, ვიდრე სახმარი იარაღისა და საჭურვლის გამოშვებამდე.

კაჟისა და ობსიდიანის წარმოებასთან დაკავშირებული მასალები განსაკუთრებით ბლომად იყო დახვავებული ნაგებობის ზემოხსენებულ კუთხეში. ეს კუთხე საგანგებოდ გამოყოფილი უნდა ყოფილიყო ხელოსნებისთვის. დანაპრალებული ძირითადი ქანიდან ოდნავ ზემოთ ამოშვერილი სამი ლოდი, რომელთა ზედაპირი გულდასმით მოსწორებულია, ბუნებრივ გრდემლადაც უხმარიათ. ამ ადგილიდან წამოსაღებად შერჩეულ მასალათა რიცხვი ერთ ასეულზე ბევრად მეტია. ესაა ობსიდიანის 86 (№ 744) და კაჟის 39 (№ 773) სხვადასხვა ზომის ნატეხი, 23 ნახევარფაბრიკატი და დასამზადებლად მომზადებუ-



სურ. 8 — „ფარეხი“ გასუფთავებამდე

ლი ანატკეცი (№ 742), ორი მოზრდილი შუბისწვერი (№ 738, ტაბ. XIV-1, 2), ნამგლისპირები და დანისებური იარაღები (№ 739—740) და სხვა მრ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მასალები საკმაო საბუთია იმისათვის, რომ მე-3 ქვაყრილის ქვეშ გაწმენდილი შენობის ნაშთი მიჩნეულ იქნეს, ცხადია, სრულიად განსაზღვრული აზრით, ძველ სახელოსნოდ. კერამიკული მონაპოვარი, როდინები და სხვა მისთანა, უეჭველად იმასაც მოწმობს, რომ ეს შენობა საცხოვრებელი სახლი იყო, მაგრამ ამ სახლში მნიშვნელოვანი ადგილი ხელოსნებისთვის ყოფილა გამოყოფილი. როგორც ჩანს, ეს სურათი საერთოა თეთრი

წყაროს ნასოფლარისთვის, რადგან წარმოების კვალი ყველა ნაგებობის ნაშთშია მიკვლეული, მაგრამ თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ახლახან აღწერილი ძეგლი ყველას ჭარბობს.

„სახელოსნოში“ და მის მიმდგომ ფართობზე აღმოჩენილ ძეგლებზე საჭიროა დამატებით ითქვას შემდეგი: დიაგონალურად გამავალი კედლის შესაბამისი სამი სხვა კედლის მოსაძებნად სამხრეთ მხარეზე გაჭრილმა თხრილმა სათანადო შედეგი არ გამოიღო. სამაგიეროდ, გამოვლინდა, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ქვაფენილით ერთმანეთისაგან გამიჯნული კულტურულ ნაშთთა შემცველი ორი შრე, რომლებმაც შიდა ფართობზე მიღებული სტრატიგრაფიული დაკვირვებების შედეგები შეამოწმა და შეამაგრა. ქვაფენილის მხოლოდ ერთი ნაწილი გაითხარა. მისმა შემდგომმა გამოკვლევამ, შესაძლოა, ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ბევრი ახალი მასალა მოგვცეს.

„სახელოსნოსთან“ და საერთოდ ყველა აღწერილ ნაგებობებთან შედარებით, უკეთაა შემონახული დიდი ფარეხი (ტაბ. VIII; სურ. 8, 9), რომელსაც ნასოფლარის დასავლეთ კიდესთან ოდნავ დახრილი ფართობი აქვს დაკავებული. მისი კედლების ზოგიერთი ქვის ზემო ნაწილი დედამიწის ზედაპირზედაც



სურ. 9 — „ფარეხი“; გეგმა

შეიმჩნეოდა: 2 მ სისქისა და 1 მ სიმაღლის კედლები ამოყვანილია, ჩვეულებრივ, დაუმუშავებელი დიდი ლოდების ორპირი წყობით, რომელთა შორის სიცარიელე შევსებულია ნაშალი ქვებით. ამ ძეგლის ერთ-ერთ თავისებურებად ის ჩაითვლება, რომ მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელს რკალისებური მოხაზულობა აქვს მაშინ, როცა სხვა კედლები სწორხაზობრივად მიიმართება. ამიტომ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ფარეხში ერთმანეთთან თითქოს შერწყმულია მრგვალი და სწორკუთხედი ნაგებობების ხუროთმოძღვრული ელემენტები. ერთი მეტრი სიფართოვის კარს გავყავართ სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით. კარის ორივე მხრიდან შენობაზე მიდგმულია თითო პატარა სათავსი, ალბათ, ჩვილი პირუტყვის შესარეკად განკუთვნილი. ფარეხის წინ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე შეინიშნება ზღუდის ნაშთები, რომელთა მხოლოდ ცალკეული ნაკვეთებია გამოკვლეული. ფარეხის შიდა ფართი 130 კვადრატულ მეტრზე ცოტა მეტია. ესაა ნასოფლარზე გამოკვლეულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ნანგრევებს შორის ყველაზე დიდი ნაგებობა. მხოლოდ ზომა და წინა კედელზე მიშენებული ორი პატარა სათავსი მიუთითებს, რომ ეს ძეგლი საქონლის დასაყენებელი ფარეხი იყო. შიგ მოპოვებულ მასალათა უმრავლესობა არ განირჩევა ნასოფლარის სხვა ადგილებზე აღმოჩენილი ნივთებისგან. ქვის საგნებიც და კერამიკაც ნასოფლარისთვის ჩვეულებრივი სახისაა, მაგრამ, ამასთან ერთად, არის ორი გამონაკლისიც. ერთი მათგანი ტანდაჩვრეტილი ჭურჭლის რამდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი (ტაბ. XIV-6), ხოლო მეორე — მომწვანო მუქი კაჟისაგან (რქეულა) გახეხვა-გაპრიალების გზით დამზადებული მომცრო ეჩოთი (ტაბ. XIV-5), რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ხმარებისას ახეთქია ცალი გვერდი, ფხის სიბასრე მაინც არ დაუკარგავს.

ნაგებობათა ტიპების აღწერის შემდეგ გადავდივართ სამი ისეთი ქვაყრილის (№ 1, 4, 5) გათხრის შედეგთა გაცნობაზე, რომლებშიც კედლების წყობა არ შენახულა და, ამიტომ, ოდესღაც იქ არსებულ ნაგებობათა რაგვაროვნებასა და ზომაზე გარკვევით არაფერი არ ითქმის.

მიწის წიაღში დაფარულ ერთ-ერთ ასეთ ძეგლს წარმოადგენდა გორასამარხის სამხრეთ-დასავლეთ სექტორზე თითქმის მიბმული № 1 დაბალი და მოკლე ქვაყრილი (ტაბ. XV. 1; სურ. 10). მისი კორდოვანი ფენისაგან განთავისუფლების შემდეგ გაირკვა, რომ ყრილის ზედა ქვებს შემოუნახავს ისეთივე ნაკაწრები, როგორიც სხვა შემთხვევებშიც ჩნდებოდა ხოლმე (ტაბ. VI, 1). ქვაყრილის სიგრძე 11,4 მ-ს აღწევს, უდიდესი სიგანე და სიმაღლე (შუა ნაწილში) შესაბამისად 4 მ-ს და 0,6 მ-ს შეადგენდა. ის დამხრობილი იყო, ჩვეულებრივ, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ყრილში გამოყენებულ ქვებს არ ემჩნეოდა საგანგებო დამუშავების კვალი. ზოგი მათგანი ბუნებრივად კუთხედი იყო, ალბათ, მშენებლობისთვის საგანგებოდ შერჩეული. ყრილქვეშ მდებარეობდა 15—20 სმ სისქის ნიადაგი, შემდეგ კი — კლდის მასივი. ყრილის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირი ფარავდა ორ სამარხს, რომელთაგან ერთი ჩადგმული იყო ნიადაგში, მეორე კი — ძირითად ქანში (ტაბ. VII-2; სურ. 11).

ექსპედიციის თანამშრომელთა გულმოდგინე ცდას, რომ ყრილში ერთმანეთზე მიდგმულ კედელთა რაიმე ნაშთი შეენიშნათ, დამაჯერებელი შედეგი არ მოჰყოლია; მხოლოდ ერთგან, ყრილის აღმოსავლეთი ნაპირის ქვეშ, მიწაზე, მწკრივად იდო 7 ცალი მეტ-ნაკლებად კუთხედი, არც თუ დიდი ქვა, რომელიც, ერთი შეხედვით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დამხრობილი საძირკვლის ნაშ-



სურ. 10 — მე-5 ქვაყრილი

თის შთაბეჭდილებას ქმნიდა; მაგრამ ძნელია ვამტკიცოთ, რომ ამ მწკრივის სახით მართლაც ნაგებობის საძირკველთან გვქონდა საქმე, თუ ერთმანეთთან შემთხვევით მოხვედრილ დაკუთხულ ქვებთან. საერთოდაც მეტად რთულია ამგვარ ყრილებში შენობის კვალის გამოცნობა, რადგან მშენებელთ შემამტკიცებლად არ უხმარიათ არც ხსნარი და არც ჩვეულებრივი ნიადაგიდან განსხვავებული ფერადი თიხა. სამაგიეროდ, კედლის დაჭერა ადვილია, როცა საძირკვლად ნახმარია დიდი ლოდები, როგორც ეს, მაგალითად, დამოწმდა მე-3 ქვაყრილის ქვეშ. სწორედ ამ უკანასკნელი ძეგლის მიხედვით, შეიძლება ვივა-



სურ. 11 — მე-5 ქვაყრილის ქვეშ მდებარე სამარხები

რაუდოთ, რომ № 1 ყრილიც საძირკვლიანად დაშლილი სახლის ნანგრევ მასალას წარმოადგენდა.

ყრილის თავიდან 20 სმ-ის სიღრმეზე თავი იჩინა კერამიკული და ქვის საგნების ნატეხებმა, რომელთა რიცხვი თანდათანობით მატულობდა კლდოვან ქანამდე. აღმოჩენილია ობსიდიანისა და კაჟის ბევრი კაჭარი, ნუკლეუსი (№ 612, 628, 638 და სხვ.), დიდი და პატარა ანატკეცი, სხვადასხვაგვარი ნატეხი, რომელთაც შემოუნახავთ დამუშავებისა და ხმარების კვალი. კარგად დამუშავებული ობსიდიანის იარაღებიდან ყრილში იყო მხოლოდ მომრგვალებული სა-

ფხეკი (№ 620, ტაბ. XV-2), ხოლო მისი აღმოსავლეთი ნაპირის გარეთ ჭუსლ-მომრგვალებული ისრისწვერი, ნამგლის ჩასართის ნატეხი და ზურგჩაზნექილი დანისებური ნახელავი (ტაბ. XV-2). კაჟის (რქეულას) ნაკეთობათაგან ყრილ-ქვეშ მდებარე შავ მიწაში აღმოჩენილია ნამგლის ჩასართის ნატეხი (№ 618), რეტუშიანი ლამელა (№ 629) და 2 ცალი ისრისწვერი, ხოლო საკუთრივ ყრილში და მის ქვეშ მიწის ზედაპირზე — ცალფრთიანი ისრისწვერი (№ 633, ტაბ. XVI-2), ნამგლის პირი (№ 634, ტაბ. XVI-2), ამგვარივე იარაღის ნატეხი (№ 646), შუბისწვერი (№ 716, ტაბ. XVI-2), ხელცულისებრი იარაღები (№ 645, 657, ტაბ. XVI-1) და სხვ. ბაზალტისა და წვრილმარცვლოვანი ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია როდინებისა და ხელსაფქვავების ნატეხები, ხელ-კვერები, ფილთაქვა და სხვ. (ტაბ. XVII). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყ-რობს ბაზალტის მოზრდილი დისკო, რომელსაც შუაში მრგვალი, მაგრამ ნაპი-რებშეუსწორებელი ნახვრეტი აქვს (ტაბ. XVII-8) და იმავე ქვის დიდი პრიზ-მი, აგრეთვე შუაში საკმაოდ ღრმად ჩახვრეტილი (ტაბ. XVII-9). პირველი შე-იძლება იყოს ლახტისთავი ანდა მორგვი, მეორე კი — ზღურბლზე კარის ჭუს-ლის საბრუნავი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნება კიდევ ერთი საბუთი, რო-მელმაც შეიძლება მიუთითოს ყრილის ადგილზე ქვის ნაგებობის არსებობაზე.

ამგვარად, თუმცა განხილულ ყრილში შემონახული არ იყო ნათლად გა-სარჩევი კედლები ან მათი საძირკვლები, მაგრამ არსებული მასალა თითქმის საკმაო საფუძველს გვაძლევს იქ შენობის ოდითვე არსებობის ვარაუდისათ-ვის.

ყრილების გასაიგივებლად ნაგებობათა ნანგრევებთან კიდევ უფრო მეტ-ყველია მე-4 ყრილის (ტაბ. XVIII-1) გათხრის შედეგები. მოყვანილობით და დამხრობით ეს ძეგლი I ქვაყრილის თითქმის ზუსტი ორეული იყო, განსხვა-ვება მხოლოდ ზომაშია. ამის სიგრძე-სიგანე და უდიდესი სიმაღლე შესაბამი-სად უდრიდა 12,50×7,70×1,00 მ-ს. სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე შესამჩნევი ვიწრო ყელით ის უერთდებოდა ძალიან გრძელ ქვაყრილს, რომელიც გაუთხრე-ლი დარჩა. მარჯვნივ და მარცხნივ მას ეკვროდა უტყეო ველის ვიწრო ზოლი. ისინი გაითხარა ქვაყრილის გამოკვლევის დაწყების წინ. საკვლევი უბნის სა-ერთო ფართმა, მათი ჩათვლით, 225 მ² მიაღწია (15×15 მ). ნიადაგის სისქე 30—40 სმ-ს არ ჭარბობდა. მის ქვეშ, როგორც ყველგან ნასოფლარზე, კლდის მა-სივი მდებარეობს. ზოლებში 10 სმ-ის სიღრმიდან, ხოლო ყრილში ორი-სამი ფენა ქვის აღების შემდეგ გამოჩნდა კულტურულ ნაშთთა პირველი ნიშნები. ქვემოთ მათი რიცხვი მატულობდა. ამ ნაშთებში შედის თითქმის მთლად ჩაფხვნილი კერამიკა და შედარებით უფრო კარგად შენახული ობსიდიანის, კაჟის, ბაზალტისა და რიყის ქვის საგნები.

კერამიკა თითქმის მხოლოდ ღია ფერისაა; მხოლოდ ერთი ნატეხია შავად გაპრიალებული და ვარდისფერი სარჩული აქვს; ნატეხებს შერჩენილი აქვს რელიეფური ხვიისებრი ორნამენტის ნაშთი. ჭურჭლეულის ფორმები აქ ნა-პოვნი ნატეხების მიხედვით არ აღდგება.

ქვის მასალა არსებითად ისეთივე სახისაა, როგორიც სხვა უბნებზეც გვხვ-დება ხოლმე; ობსიდიანისა და კაჟის უამრავი დაუმუშავებელი ნატეხი ადგილ-ზევე დარჩა; წამოღებულია მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული 34 იარაღი ან მა-თი ნატეხები; ესენია ნამგლისპირები (№ 1105, 1121, 1123, 1126, 1141), ყუნ-წიანი და უყუნწო ისრისწვერები (№ 1114, 1124, 1108, 1110, 1115, 1116, 1134, 1140), ხელშუბის წვერები (№ 1106, 1120), წვეტანები (№ 1125, 1133),

სეგმენტური მიკროლითი (№ 1113), ხელცულისებრი იარაღები (№ 1111) და სხვა (№ 1101—03, 1109, 1119, 1127). ამ რიცხვში შედის ობსიდიანის დიდი (18×12×8 სმ) კაჭარი (№ 1137); პრიზმისებური ნუკლეუსი (№ 1129); რიყის ქვის ფილთაქვა ან ხელკვერი (№ 1138), ხელსაფქვავის ნატეხი (№ 1135) და სხვ.

ძეგლის რაობის გასარკვევად ყველაზე მნიშვნელოვანია ყრილ ქვეშ აღმოჩენილი თიხის კერა და სუსტად მომწვარი თიხის იატაკის ცალკეული ნარჩენები. კერა ჩაძერწილი იყო ნიადაგში ყრილის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირის ქვეშ. სადაც ის ზედდაწოლილი სიმძიმისაგან ჩამსხვრეულა (ტაბ. XVIII-2). რაც შეეხება იატაკს, ის მოუტკეპნიათ პირდაპირ ძირითადი ქანის ზედაპირზე, რომელიც იმ უბანზე მცირედ დახრილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ.

ეს ორი მონაპოვარი, ჩვენი აზრით, საიმედო საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ მე-4 ყრილი სხვა არაფერი იყო, თუ არა მის ადგილზე ოდესღაც მდგარი სახლის ნანგრევები. კერის ადგილმდებარეობა ჩრდილოდასავლეთ ნაპირთან, მიუთითებს, რომ შენობას შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უნდა ჰქონოდა. ყრილის წაგრძელებული მოყვანილობა უფრო შეესატყვისება სწორკუთხედისებურ ნაგებობას. თუ რა ზომისა იყო ეს შენობა, ეს მხოლოდ მიახლოებითი ვარაუდია. გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომ შენობის სიგრძე და სიგანე ყრილის სათანადო ზომასთან მნიშვნელოვნად უფრო მცირე იქნებოდა და ალბათ 40 მ²-ს (8×5 მ) არ ჭარბობდა. ყრილის საერთო მოცულობა, რომელიც დაახლოებით 50 მ³-ს უდრიდა, საკმარისი უნდა ყოფილიყო აღნიშნული ზომის ერთსართულიანი სახლის ასაგებად.

მოკლედ გავეცნოთ მე-5 ქვაყრილის გათხრის შედეგებს. ყრილი მდებარეობდა ნასოფლარის სამხრეთ მხარეზე გამავალ ბოლო ტერასზე ისე, რომ ჩრდილო-დასავლეთი კიდით შემაღლებულ რელიეფს ებჯინებოდა. ამ მხარეზე მისი სიმაღლე 2,8-მდე აღწევდა, ხოლო ტერასისკენ თანდათან დაბლდებოდა. ყრილის სიგრძე 18-სა და სიგანე 11 მეტრს აღწევდა. ის სეგმენტის მოყვანილობის იყო და ჭორდით ტერასზე გადიოდა. ყრილი წარმოადგენდა დიდი და მცირე ლოდების სრულიად უწესრიგო ნაყარს, ოღონდ ზურგის გასწვრივ შეინიშნებოდა თითქოს, საგანგებოდ გამართული რკალი ცერად ჩასმული ქვებისა.

მისი გამოკვლევის წინ დაიწყო მომიჯნავე ფართობების საცდელი გათხრა, რამაც წარმოაჩინა ნასოფლარისათვის ტიპური სურათი: 40-ოდე სმ-ის სისქის კულტურული ფენა, მის ქვეშ მდებარე ქვაფენილისებრი ყრილი და, ბოლოს, ანდეზიტ-ბაზალტების გამოსავალი. კულტურული ფენა შეიცავდა წვრილად ჩაფხვნილ, მეტწილად მოყვითალო-მოვარდისფრო კერამიკას და ქვის ინდუსტრიის ნაშთებს, უმეტესად სხვადასხვაგვარი ანატკეცების სახით. იყო დამუშავებული იარაღებიც, მათ შორის ობსიდიანის დიდი [16,6×6×1,8 სმ] შუბისწვერი (№ 1144), საფხეკისმაგვარი იარაღები (№ 1142, 1143), ნუკლეუსი და სხვადასხვაგვარი ანატკეცები; აგრეთვე, მრავლად წვრილი კერამიკული ნატეხები — მეტწილად ვარდისფერკეციანი. ქვაყრილის სამხრეთით მოზომილი ამ I თხრილის მონაპოვარს მთლიანად შეესატყვისება ქვაყრილის ჩრდილო მხარეზე ამოღებული მე-2 თხრილის მონაპოვარი. ასე მაგ., აქაური კულტურული ფენიდან გვაქვს: კაჟის შუბისწვერისებრი ნამზადი (№ 1148), საჭრისებრი ანატკეცი, რომელსაც ორივე ფხაზე გასდევს კარგი ცალმხრი-

ვი რეტუში (№ 1149), უამრავი ანატკეცი ზერელე რეტუშით, ურეტუშო ანატკეცები, ხელსაფქვავის ნატეხები და უამრავი კერამიკული ნატეხი (სურ. 12, 13, 14).



სურ. 12 — ქვაყრილი № 5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები

ახლა, რაც შეეხება საკუთრივ ქვაყრილს.

მისი დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ ზედაფენები შედარებით წვრილი ქვებისაგან შედგებოდა, ხოლო ძირს დიდი ლოდები ეწყო. როგორც ყველა ქვაყრილში, აქაც ქვებს შორის მიწაც გვხვდებოდა. წესიერი წყობა არ შეინიშნებოდა — ქვები უსისტემოდ ეყარა და ჩანდა, რომ ზოგი მათ-



სურ. 13 — ქვაყრილი № 5. მოპოვებული მასალა



სურ. 14 — № 5 ქვაყრილის ქვეშ მოპოვებული მასალა

განი ზემოდან იყო ჩამოცურებული. ქვებს შორის იყო ცოტაოდენი კულტურული ნაშთები — ვარდისფერ და შავზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხელსაფქვავის ნატეხები, კაჟისა და ობსიდიანის ანატკეცები და არცთუ კარგად ჩამოყალიბებული იარაღები. აქა-იქ შენიშნულ იქნა ხის ნახშირიც. კერამიკა ჩვეულებრივი იერისაა, მაგრამ $в^4$ კვადრატში, ზედაპირიდან 40-ოდე სმ-ის სიღრმეზე ნაპოვნი ერთი ნატეხი (№ 1156) გამოირჩევა ზედაპირზე დაძერწილი შემაღლებული რკალით. კაჟისა და ობსიდიანის იარაღების უმეტესობა არ იძლევა მკვეთრად ჩამოყალიბებულ ტიპებს და უბრალო ანატკეცებისაგან გამოირჩევა ფხებზე აქა-იქ დატანილი მცირე რეტუშით (№ 1158. 1168). ასევე საგანგებო დამუშავების კვალს ვერ ვხედავთ ვერც ორფერდა ფირფიტებზე (№ 1173). მეტნაკლებად მკვეთრად ჩამოყალიბებული ფორმა აქვს კაჟის დისკოსებურ საფხეკს (№ 1169), ანდეზიტ-ბაზალტის ხელსაფქვავებს (№ 1178), რიყის ქვისაგან გაკეთებულ საპრიალოს (№ 1175), როდინის ნატეხებსა და სხვ.

ქვაყრილქვეშ ძველი ნიადაგის ზედაპირზე $в^3$ კვადრატში ნაპოვნია ტიპიური ბრინჯაოს ხანის კერამიკის რამდენიმე ნატეხი (№ 1177), ხოლო უკვე საკუთრივ ძველი ნიადაგის ზედა ფენაში, ყრილის უმაღლესი წერტილიდან 235 სმ-ის დონეზე, $д^3$ კვადრატში — ნატეხები კერამიკისა, რომლებიც, აგრეთვე, შედარებით მოგვიანო ხანაზე მიგვითითებს.

რას უნდა წარმოადგენდეს თვით ქვაყრილი? ეს საკითხი ძნელი გადასაწყვეტია, რადგან მასში შენიშნული არ ყოფილა წესიერი წყობის ნაშთი და არც ნასახლარისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები (მაგ., თიხის იატაკი, კერა და სხვ.). შესაძლებელია დავუშვათ, რომ ის წარმოადგენდა სამეურნეო დანიშნულების სათავსს, რომლის უკანა რკალისებური კედელი ყორულად ამოყვანილი და მაღალ ტერასზე მიდგმული იყო; ხოლო წინა, დაბალი ტერასისკენ მიქცეული ნაწილი — სრულიად ღია ჰქონდა ან ხის მასალით იყო გამართული. ეს კია, რომ ამ სავარაუდო მოსაზრების შემამაგრებელი მასალა ქვაყრილის ქვეშ, უბრალო მიწის იატაკზე არ შეგვხვედრია. იქ არ ყოფილა არც ხის ნაშთები და არც სამეურნეო ნივთები. სხვა ქვაყრილებთან შედარებით, ის საერთოდაც ღარიბულად გამოიყურება მონაპოვრის მხრით.

* * *

თუ საფუძვლიან წარმოსახვასაც მის კუთვნილ ადგილს დავუთმობთ, ზემოალწერილ ძეგლთა მიხედვით, შეიძლება ზოგად ხაზებში მაინც აღვადგინოთ ნასოფლარის ეპოქაში მშენებლობის ხელოვნების დონე.

იმ ხანად მოსახლეობა სამშენებლო მასალად ძირითადად ხმარობდა ნასოფლარის მიდამოებში ანდეზიტ-ბაზალტის ლოდებს და, ალბათ, ხე-ტყესაც. ანდეზიტ-ბაზალტები ხშირად დედამიწის ზედაპირზეა ამოსული და ატმოსფერული მოვლენებით ისეა დაშლილი, რომ მისი გამოყენება საშენ მასალად ძნელი არაა. ამასთან ერთად შეიძლება ისიც დამტკიცდეს, რომ, როცა „ბუნებისაგან დამზადებული“ ქვა არ კმაროდა, მაშინ მოსახლეობა „მ ი წ ი თ“ ა ღ მ ო ი ღ ე ბ დ ა“, ან „კ ლ დ ი ს ა გ ა ნ ა ღ მ ო ჰ კ ა ფ დ ა“ მას[12]. მაგალითად,

[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 151.

შიდა ფართობზე სწორკუთხედი სახლის იატაკის გაწმენდის დროს გამოირკვა, რომ მისი სამხრეთი ნახევარი მდებარეობდა გაუქმებული და კულტურული ნაშთების შემცველი მიწით ავსებული ქვის სამტეხლოზე (ტაბ. III, 2). შენობის საძირკვლად მდებარე ზოგიერთი ლოდის ზომა და მოყვანილობა შეესატყვისება სამტეხლოში დარჩენილი ქვის ბუდეების ზომას და მოყვანილობას. მაშასადამე, სამშენებლო მასალის ერთი ნაწილი მოჭრილია თვით მშენებლობის ადგილზევე. გარდა ამისა, ძალიან საყურადღებო შედეგი მოგვცა მრგვალი (წრიული) ნაგებობის საძირკვლის ქვებზე დაკვირვებამ. ისინი სხვებთან შედარებით უფრო ღია ფერის და წვრილმარცვლოვანი ბაზალტისაა და მათ არ ემჩნევათ მსხვილი ფორები, რაც ჰაერზე დიდხანს ნაგდები ქვების აუცილებელი ნიშანია. ამგვარი მასალა ჩვეულებრივ გვხვდება ძირითადი ქანის ღრმა ფენებში და უნდა ვიფიქროთ, რომ წრიული შენობის სამშენებლო ქვაც იქაა ამოკვეთილი. ერთი სიტყვით, ეჭვი არაა, რომ მოსახლეობა, თავისი დროის კვალობაზე, კარგად ფლობდა ქვის მოპოვების ხელოვნებას.

ეს საქმე, ალბათ, იქ სრულდებოდა ცეცხლით, წყლით, სოლითა და ბზარმაცით, რომელსაც ოწინარი და ძალაყინიც ეწოდება[13]. იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა კლდის გასახეთქი ლითონის სოლი და წალკატი; არც ქვის ისეთი სატეხებია აღმოჩენილი ნასოფლარზე, როგორიც აღდგომის კუნძულის მოსახლეობას უხმარია ქანდაკებისთვის საჭირო დიდი ლოდების მოსაჭრელად[14].

დამაჯერებლად ვერ დავამტკიცებთ, რომ მშენებლობისათვის მოჭრილსა თუ შეგროვებულ ქვებს საგანგებოდ ამუშავებდნენ. მართალია, საძირკვლებში ნახმარი ბევრი ლოდი საკმაოდ კუთხედი და სწორზედაპირიანი მოჩანს, მაგრამ ძნელია გადაჭრით ითქვას —მხოლოდ ბუნება, თუ ადამიანის ხელიც ურევია ამ საქმეში. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, უფლება გვაქვს მოვიშველიოთ ქვის ისეთი იარაღების აღმოჩენის შემთხვევები ორთავ ფართობზე, როგორიცაა გარშემოჩორკნილი მძიმე უროს დიდი ნატეხი და უფრო მსუბუქი ხელკვერები, რომლებიც კაჟისა და ობსიდიანის ინდუსტრიაშიც გამოდგებოდა. ყოველ შემთხვევაში, შეცდომა არ იქნებოდა ძველი თეთრწყაროელი მშენებლებისათვის, რომლებიც კარგად ფლობდნენ ქვის იარაღის გაჩორკნისა და ხვრეტის საქმეს, მიგვეწერა სამშენებლო ლოდების ნაპირთა მოსწორება და დაკუთხედება. კედლების ზემო ნაწილი შეიძლებოდა უბრალო ქვებით ან ხის მასალით ეშენებინათ.

რადგანაც მომავალი მშენებლობის ადგილი ყოველთვის სწორი არ ყოფილა და ნაგებობა აღმართული უნდა ყოფილიყო, ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული გამოთქმები რომ გამოვიყენოთ, „ფიცხელსა კლდესა ზედა“, ამიტომ საჭირო იყო „შემზადებაჲ ადგილისაჲ“ და „დავაკება“[15]. კლდის ზედაპირის მოსწორების ორი ასეთი შემთხვევა დადასტურდა ნასოფლარზე, სახელდობრ, 1-ლი და მე-3 ქვაყრილების ქვეშ.

საძირკვლები, სადაც ისინი შენახულა, ორპირი წყობით ყორულადაა ნაშენები; შიდა და გარე საპირე დიდ ლოდებს შორის ჩაყრილია ნაშალი ქვა[16].

---

[13] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154.
[14] ტურ ჰეიერდალი, აღდგომის კუნძულის საიდუმლოება, თბ , 1965.
[15] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 155.
[16] იქვე.

შეიძლება ვივარაუდოთ შემამტკიცებელ მასალად შავი ჰუმუსური თიხის ხმარებაც, მაგრამ ამ ვარაუდის მეტყველი ფაქტით შემაგრება არ მოხერხდება, ვინაიდან წყობის ქვებს შორის დამოწმებული შავი მიწა არ განირჩევა ქვაყრილების შემავსებელი ან ნიადაგის მიწისაგან.

მოყვანილობის მიხედვით შენობები ორ ძირითად და ერთ შუალედ ტიპად იყოფა. პირველი ტიპისაა შიდა ფართობის სწორკუთხედი სახლი და გარე ფართობის „სახელოსნო“; ასეთივე ნაგებობები სავარაუდოა წაგრძელებული ყრილების ქვეშაც. მეორე ტიპისაა მრგვალი შენობა შიდა ფართობზე. „ფარეხი“, რომლის ერთი კედელი მორკალულია, ხოლო სამი სწორხაზობრივი, შუალედ ტიპად გვაქვს მიჩნეული.

მრგვალი ანუ წრიული სახლი მხოლოდ ერთი სენაკისაგან შედგებოდა, მაშინ, როცა ზოგიერთი შემორჩენილი კედელი თუ მათი ძალიან მცირე ნაწყვეტები მიუთითებს, რომ „სახელოსნოსაც“ და შიდა ფართობის სწორკუთხედ სახლსაც ზედ მიდგმული სათავსებიც უნდა ჰქონოდათ[17]. საცხოვრებელი სახლის თითო სენაკის ფართი 40—50 მ²-ს უახლოვდება, რაც, თუ ზედ მიდგმულ დამატებით ნაგებობებსაც ვიანგარიშებთ, საკმაო უნდა ყოფილიყო იმ დროის თუნდაც დიდი ოჯახებისათვის. რაც შეეხება „ფარეხს“, მისი ფართი გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი სოფლის ან საგვარეულო საქონლისათვის.

საცხოვრებლად მიჩნეულ ნაგებობებს შესასვლელი სამხრეთიდან ან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აქვთ, „ფარეხს“ კი — დასავლეთიდან.

გადახურვის რაგვარობაზე მსჯელობისათვის ნივთიერი მასალები არ შენახულა. სენაკების საკმაოდ დიდი ფართი გულისხმობს სახურავის გამართულობაში ხის მასალის აუცილებელ მონაწილეობას. მძლავრი თავხისა და ნივნივების გარეშე იმ დროისათვის წარმოუდგენელია 10×5 მ ფართობის გადახურვა. ამგვარი სახურავის მაგალითი უკვე გვიჩვენა ნასოფლარზე რამდენადმე უფრო ახალგაზრდა ბედენის დიდმა აკლდამამ[18]. ამ ძეგლის მსგავსად, ნასოფლარის ნაგებობებსაც ეგება მცირედ გამოხატული ორფერდა სახურავი აგვირგვინებდა. წვიმის ჩაჟონვის წინააღმდეგ ის შეიძლებოდა გადაეგლისათ თიხით და ზედ დაეყარათ ლერწამი ან საერთოდ წყლის ბალახი, რომელიც უხვადაა ნასოფლართან ახლოს, ნადარბაზევის ტბის ნაპირებზე[19]. „ფარეხის“ ზომა, თუ ეს ძეგლი საქონლის საზამთრო სადგომი იყო, მოითხოვდა არა ერთ სვეტზე დამყარებულ გადახურვას, რომლის უძველეს მაგალითსაც კვლავ ბედენის აკლდამა გვაძლევს. მაგრამ ჩვენ უფრო იმ მოსაზრებას ვადგავართ, რომ „ფარეხი“ საზაფხულო სადგომი იყო და ამის საბუთად შეიძლება ის მოვიტანოთ, რომ ამ ადგილზე თავმოყრილი ნანგრევი ქვების რაოდენობა საკმარისი იქნებოდა მხოლოდ დაბალი ნაგებობისთვის, რომლის კედლებსაც პირუტყვი ვერ გადალახავდა**.

ნაგებობათა ერთი ნაწილის შიდა პირი შეულესიათ თიხის ბათქაშით; მისი

---

[17] ამის შესახებ იხ. გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1956 წ. ანგარიში.

[18] გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, „ძეგლის მეგობარი“, 12, 1967; კ. მელითაური, ბედენის ხის აკლდამის კონსტრუქცია. „ძეგლის მეგობარი“, 35, თბ., 1974, გვ. 79.

[19] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 44.

** გ. გობეჯიშვილს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მის მიერ მიკვლეული „ფარეხი“ შეიძლება აწანგვარა იყო. ამის ხაზგასმა უნდა ჩანდეს იმაშიც, რომ ავტორის ვარაუდით, გათხრილ-აღმოჩენილი „ფარეხი“ საზაფხულო სადგომი იყო“, რედ.

ნაშთები, მათ შორის ბევრი კარგად გამოხატული წნელების ანაბეჭდებით, აღმოჩენილია შიდა ფართობის სწორკუთხედ ნაგებობაში. თითქმის ყველა უბანზე ბევრ შემთხვევაში დარჩენილია მომწვარი ან უბრალოდ მოტკეპნილი აყალო მიწის იატაკთა ნაშთები, მათი უმეტესობა ქვის კედლებს გარეთაა. თვით ხე-ტყის ნაშთები არ შენახულა, მაგრამ ჩვენ მაინც გვჯერა, რომ ისინი, და წნულანაბეჭდიანი ბათქაშებიც, ოდითვე არსებული სახლების კუთვნილებაა. ამ მოსაზრების აღიარებას, ცხადია, ის აძნელებს, რომ ხის შენობაში იატაკის გამოწვა დაკავშირებულია ხანძრის საფრთხესთან, მაგრამ თუ იატაკის მომზადება მიმდინარეობს დიდი სიფრთხილით, ანდა კედლების ამოყვანამდე, მაშინ ეს საფრთხე მოხსნილია. ერთი სიტყვით, ხე-ტყით ისეთი მდიდარი მხარისათვის, როგორიც თეთრიწყაროს რაიონია, უცხო არ უნდა ყოფილიყო ხის შენობები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა ერთსა და იმავე სამოსახლოზე „ქვით ხუროობისა“ და „ხით ხუროობის“ თანაარსებობის მეტყველი ფაქტი. რა თქმა უნდა, ეს ვარაუდის სფეროა.



სახლების შიდა გამართულობიდან უნდა აღვნიშნოთ თიხის კერები. ერთ შემთხვევაში (მე-4 ქვაყრილი, ტაბ. XVIII—2) კერა ჩაძერწილი უნდა ყოფილიყო კარის პირდაპირ უკანა კედლის მახლობლად, სხვა შემთხვევაში წრიული ქვაფენილის შუაგულში (ტაბ. X—2 სურ. 15). რიგ შემთხვევებში ისინი აღმოჩენილია ნაგებობათა კედლებს გარეთ, თიხატკეპნილ იატაკებთან, მაგრამ ამ უკანასკნელთა ფრაგმენტული ხასიათი ნებას არ გვაძლევს, განვსაზღვროთ კერების ადგილსამყოფელი ოდითვე არსებულ ნაგებობათა შიგნით. კერამიკული მასალისა და სტრატიგრაფიის საკითხებთან დაკავშირებით, კერებს კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით; აქ კი უნდა ვთქვათ, რომ თიხის კერა, მისი სიხშირის მიხედვით, თითქმის ყველა სენაკში უნდა ვივარაუდოთ.

საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა ქვის მასიური როდინები, უმეტესობა — აშლილ ფენებში და თავდაპირველი ადგილსამყოფელიდან მოშორებით, გორასამარხის ქვაყრილში, მაგრამ წრიულ ნაგებობაში და მის გარეთ, ისინი უძრავად ვნახეთ. ასევე შეიძლება ითქვას ხელსაფქვავებზეც. როგორც ჩანს, მარცვლეულის ცეხვა და ფქვა წარმოებდა როგორც დახურულ შენობებში, ისე ღია ცის ქვეშაც.

ნაგებობათა ნანგრევ ყრილებში და იატაკებზე აღმოჩენილია უამრავი სხვა საგნები, როგორიცაა თიხის ჭურჭელთა ნატეხები კაჟისა და ობსიდიანის იარაღები და სხვა მისთ. აღმოჩენის პირობები ეჭვს არ ტოვებს, რომ ჭურჭლეულის ერთი ნაწილი განლაგებული ყოფილა იატაკზე, სხვები კიდევ — კერებზე და ხის თაროებზე; შენობების ნგრევის პროცესში ზოგი მათგანი ჩამსხვრეულა ადგილზევე, ზოგის ნატეხები კი გაფანტულა და ისინი ჩნდება თავდაპირველი სამყოფელიდან მოშორებით, სრულიად განსხვავებულ დონეზე. ნაგებობებთან ახლო, სადაც ფართობი ნოტიო ადგილს ეკვრის, შემონახულია მოკირწყლული მოედნები (მაგ.. „სახელოსნოსთან“ და მრგვალ შენობასთან (ტაბ. X).

ასეთია დაახლოებით სურათი, რომელიც გვეხატება ნასოფლარის ნაგებობათა გათხრის შედეგად.

ნაგებობათა ნანგრევებისა და მათთან დაკავშირებული სხვა მონაპოვრის ხასიათი ბეჯითად მოწმობს, რომ ეს ნანგრევები, გარდა ე. წ. ფარეხისა, საცხოვრებელი შენობების ნაშთებია, მაგრამ ყოველი სახლი, ჩვენი აზრით, სახელოსნოსაც წარმოადგენდა იმ დროს, როდესაც უამინდობის გამო ეზოში იარაღის კეთება არ ხერხდებოდა. ამ თვალსაზრისით უნდა აიხსნას იმ ნაგებობის დანიშნულებაც, რომელსაც, შიგ დარჩენილი წარმოების ნაშთების მოჭარბებული რიცხვის გამო, „სახელოსნოდ“ მოვიხსენიებთ; მისი ნარევი ინვენტარი სახლ-სახელოსნოს უფრო კარგად შეეფერება, ვიდრე მხოლოდ და მხოლოდ ქვის ინდუსტრიისათვის საგანგებოდ შექმნილ შენობას. ამასთან ერთად, ისეთ შორეულ ეპოქაში, რომელსაც მიეკუთვნება (ქვემოთ შევეცდებით ეს დავასაბუთოთ) ნასოფლარი, საეჭვოა მოსალოდნელი იყოს მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომის წიაღში განცალკევებულ ხელოსანთა წრის არსებობა. ცხადია, იმ დროს იქნებოდნენ იარაღ-საჭურვლის შედარებით მარჯვე, და ნაკლებ მარჯვე გამკეთებლები, მაგრამ ასეთი იყო, ალბათ, სოფლის მთელი მოსახლეობა და არა მარტო სხვა საქმისაგან თავისუფალი ერთი-ორი, ან თუნდაც ათეული ადამიანი. ჩვენ გვგონია, რომ ყოველ სახლში ქვის იარაღთა საკეთებლად გამოყოფილი უნდა ყოფილიყო საამისოდ მოხერხებული კუთხე, სადაც ოჯახის დახელოვნებულ წევრს შეეძლო ნამგლის პირებისა თუ ისრისწვერების გამო-

ჩორკნა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქვის მასალა დიდი რაოდენობით მუშავდებოდა „სახელოსნოშიც“ და სხვა შენობებშიც, მაგრამ მოულოდნელი და საოცარიც კი იქნებოდა, რომ ყველა ნანგრევს წარმოების ნაშთების ერთნაირი ოდენობა შემოენახა; შემორჩენილა მხოლოდ და მხოლოდ ის მასალები, რომლებიც აუხვეტელი დარჩენილა სოფლის გაუკაცრიელებისას.

როგორი ნაწყვეტ-ნაწყვეტიც არ უნდა იყოს თეთრი წყაროს ნასოფლარზე გამოვლენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ნაშთები, ისინი მაინც მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ იმ მასალებში, რომლებმაც საბოლოოდ ნათელი წარმოდგენა უნდა შეგვიქმნან თავისი დროის საქართველოსა და კავკასიის სახლებისა და დასახლების ტიპთა შესახებ. ამ საკითხების გასარკვევად, საბედნიეროდ, თეთრიწყაროული ნაგებობების ამარა არა ვართ; სადღეისოდ გათხრილია არაერთი სხვა ნასოფლარი და დაწერილია სათანადო გამოკვლევები. ახლა ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ თუნდაც უბრალო ჩამოთვლის წესით, გავიხსენოთ ხუროთმოძღვრების ეს ძეგლები, შევადაროთ ზემოაღწერილთ და გავარკვიოთ ის ნიშნები, რომლებიც მათ ერთმანეთთან აერთიანებს ან განასხვავებს. ამასთან, ჩამოთვლის რიგის საფუძვლად მეზობლობის პრინციპს მივმართავთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფრო ნათლად წარმოჩინდება ბუნებრივი გარემოთი და, ეგებ, ეთნიკური სუბსტრატის თავისებურებით შეპირობებული ერთიანობაც და განსხვავებაც.

თრიალეთში, რომლის გაგრძელებას აღმოსავლეთ მიმართულებით წარმოადგენს ბუნებრივი პირობებით მისი მსგავსი თეთრიწყაროს რაიონის მთელი ზეგანი[20], ადრინდელი ლითონის ხანის კარგად გამოხატულ ნაგებობათა ნაშთები ცნობილია ბეშთაშენის ციკლოპური ციხესიმაგრის კედლებს შიგნით. იქ, როგორც აღნიშნავს ბ. კუფტინი, დედამიწის ზედაპირზე გაუთხრელადაც შეინიშნება ოთხკუთხედ საცხოვრებელთა ქვის საძირკვლები. ერთი ასეთი სახლის ბაზალტის დიდი ლოდებით ამოყვანილი ქვემო ნაწილი, რომელიც თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას იქ გაუთხრია[21], სავსებით შეესატყვისება (სამშინებლო მასალით, მშენებლობის ტექნიკითა და გეგმის ტიპითაც), თეთრი წყაროს ნასოფლარის სწორკუთხედ ნაგებობათა ნაშთებს. ერთისა და იმავე კულტურის წრისადმი მათი კუთვნილების დამატებითი საბუთია აგრეთვე ბეშთაშენის ნაგებობაში გამოვლენილი „ქართული პურის საცხობი თორნის ტიპის მრგვალი ღუმელი“, რომელიც გარკვეულად გავს თეთრი წყაროს ჭორდიან კერას ანუ „ლამპარს“ და კიდევ უფრო მეტად—სხვა კერის ნაშთს, რომელზედაც ხორბლიანი ჭურჭელი მდგარა. თრიალეთშივე სოფ. ოზნთან გათხრილია ცერად ჩასმული ქვისფიცრებისგან შედგენილი დიდი რკალი (მისი ქორდის სიგრძე 7 მ), რომელიც, ბ. კუფტინის ვარაუდით, შეიძლებოდა ყოფილიყო ფაცხის ტიპის ხის სახლის ზღუდის ერთი ნაწილი, ზედ მიყრილ მიწასთან ერთად, შენობის დასათბობად გაკეთებული[22]. თუ ეს სავარაუდებელი სახლი, რომლის კედლების არავითარი ნაშთი არ შენახულა, ზღუდის მოყვანილობას

---

[20] ალ. ჯავახიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. ტ. I, თბ., 1926, გვ. 131, 136, 171; Л. И. Маруашвили, Геоморфология и палеогеография части Нижней Картли, გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1957.

[21] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, გვ. 108—109, ტაბ. XVII, I.

[22] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., 1948, გვ. 26—28, სურ. 13, ტაბ. XVII.

იმეორებდა, მაშინ მისი სახით ჩვენ გვექნებოდა გეგმაში წრესთან მიახლოებული ოვალისებრი ნაგებობა, ე. ი. შენობა, რომელიც გარკვეულად შეიძლებოდა გაგვეხილა, როგორც თეთრი წყაროს ნასოფლარზე გათხრილი წრიული სახლის სახესხვაობა. ოზნური რკალის დანიშნულების ასეთნაირი გაგება სინამდვილიდან შორს არ უნდა იყოს, რამდენადაც ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე უცვლელადაა შემორჩენილი ქვისფიცრების შემოყოლება შენობის ძირა ნაწილის გარე მხარეზე (მართალია, არა იმდენად მის დასათბობად, რამდენადაც წვიმის წვეთებისაგან დასაცავად)[23]. ასე რომ, თუნდაც შენობის საძირკველი სულ მოიშალოს, ქვისფიცრების ანუ, როგორც რაჭაში უწოდებენ, „კეცების“ განლაგების მიხედვით, შეიძლება შენობის თავდაპირველი გეგმის აღდგენა. ოზნში ავრეთვე გამოვლენილია თიხატკეპნილი, გამომწვარი მოედნის ნაშთი, სადაც ბ. კუფტინი საკულტო ადგილს ვარაუდობდა[24].— ხელს არაფერი შეგვიშლიდა, რომ ეს ნაშთი მიგვეჩნია ხანძრისგან განადგურებული ხის ნაგებობის იატაკად, მით უმეტეს, რომ ამ მოედანზე ბლომად აღმოჩნდა ხის ნახშირიცა და მეორადი გადაწვის გამო იერშეცვლილი ჭურჭლეულიც. ერთი სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, თრიალეთ-თეთრი წყაროს რაიონის ნასოფლარების მასალები საკმაოდ ცხადად მიუთითებს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ნაშთების ერთიანობაზე. იქ ერთნაირად გავრცელებული უნდა ყოფილიყო სწორკუთხედი და მრგვალი გეგმის ქვისა და ხის საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობანი.

რაც შეეხება ქვემო ქართლის დაბლობ რაიონს, რომელიც თიხებით ძლიერ მდიდარია (იშვიათად თუ შეგვხვდება გაშიშვლებული კლდის მასივები), მშენებლობაში გამოყენებული მასალების მხრით იქ საკმაოდ განსხვავებული სურათი მოჩანს. საგულისხმოა, რომ ბოლნისთან ახლოს, ყორანთაზე, სადაც ქვა ადვილი საშოვნელია, გ. ფხაკაძემ გამოავლინა მრგვალი შენობის საძირკველი— ცერზე ჩასმული ლოდების ორპირი წყობა, შევსებული წვრილი ნაშალით[25], მაშინ, როცა საკუთრივ ველზე შულავერთან და არუხლოსთან საკმაოდ დიდი სამოსახლო ბორცვებია წარმოშობილი ალიზით ნაგებ, აგრეთვე, წრიული ნაგებობების ნანგრევთა ხარჯზე[26]. ამასთან აღსანიშნავია, რომ შულავერსა და არუხლოში მშენებლებს უხვად უხმარიათ სწორზედაპირიანი ალიზის კარგად მოჭრილი დიდი ბლოკები, ხოლო უფრო იშვიათ შემთხვევებში — ბრტყელამობურცული აგურები.

თუ ახლა შიდა ქართლისკენ გადავინაცვლებთ, ჩვენ ვნახავთ, რომ მის ბარ ნაწილში, ზღვის დონიდან დაახლოებით 700-ოდე მეტრ სიმაღლეზე, საკვლევი დროის ნაგებობებში არსად არ გვხვდება ქვის საძირკვლები: გორთან ახლოს გუდაბერტყაზე გათხრილ როგორც სწორკუთხედ და კუთხეებმომრგვალებულ, ისე წრიულ შენობათა საძირკვლები ბზენარევი თიხით შელესილი სარ-ლასტისაა[27] და უნდა ვიფიქროთ, რომ კედლების ზედა ნაწილიც

---

[23] შეად ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930, სურ. 11.

[24] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года..., გვ. 26—28, 30, 33.

[25] გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 16, 63.

[26] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971; Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971, გვ. 31.

[27] ს. ნადიმაშვილი, გუდაბერტყა-ციხიაგორა, იხ. კრებ. „ლიახვი“, გორი, 1963, გვ. 148—152.

ამგვარადვე იქნებოდა ამოყვანილი. სახლთმშენებლობის სავსებით მსგავსი ტექნიკაა დამოწმებული ლ. ღლონტისა და ალ. ჯავახიშვილის მიერ საუცხოოდ გათხრილ ქვაცხელას ნასოფლარზე ურბნისს ახლო[28], იმ განსხვავებით, რომ კუთხეებმომრგვალებული ზოგიერთი შენობის კედელი ალიზის კვადრებისაა, ხოლო საძირკვლები ზოგჯერ მომზადებულია რიყისქვის უწესრიგო წყობით. დაახლოებით ასეთივე სურათია ხიზანაანთ გორაზე თვით ურბნისში[29]. ორივე ნასოფლარი ძევს მტკვრის ნაპირთან, სადაც რიყის ქვა უხვადაა, მაგრამ მშენებელთ ის უხმარიათ უმთავრესად თიხით ნალესი ორპირადწნული კედლის ძირების გასამაგრებლად და არა საკუთრივ მშენებლობაში.

რაც შეეხება შიდა ქართლის უფრო ჩრდილო, მთისწინა ზოლს (როგორიც ცხინვალისა და ოსფრისის სანახებია), იქ გამოკვლეულ ნასოფლარებზე, ერთი გამონაკლისის გარდა, დაურღვეველი საძირკვლები არ შენახულა, მაგრამ, როგორც ჩანს, კულტურულ ნაშთთა ზემოთმდებარე ქვაყრილები უნდა წარმოადგენდეს ნაგებობათა ნანგრევ მასალას. ამ მხრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ცხინვალის ნაცარგორის სულ ქვედა ფენის კერამიკული მონაპოვარი, რომელიც ადრე შემოკლებით გამოვაქვეყნეთ, აღმოჩენილია რიყისქვის საკმაოდ მძლავრი ზვინულის ქვეშ[30]. მისი გათხრის დროს ყრილის რაობა ვერ გაირკვა, მაგრამ ახლა, თეთრი წყაროს ნასოფლარზე გამოკვლეული ქვაყრილები, ვგონებ, საკმაო საფუძველს გვაძლევს, რომ ისიც შენობის ნაშთად ჩავთვალოთ. ასევე უნდა ითქვას იმ ქვაყრილზედაც, რომელიც ბ. კუფტინმა გამოიკვლია სოფ. ოსფრისთან, ნაქულბაქევის მოზრდილ ბორცვზე. ო. ჯაფარიძე გვამცნობს, რომ ბ. კუფტინს, ყრილქვეშ ერთგვარ წესრიგში მყოფი არქეოლოგიური ნივთების მიხედვით, ეს ადგილი საკულტო მოედნად მიუჩნევია[31], მაგრამ თიხატკეპნილი იატაკი, თიხის კერა და მასთან აღმოჩენილი სხვადასხვაგვარი ჭურჭლეული ასევე შეგვეძლო საცხოვრებელი სახლის ჩვეულებრივ ნიშნად მიგვეღო. ეჭვს იწვევს მხოლოდ იქვე ნაპოვნი ადამიანის დამწვარი ძვლები, რომელიც შეიძლება შეწირული „სულის“ ან მოულოდნელი ხანძრის მსხვერპლის ნაშთები იყოს. როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება, ეს კვლავაც გაურკვეველ საკითხად რჩება[32], მაგრამ თვითონ ქვაყრილის წარმოშობა ზემოხსენებული კომპლექსის თავზე სხვანაირად არ აიხსნება, თუ მასში ოდესღაც იქ არსებული ქვის ნაგებობის ნანგრევ მასალას არ დავინახავთ. ბ. კუფტინს საცხოვრებლის არავითარი კვალი არ შეუნიშნავს არც ზღუდრის ბორცვზე ცხინვალის ახლო, რომელზედაც ჯერ ს. ნადიმაშვილს შეუკრებია ნამგლისპირი და თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხოლო მას შემდეგ გათხრების დროს აღმოჩენილა „მოზრდილი ქვებით ნაგები გრძელი კედლის ნაშთი“ (კერამიკა,

---

[28] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 4, 9 შშ.; 44.

[29] ი. კიკვიძე, ადრებრინჯაოს პერიოდის ძეგლები ურბნისში, „ძეგლის მეგობარი“, № 6, 1966.

[30] გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი“, II, თბ., 1952, გვ. 242.

[31] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 19.

[32] ო. ჯაფარიძეს (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 24), ბ. კუფტინისაგან განსხვავებით, ქულბაქების ბორცვი საცხოვრებელ ადგილად მიაჩნია, ხოლო ადამიანის დამწვარ ძვლებს შემდეგნაირად გაგვიმარტავს: „სავარაუდებელია ჭირისუფლებს თავისი მიცვალებული შიგ საცხოვრებელში ან მის მახლობლად დაემარხათ, შემდეგ კი საცხოვრებელი საგანგებოდ წესრიგში მოყვანილი მიეტოვებინათ“.

კაჟის დანა, ქვიშაქვის ცულის ნატეხი, საქონლის ძვლები და თიხის კერები)[33]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი მასალის ერთობლიობა ნასახლარს მოწმობს, ხოლო, კერძოდ, ქვის კედლის ნაშთი ხაზგასმით გვამცნობს, თუ რით ყოფილა ამოყვანილი ამ ნაგებობის საძირკველი. ამიტომ, გაუგებარია, თუ მიწის კიდევ რომელ ზედაპირს და ხისგან ნაგებ რომელ შენობას ეძებდა იქ ბ. კუფტინი[34], როცა ყველაფრის მიხედვით აშკარაა, რომ მონაპოვარი მასალების თანადროული ზედაპირი, დაახლოებით კედლის საძირკვლის დონეზე ყოფილა, ხოლო კედელი მიუთითებს ქვის ნაგებობას და არა ხისას. ჭულბაქების, ზღუდრის ბორცვის და მათ მახლობლად გამოკვლეული სხვა მიკროუბნების თავდაპირველი რაობის შეფასებაში, ბ. კუფტინთან შედარებით, უფრო მართებულ აზრს ადგას ო. ჯაფარიძე. იგი ჭულბაქების ბორცვს „ძირითად სამოსახლო ადგილად“ თვლის, ხოლო სხვა უბნებს — მასთან დაკავშირებით განიხილავს; მაგრამ, ეგებ, ეს მკვლევარიც კი არ იყოს სავსებით სწორი, როცა იქ, სადაც ამისი საფუძველია, ქვის ნაგებობებს მაინც ვერ ხედავს[35]. სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია გავიზიაროთ მისი აზრი, რომლის მიხედვით, ქვაყრილს გარეშე მოედნებზე ხის სახლებია საგულვებელი და ამგვარად ვაღიაროთ, რომ შიდა ქართლის მთისწინა ზოლში ადრინდელი ლითონის ხანის მოსახლეობას როგორც ქვის, ისე ხის სახლები უშენებია.

თუ ახლა უფრო ღრმად შევიწევთ მტკვრის ხეობაში, ახალციხესთან, ამირანის გორაზე ვნახავთ ტ. ჩუბინიშვილის გამოკვლეულ ძალიან საყურადღებო ნასოფლარს და სამაროვანს[36]. სამოსახლოდ შერჩეულია გორის მცირედ მოვაკებული სამხრეთი კალთა. კლდის და რიყის ქვის ნაგებობანი მდებარეობს ხელოვნურად მოსწორებულ ტერასებზე ერთიმეორის გვერდით და უკან, შესასვლელით სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. გამთხრელი ფიქრობს, რომ ნაგებობათა ხის სახურავი ბანური ტიპისა იქნებოდა და ერთი სახლის ამგვარი ბანი შეიძლება მის უკან მდგარი მეორე სახლის ეზოს წარმოადგენდა. თიხით შემტკიცებული კედლები ერთპირია, ზოგჯერ — ორპირი. საცხოვრებელი სენაკები სწორკუთხედი მოყვანილობისაა, კუთხეები ზოგჯერ სწორია და ზოგჯერაც—მომრგვალებული. სახლებს აქვთ თიხატკეპნილი იატაკი. ნასოფლარის მთავარ უბანზე გათხრილი 21 ნაგებობიდან 20 შენობა თითოსენაკიანია და მხოლოდ ერთი სახლია გატიხრული ორ სათავსოდ. სენაკები წაგრძელებულია ან ზოგჯერ კვადრატსაც უახლოვდება. შიდა ფართის ზომა მერყეობს 9—54 მ²-ს შორის. კედლები შემორჩენილა 1,3—1,55 მ-ის დონეზე, მაგრამ გამთხრელს ეჭვიც არ ეპარება, რომ მათი სიმაღლე თავდაპირველად 2—2,5 მეტრზე ნაკლები არ იქნებოდა. ბოლო დროინდელი გათხრის შედეგად, ტ. ჩუბინიშვილმა ნასოფლარს ზემოთ, მთის წვეროზე გამოავლინა „მსხვერპლშესაწირავი სენაკები“ ხოლო თვით ნასოფლარზე — ორი კიდევ სხვა საყურადღებო ნაგებობა. აქ, „სოფლის ცენტრალური უბნის სამხრეთ ნაწილში, ღრმა ხევის პირას, ტერასების ნგრევისაგან დაცვის მიზნით, ძველადვე გაუმართავთ ფართო, მორკალური ქვის ყორე — „გალავანი“; აქვე გამოვლინდა ქვის კიდევ ერთი

---

[33] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22—23.

[34] იქვე, გვ. 23.

[35] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 23, 24.

[36] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 23—25.

გრძელი კედელი, რომელიც დაახლოებით 120 კვ. მეტრ ფართობს საზღვრავდა“[37]. 120 მ² ფართობის „მსაზღვრელი“ ამ „ერთი კედლის“ რაობა გასაგები ხდება ტ. ჩუბინიშვილის ნაშრომის სხვა ადგილებზე, სადაც მკითხველი მიხვდება, რომ საქმე ეხება კედლებით შემოზღუდულ დიდ ფართობს, რომელიც, თეთრი წყაროს ფარეხის მსგავსად, საქონლის ღია სადგომი იყო[38]. ჟნდა ითქვას, რომ ტ. ჩუბინიშვილი, ეგებ, საკმაოდ მართებულად, საქონლის სადგომ ბოსლებად თვლის წაგრძელებული სწორკუთხედის მსგავს შენობებსაც[39].

ადრინდელი ლითონის ხანის ნასოფლარებზე შემორჩენილი შენობები თუ მათი ნაშთი, საქართველოს სხვა მხარეებში ჯერ არ გათხრილა. ამ მხრივ განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო რჩება „თეთრ ლაქად“. ასე ადრინდელი პერიოდის ჭურჭლეული და სხვა ნივთები იქ რამდენიმე შემთხვევაში აღმოჩენილია ძველი ქვის ხანის გამოქვაბულთა ზედა ფენებში, მაგალითად, ძევრთან[40], წონასთან[41] და ჯრუჭულას ხეობაში[42], მაგრამ ჯერჯერობით ძალიან ნაადრევი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ იმ დროს მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ტროგლოდიტებს წარმოადგენდა. მართლაც, თუმცა შენობების ნანგრევებისა არაფერი ჩანს, მაგრამ საყოფაცხოვრებო ნივთები გამოქვაბულის გარეშე ღია ცის ქვეშაა აღმოჩენილი ოჩამჩირეში[43], კისტრიკში[44], დაბლაგომში[45], თეთრამიწაზე[46] და სათაფლიაზე. ერთი შეხედვით, თითქოს გამოდის, რომ ისევე როგორც ახლა, ან ძალიან ახლო წარსულში, იმ დროსაც იქ ხის შენობები ყოფილა გავრცელებული, რის გამო მათი კვალიდან აღარაფერი დარჩენილა, მაგრამ ასეთი ვარაუდი უსაფუძვლოა, რადგანაც დასავლეთ საქართველოს ნოტიო გრუნტებს აუცილებლად უნდა ეკარნახა მშენებელთათვის ქვის საძირკვლების მომზადება. ერთი სიტყვით, საქართველოს ამ ნაწილის ადრინდელი ლითონის ხანის სამშენებლო მასალების განსაზღვრისათვის ნივთიერი საბუთები მოისაკლისებს და ამიტომ ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეს, იქ, როგორც ზემომოტანილი მოკლე ცნობების მიხედვით ჩანს, სრული ერთფეროვნება არ არსებობს, მაგრამ არსებითი ერთიანობა კი შეიმჩნევა. სამშენებლო მასალების რაგვარობა და ხასიათი განსაზღვრულია ყოველი ცალკეული რაიონისა და მიკროუბნის ბუნებრივი მონაცემებით. იქ, სადაც კლდის მასივები შიშველია

---

[37] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის კულტურა, თბ., 1965, გვ. 118 (შდრ. იქვე, გვ. 70—71).

[38] ი ქ ვ ე, გვ. 95, 125.

[39] ი ქ ვ ე, გვ. 89, 125.

[40] ნ. კ ი ლ ა ძ ე, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, სმამ, ტ. XIV, № 29, თბ., 1953, გვ. 562.

[41] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ქვის ხანა საქართველოში, სინ. I, თბ., 1970, გვ. 92.

[42] დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ხეობაში, სსმმ, ტ. XXIII-B, თბ., 1962, გვ. 34.

[43] Л. Н. С о л о в ь е в, Энеолитические селища у Очамчирского порта в Абхазии, Материалы по истории Абхазии, I, Сухуми, 1939; Б. А. К у ф т и н, МАК, II, 1950, გვ. 268—270.

[44] А. Л. Л у к и н, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, СА, XII, М.-Л., 1950, გვ. 247—286.

[45] Б. А. К у ф т и н, МАК, II, გვ 114—116, 127—141.

[46] ნ. კ ი ლ ა ძ ე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29, თბ., 1951.

და დაბზარული (თეთრიწყაროს, ყორანთა, ახალციხე), მშენებლობაში უპირატესად ნახმარია ნატეხი ქვები; მდინარეთა სანაპიროზე (ნაცარგორა, ურბნისი და სხვ.) — რიყის ქვები; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ალუვიური თიხაც უხვადაა გავრცელებული (შულავერი, არუხლო, ურბნისი), საშენ მასალად გამოყენებულია ალიზი, ან მისგან მოჭრილი სხვა ტიპის აგურები.

ამასთან, აღნიშნული მასალები ნახმარია ან მხოლოდ საძირკვლების, ანდა მთელი კედლების ამოსაყვანად. მაგალითად, ახალციხეში ყველა შენობის 3 კედელი მაინც, ქვისა ყოფილა, ხოლო შულავერში და არუხლოში ნაგებობები მთლიანად ალიზის, ანდა გამოუწვავი აგურისაა: ქვაცხელებში ქვებით მხოლოდ საძირკვლებია შემზადებული. იგივე შეიძლება ითქვას თეთრიწყაროს ზოგ შენობაზე. ქვებისა და თიხების გარდა, მშენებლობაში ნახმარია ხე-ტყის მასალა. თუმცა ხის ნაშთი არც ერთ შენობას არ შეუნახავს, მაგრამ მისი გამოყენება უეჭველია: ერთი მხრით, თიხის ბათქაშზე შემორჩენილი ძელებისა და ლასტისებური წნულის ანაბეჭდები, მეორე მხრით კი, სარ-ბოძთა დალპობის ან დაწვის შემდეგ მიწაში დარჩენილი ღრმა ფოსოები და ზოგჯერ სარების დანახშირებული ბოლოები უტყუარი საბუთებია, რომლებიც გვამცნობს, რომ ჩვენს დროში ისეთ უტყეო ადგილებშიც, როგორიც გუდაბერტყა და ურბნისია, ძველად, უპირატესად, ხის სახლები უშენებიათ[47]. მათი საძირკვლები ძალიან ხშირად ქვებითაა შემზადებული, მაგრამ თეთრი წყაროს ნასოფლარის შიდა ფართობზე, სადაც თიხატკეპნილი იატაკების ნაწყვეტები, ჩვენი აზრით, ოდითგანვე ხის შენობების ნაშთებია, ასეთ საძირკვლებს ვერ ვხედავთ, ალბათ იმიტომ, რომ ნიადაგის ძალიან თხელი ფენის ქვეშ სწრაფად იწყება კლდის მასივი, რომელსაც, ჩანს, გაუწევია ხელოვნურად შემზადებული საძირკვლების მაგივრობა. ხის მასალა ნახმარია ნაგებობების სახურავადაც და, როგორც ტ. ჩუბინიშვილი ვარაუდობს, ახალციხის ნასოფლარის ქვის ზოგიერთი შენობის წინა კედელიც ხისა ყოფილა[48]. ალბათ, ასეთივე კედელი ჰქონდა თეთრი წყაროს მე-5 ყრილის ადგილზე სავარაუდო ქვის შენობასაც, თუკი ის იმთავითვე ღია არ იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი ნაგებობანი მოყვანილობით გაიყოფა ორ ძირითად და რამდენიმე შუალედ ტიპად. ალიზის, ანდა მისგან მოჭრილი გამოუწვავი აგურების დღემდე ცნობილი ყველაზე ადრინდელი ნაგებობები ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში (შულავერი, არუხლო) მრგვალ სახლებსა და სათავსებს წარმოადგენს. იმავე მასალით აგებულ, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მოღწეულ სახლს ქვაცხელებზე იმდენად მომრგვალებული კედლები აქვს, რომ ის უფრო მოგვაგონებს წრიულ შენობას, ვიდრე ოთხკუთხედს[49]. ესაა ძეგლი, რომელსაც თვალსაჩინოდ შემოუნახავს, ერთი მხრით, ქვემო ქართლის დაბლობი ზონის ხუროთმოძღვრული ტრადიცია და, მეორე მხრით, შესაძლოა, უფრო ახალი ოთხკუთხოვანი ფორმებისაკენ მისწრაფების მაუწყებელი, ასევე ნათლად გამოსახული ზოგი ნიშანი. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ან რამდენადმე სახეშეცვლილი გარდამავალი ქვეტიპები შეინიშნება როგორც ქვის, ისე ხის არქიტექტურულ ძეგლებშიაც. ქვის შენობებში ასე-

---

[47] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, გვ. 4-7, 9—10, 13—14, 16, 18, ტაბ. VI—XI, XV—XVI, XXI—XXIII; ს. ნადირაშვილი, დასახ. ნაშრ.

[48] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 24.

[49] შდრ. ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, გვ. 15, ტაბ. XVIII—XIX.

თად შეიძლება ჩაითვალოს თეთრ წყაროში გარე ფართობზე გამოვლენილი დიდი ფარეხი, ხოლო ხის შენობებში — გუდაბერტყას ოვალური შენობა და ოზნის ის სავარაუდო ნაგებობა, რომლისაც მხოლოდ ცერზე ჩასმული ბრტყელი ქვებია შემონახული. ქვით ამოყვანილი მრგვალი შენობის წმინდა ტიპს საქართველოში ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ თეთრწყაროსა და ყორანთაში. ისინი უნდა ჩაითვალოს ქვემო ქართლის დაბლობი ზონის ალიზის წრიულ შენობათა ქვაში განხორციელებულ ორეულებად.

ხუროთმოძღვრული ძეგლების მეორე ძირითად ტიპს სწორკუთხედი ან კვადრატული მოყვანილობის შენობები ქმნის. II ტიპი წმინდა სახით წარმოდგენილია თეთრიწყაროსა და ახალციხის ნასოფლარებზე, სადაც ყველა ასეთი ნაგებობა ქვებითაა აშენებული. ალბათ, გეგმაში ასევე სწორკუთხედი მოყვანილობის იქნებოდა ხის შენობებიც, რომელთა კედლებიდან ჩამონგრეულ შელესილობას თეთრ წყაროსთან თიხით მოტკეპნილ მოედნებზე შემოუნახავს მსხვილი ძელების ანაბეჭდები. II ტიპის ნაგებობათა არსებობას მოწმობს სამგორის გორასამარხში აღმოჩენილი ჯარგვალისებრი მუხის აკლდამა. გუდაბერტყასა და ურბნისთან გათხრილ სარებზე მოწნულ და თიხის ბათქაშით შელესილ ნაგებობათა უმეტესობას მომრგვალებული კუთხეები აქვს. კუთხეების მომრგვალებული მოყვანილობა, როგორც ალ. ჯავახიშვილი და ლ. ღლონტი ვარაუდობენ, შესაძლოა, მართლაც მრგვალ შენობათა ტრადიციის გადმონაშთსაც წარმოადგენდეს[50], მაგრამ, ამასთან ერთად, ნაკარნახევი უნდა იყოს მშენებლობაში ნახმარი წნელების თვისებითაც: წნელის მოდრეკა სწორი კუთხით ხშირად მთავრდება მისი გატეხით, მაშინ, როცა რკალურ მოღუნვას ადვილად იტანს და „მშენებლის“ ხელს ემორჩილება. კუთხეებმომრგვალებული ხის შენობები, ალბათ, იდგა თეთრიწყაროს ნასოფლარზედაც, სადაც ზოგიერთ თიხატკეპნილ მოედანზე ნაპოვნ თიხის ბათქაშის ნატეხებზე შერჩენილია ლასტისებური ანაბეჭდები***.

ნეოლითის გასულისა და ადრინდელი ლითონის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში გამოკვლეული ყველა საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობა, სულერთია როგორი მოყვანილობისა იყო ან რა მასალით აუგიათ ისინი, ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, იპყრობს საკმაოდ კარგი გამძლეობით. ეს შენობები გათვალისწინებული არის წლის ყველა დროის ამინდში მოხერხებული ცხოვრებისთვის. თეთრწყაროშიაც ასეა და სხვა ნასოფლართა გამთხრელებიც აღნიშნავენ, რომ ნაგებობათა კედლები თავისი დროის კვალობაზე მყარადაა ამოყვანილი და ხშირად გულდასმით შელესილი ბზენარევი თიხის ბათქაშით: საბურავი საკმაოდ საიმედოდ ყოფილა გამართული; იატაკი ძალიან ხშირად მრავალფენიან თიხატკეპნილის სახითაა შემორჩენილი; შესასვლელი მიქცეულია მზიურ მხარეზე, ან წლის ცივ სეზონში ქარების ქროლვის მიმართულებით[51].

---

[50] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, გვ. 45

*** გ. გობეჯიშვილის წინამდებარე ნაშრომში, რომელიც ავტორის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლის წინ არის დაწერილი, ცხადია, არ არის ასახული ა. ჯავახიშვილის სპეციალური გამოკვლევა — Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., რომელიც გამოქვეყნდა 1973 წლის ბოლოს (რედაქტორი).

[51] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, გვ. 44; ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, გვ. 24; ს. ნადირაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 149—150; ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), „მაცნე“, 1967, № 3, გვ. 294.

ერთი სიტყვით, ადამიანებს, რომლებსაც ეს სახლები უშენებიათ, უკვე ჰქონიათ ადგილობრივი ბუნებრივი პირობების კარგი ცოდნა და დაკვირვების შედეგად დაგროვებული გამოცდილება — მაშასადამე, მკვიდრი ცხოვრების არცთუ ხანმოკლე ისტორია, რომლის საფუძვლად ჩვეულებრივ მიწათმოქმედება, მასთან ძალიან მჭიდრო კავშირში მყოფი მეცხოველეობა და ხელოსნობა-წარმოება იგულისხმება. ეჭვი არაა, რომ ეს ადრინდელი შენობები და მათგან შემდგარი პატარა თუ დიდი სოფლები ეკუთვნოდა ოჯახებს, გვარებს, ან ერთმანეთთან ნათესაობით დაკავშირებულ ადამიანთა სხვა კოლექტივებს, რომელთა საარსებო საშუალებათა მარაგის ზრდაში მიწის დამუშავებასა და პირუტყვის მოვლას მნიშვნელოვანი როლი უთამაშნია. ხანგრძლივად სახმარ საცხოვრებელ ნაგებობებს სწორედ შეეფერება ნასოფლარებზე დამოწმებული, ხშირად საკმაოდ სქელი კულტურული ფენები, ანდა ვრცელი ფართობები, რომლებიც აღნიშნულ სოფლებს ეკავა თავის დროზე. ისინი საუკეთესო საბუთებია აქაურ გვარ-ტომური ერთეულების ხანგრძლივი, ბინადარი სამიწათმოქმედო საქმიანობის დასამტკიცებლად. მართლაც, სხვა ავტორებიც მიუთითებენ, რომ მყარი საოჯახო საცხოვრებელი ნაგებობა გონივრული შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც ხალხი ერთ ადგილზე ხანგრძლივადაა ხვნა-თესვისათვის დამკვიდრებული[52].

ადრინდელი ლითონის ხანის კავკასიის არქეოლოგიური კულტურების მკვლევრები, მართალია, მიუთითებენ ზოგიერთი სამოსახლოს (როგორიცაა, მაგალითად, ოზნი და ახილარი თრიალეთში, ქულბაქები და მისი მომდგომი სადგომები ოსფრისსა და ცხინვალთან, დროებით ანდა უფრო სწორად, სეზონურ დანიშნულებას[53], მაგრამ ისინი მაინც არ განიხილება როგორც შემგროვებელთა ან მონადირეთა სწრაფასაყრელი ბანაკები, რომლებიც ცნობილია განვითარების დაბალ დონეზე მდგომ ხალხებში[54]. ეს არის მიწათმოქმედ-მეცხოველე საზოგადოების წევრთა სამყოფლები[55]. ამ ტიპის სადგომების გაჩენის მიზეზს ბ. პიოტროვსკი და ო. ჯაფარიძე ხედავენ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ბოლო ეტაპზე პირუტყვის დიდი მატების შედეგად წარმოშობილ სამთაბარო ცხოვრების წესში[56]. რადგან დაბლობის საძოვრები აღარ ჰყოფნიდათ უკვე ძალიან მომრავლებულ პირუტყვთა ჯოგებს, ამიტომ, მიწათმოქმედ-მეცხოველე ტომისა და გვარის ერთ ნაწილს ზაფხულობით პირუტყვიანად უხდებოდა მთის წინა ზოლში დროებითი გადანაცვლება, რათა ბარში დარჩენილ მხვნელ-მთესველ ნათესაობას საზამთროდ ისევ უკან დაბრუნებოდა. ო. ჯაფარიძის მიხედვით, სწორედ ამ სეზონურ ადგილგადანაცვლების შედეგადაა წარმოშობილი შედარებით თხელი კულტურული ფენებით დახასიათებული სამოსახლონი[57]. ეს თვალსაზრისი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ მწყობრადაა გამართული და ჩვენი აზრითაც სანამდვილეს შეეფერება, მაგრამ ზოგიერთი დაზუსტება და შენიშვნა, შესაძლოა, საჭირო გახდეს. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ კავკასიის არა მარტო მთის წინა ზოლის, არამედ საკმაოდ მაღალ ზეგანთა და, სა-

---

[52] I. E. Lips, Vom Ursprung der Dinge, Leipzig, 1955, გვ. 29.

[53] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის, გვ. 32, 34, 38.

[54] I. E. Lips, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

[55] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32, 35.

[56] Б. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армении, СА, XI, М.-Л., 1949, გვ. 176, 180; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[57] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

კუთრივ, მთის ათვისება, დაწყებულია „მტკვარ-არაქსის“ კულტურის უწინარეს პერიოდში და გრძელდებოდა იგი ამ კულტურის მთელ სიგრძეზედაც[58]. ამასთან მთაში ასულ მესაქონლეებს, როგორც ზოგიერთი ფაქტით მტკიცდება, მკვიდრი სოფლები უშენებიათ და პირუტყვის მოვლა-მოშენებასთან ერთად, ადგილობრივ სახნავ-სათესი ფართობებიც გაუჩენიათ. ძალიან სავარაუდოა, რომ ადრინდელმა მთის ამ „სტუმრებმა“ კავკასიის მოსახლეობას მოუტანეს ლითონისა და მისი მადნის მოპოვება-დამუშავების პირველი ცოდნა[59], რომელიც საკმაოდ მაღალ საფეხურზე ავიდა უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის დამდეგიდანვე. ჩვენი მტკიცების ის ნაწილი, რომელიც მთაში ადრეულ, ჯერ კიდევ ენეოლითურ პერიოდში მოსახლეობის გამოჩენას შეეხება, დეკლარაციად რომ არ დარჩეს, ქვემოთ მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს. ნეოლითური დროის, ან შეიძლება ენეოლითის დასაწყისის, იარაღები აღმოჩენილია საკაურას ხეობაში ზემო რაჭაში[60]; ძვ. წ. IV ათასწლეულის სამოსახლო ძალიან მძლავრკედლებიანი ქვის საცხოვრებელი შენობების ან ზღუდის ნაშთებით შესწავლილია მთიანი დაღესტნის ადგილ გინჩიში[61]: მთიან დაღესტანშივე ძვ. წ. III ათასეულის მკვიდრ მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურა აღმოჩენილია სოფ. გაგათლისთან[62]. III ათასეულის კულტურის ძეგლებს მკვლევრები ადასტურებენ კუდაროში[63], ყობანში[64] და დიგორში ფასყაუსთან[65]; თვითონ თეთრი წყაროს ენეოლით-ადრინდელი ბრინჯაოს ხანის სამოსახლოც ხომ საკმაოდ მაღალ ზეგანზეა. მხედველობაში რომ არც იქნეს მიღებული იმ დროის სხვა ცალკეული მასალებიც[66], ან თრიალეთის „ენეოლითური“ სადგომები ბინადარი ცხოვრებისმანიშნებელი კერებით, ხელსაფქვავებითა და ნამგლის პირებით[67], უკვე ზემოთ დასახელებული მასალები მიუთითებს კავკასიის მთის ათვისებაში ადრე გადადგმულ ნაბიჯებს.

მთისწინა ზოლის ზოგიერთ სამოსახლოზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის შედარებითი სიმცირე, რაც, ერთი შეხედვით, ამ სამოსახლოთა დროე-

---

[58] შდრ. ტ. ჩუბინიშვილი, მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 28.

[59] გ. გობეჯიშვილი, შუაბრინჯაოს ხანა, იხ. „საქართველოს არქეოლოგია“, თბ., 1959, გვ. 112.

[60] გ. გობეჯიშვილი, აქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 35.

[61] М. Г. Гаджиев, Древнейшее оседло-земледельческое поселение в горном Дагестане, Тезисы докладов на сессии Отделения общественных наук АН СССР, М., 1964; Он же, Новые данные о южных связях Дагестана в IV—III тысячелетиях до н. э., КСИА, вып. 108, М., 1966, გვ. 55—61.

[62] М. Г. Гаджиев., Раскопки памятников бронзового века в горном Дагестане. Археологические открытия 1968 года, М., 1969, გვ. 102.

[63] В. П. Любин, Высокогорная пещерная стоянка Кударо I (Юго-Осетия), Изв. Всесоюзного географического общества, т. 91, М., 1959, გვ. 179.

[64] Е. И. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА, СССР, 23, М., 1951, გვ. 21—26.

[65] В. П. Любин, Энеолитический комплекс из грота Шау-Легет, КСИА, 108, М., 1966, გვ. 49—54.

[66] მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კაჟის ისრისწვერები, რომლებიც უპოვიათ მდ. ლუხუნის ზემო წელში, დაცული იყო სოფ. აბარის (ამბროლაურის რ-ნი) საშუალო სკოლის მუზეუმში, რომელსაც ხელმძღვანელობს მასწავლებელი ალ. ჯაფარიძე, ნახეს რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა გ. გობეჯიშვილმა და ო. ლამბაშიძემ.

[67] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941. გვ. 106—118.

ბით ხასიათზე მიუთითებს, ჩვენი აზრით, აიხსნება ორი მთავარი მიზეზით: ერთი, ეს სამოსახლოები (მაგალითად, ოსფრისი, ზღუდისგვერდა და სხვ.) მდებარეობს საკმაოდ დახრილ ფერდობებზე, რომლებიც ადვილად ირეცხება და, მაშასადამე, შეიძლებოდა საუკუნეთა სიგრძეზე იქ მნიშვნელოვნად წაშლილიყო ინტენსიური ცხოვრების კვალი. მეორე, ასეთ ადგილებში გამოკვლეულია ძალიან მცირე ფართობები, სრულიად არასაკმარისი იმისათვის, რომ მონაპოვარმა გადამწყვეტი დახმარება გაგვიწიოს თავდაპირველი ვითარების აღდგენაში.

ამისდა მიუხედავად, ამ საცხოვრისებზე ამოთხრილი თუნდაც საკმაოდ „მწირი“ მასალები, როგორიცაა საგულდაგულოდ გამოძერწილი თიხის კერები, კერამიკა, ზოგჯერ — ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავები, თიხატკეპნილი იატაკებისა და ქვაყრილების მიხედვით საგულვებელი ხისა და ქვის შენობები და, ბოლოს, სამოსახლოთა ფართობებზე დამოწმებული საფლავები[68], თავისთავად მიგვანიშნებს თუ არა ყველგან გაბმულ ცხოვრებას, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც, რომ ერთხელ ამორჩეულ სეზონურ სამოსახლოს იყენებდნენ ძალიან ხშირად.

ჯერჯერობით, სანამ სხვადასხვა ზონაში გამოკვლეული არაა ერთი და იგივე პერიოდის თუნდაც რამდენიმე ნასოფლარი, ნაადრევად მიგვაჩნია გადაჭრით ვთქვათ, თუ პრინციპულად რა ნიშნები განასხვავებს ერთმანეთისაგან საქართველოს ბარის, მთისწინეთის და თვით მთის სამოსახლოებს და ნაგებობებს. ერთგვარი სხვაობა შეიმჩნევა სამშენებლო მასალებში, მაგრამ ეთნიკური თვალსაზრისით მას, ჩვენი აზრით, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან, როგორც მკვლევარნი შენიშნავენ, ეს მოვლენა მთლიანად შეპირობებული არის მიკრორაიონთა ბუნებრივი პირობებით.

ადრინდელი ლითონის ხანის კავკასიის ნესტიანი ჰავის პირობებში სამშენებლოდ ივარგებდა ბზენარევი თიხაც, ალიზის აგურებიც, ქვაცა და ხის მასალაც, თუ, მით უმეტეს, შენობათა კედლებს საგულდაგულოდ შელესავდნენ. ალუვიური თიხებით მდიდარი ბარის, კერძოდ, ქვემო ქართლის ვაკის ჯერ კიდევ „ნეოლითური იერის“ კულტურის მატარებელი საზოგადოება, რომელსაც შულავრის და არუხლოს სამოსახლოები შეუქმნია, წარმატებით ამზადებდა ალიზის სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის აგურებს და ასევე წარმატებით იყენებდა მათ სახლმშენებლობაში[69]. ეს ტრადიცია შენახულია ადრინდელი ბრინჯაოს ხანის („მტკვარ-არაქსის“ კულტურის პერიოდი) შიდა ქართლის ვაკეზედაც, რამდენადაც ამას მოწმობს ქვაცხელების გათხრის შედეგად აღმოჩენილი ზოგი შენობის ნანგრევები[70]. ერთგან და მეორეგანაც, კედლის წყობის სიმტკიცისათვის, აგურებთან ერთად უხმარიათ ბზენარევი თიხაც. ბარისაგან

---

[68] Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 года..., с 42—43; გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, „მიმომხილველი“, II, გვ. 242. ალბათ სავსებით მართალია, ო. ჯაფარიძე, რომელსაც ჭულბაჭების ნასახლარზე აღმოჩენილი ადამიანის დამწვარი ძვლები და ფერფლი კრემაციული სამარხის ნაშთად მიაჩნია (იხ. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 19 და 24). თეთრი წყაროს ნასოფლარზე საცხოვრებელი სახლის ნანგრევებს ქვეშ აგრეთვე აღმოჩენილია ქვის სამარხი კრემაციის ნაშთებითურთ (იხ. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1956 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი), თავი „სამარხები“).

[69] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), „მაცნე“, 1967, № 3, გვ. 294; მ ა თ ი ვ ე, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971, გვ. 40.

[70] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

განსხვავებით, არც მთაში და არც მთის წინა ზოლში ჯერჯერობით ცნობილი არაა ალიზის აგურის გამოყენების შემთხვევები. იქ უმთავრესად ვხვდებით ქვის შენობებს და, აგრეთვე ივარაუდება ხის ნაგებობანიც რომლებიც აგრეთვე დამოწმებულია ბარშიც.

გარკვეული კანონზომიერება ჩანს ნაგებობათა მოყვანილობის განვითარებაში. ნეოლითის დასასრულისა და ლითონის პირველგამოჩენის ხანის ქვემო ქართლის ველის ტომებს წრიული ან ოვალური გეგმის სახლებში უცხოვრიათ. სახლის ამგვარსავე ტიპებს ვხედავთ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ხუროთმოძღვრულ ნაშთებს შორისაც როგორც ბარში (ყორანთა, გუდაბერტყა, ურბნისი), ისე ზეგნებზე (თეთრი წყარო, ოზნი). მაგრამ ამ დროს უპირატესად სარგებლობენ ოთხკუთხედი გეგმის სახლებით, რომლებსაც ხშირად კუთხეები მომრგვალებული ჰქონია[71]. ნაგებობათა განვითარების ამ სურათში მნიშვნელოვანია აღინიშნოს წრიული (მრგვალი) გეგმის სახლთა მშენებლობის ტრადიციის ხანგრძლივობა, რომელიც განისაზღვრება დროის დიდი მონაკვეთით, ნეოლითის გასულიდან ვიდრე „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გასვლამდე, ე. ი. ძვ. წ. V—III ათასეულებით. ნაგებობის ეს ტიპი ერთმანეთთან მემკვიდრეობით აკავშირებს შულავერ-არუხლოს ტიპის ძეგლებსა და თეთრიწყარო-ყორანთა-გუდაბერტყას ნასოფლარებს. ამავე დროს, მიუთითებს მთისა და ბარის კულტურების გარკვეულ ერთიანობაზე.

დროსა და სივრცეში განფენილ ამ უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ერთიანი ხაზის დასაჭერად, უაღრესად საყურადღებო იქნებოდა ნასოფლართა გეგმარების, თავდაცვის სისტემისა და სხვა ამგვარი საკითხების დაწვრილებით გამოკვლევა, მაგრამ საამისო მასალები, სამწუხაროდ, ერთობ ცოტაა და ხშირად ერთმანეთთან შედარება-დაპირისპირების საშუალებას არ იძლევა; ზოგიერთი ნასოფლარის გათხრა დასრულებული არაა და არ ვიცით თუ რა მოულოდნელობებს გვიქადის მომავალი საველე-არქეოლოგიური მუშაობა; ზოგზეც შემორჩენილია თითო-ოროლა სახლის ნაშთი და მხოლოდ ორიოდე სამოსახლო შეიძლება ჩაითვალოს შედარებით უფრო ფართოდ შესწავლილად. ამ ვითარების პირობებში ფაქტების განზოგადება კანონზომიერებას ვერ დაიჭერს და ასეთის ცდა მხოლოდ წინასწარულად და უაღრესად პირობითად უნდა ჩავთვალოთ.

აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მიკვლეული ყველაზე უძველესი სამოსახლოები (შულავერი და არუხლო) ახლა მოზრდილ ბორცვებს წარმოადგენენ, რომლებიც წარმოქმნილია სხვადასხვა დროის შენობათა ნანგრევების, სამშენებლო ნარჩენებისა და ყველა დასახლებისათვის დამახასიათებელი გადანაყრების ხარჯზე; მაგრამ ამ ადგილთა თავდაპირველი მოსახლენი, როგორც ჩანს, დამკვიდრებულან გაშლილ ველზე, რომელსაც არავითარი ბუნებრივი ზღუდე არ ჰქონდა. გათხრით მოპოვებული არქეოლოგიური მასალები არ მოწმობს, რომ ეს პირველი მკვიდრნი იმდენ დოვლათს ფლობდნენ, რომ ისინი რომელიმე მტაცებელი ტომის ანდა გვარის თავდასხმების შიშში ყოფილიყვნენ, რა შემთხვევაშიაც მათ უნდა ეზრუნათ ადგილსამყოფელის გამაგრებისათვის. არუხლოს სამოსახლოს ჯერ დაუმთავრებელი გათხრის შედეგები მოწმობს, რომ ბორცვს შემოვლებული ჰქონდა ღრმა და ფართო თხრი-

---

[71] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, ტაბ. 2.

ლი. ტ. ჩუბინიშვილის მოსაზრებით[72], თავის დროზე ეს თხრილი გამდინარე წყლით ყოფილა ავსებული და ერთსა და იმავე დროს ასრულებდა თავდაცვითი ზღუდის როლსაც და შედიოდა, როგორც შემადგენელი ნაწილი, სარწყავი ქსელის სისტემაშიც. მაგრამ ჯერ კიდევ დადგენილად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუ ვინ გაჭრა აღნიშნული თხრილი — თავდაპირველმა მცხოვრებლებმა, თუ შემდგომმა თაობებმა. როგორიც არ უნდა იყოს საქმის ჭეშმარიტი ვითარება, ამ მნიშვნელოვანი ძეგლის არსებობა დაკავშირებულია ენეოლითური სამოსახლოს რომელიღაც პერიოდთან და ბეჯითად მიუთითებს დიდ ღონისძიებას თავდაცვისათვის მხეცების ან მტრული ტომების შემოსევის შემთხვევაში.

ენეოლითური დროის სამოსახლოთაგან ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ცხინვალთან გათხრილი ნაცარგორაც. ვიდრე მას ადამიანი საცხოვრებლად აირჩევდა, ის ჩვეულებრივი ბუნებრივი კონცხი იყო ლიახვისა და ტბეთის ხევის ღრმა კალაპოტების შესაყართან წარმოქმნილი. ახლა კარგად ჩანს, რომ ეს კონცხი გამოცალკევებულია მიმდგომი ველისაგან ღრმა და ფართო ხელოვნური თხრილით, რის შედეგადაც შექმნილია სამოსახლო ბორცვი[73]. ვინაიდან ხელოვნური თხრილი არქეოლოგიურად გამოუკვლეველი დარჩა, ამიტომ გადაჭრით არაფერი ითქმის მის თარიღზე — გააკეთეს ის ენეოლითელმა ადამიანებმა, თუ უფრო გვიანდელმა მცხოვრებლებმა, რომელთაც იქ დაგვიტოვეს ორი მძლავრი ქვედა კულტურული ფენა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს მისი მაღალი თარიღის საწინააღმდეგო საბუთები.

სამოსახლოს დაცვისათვის ზრუნვის მაგალითებს, მით უფრო უნდა მოველოდეთ შემდეგ პერიოდში, როცა მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და მეტალურგიის აღმავლობის საფუძველზე შეიმჩნევა ქართლის მოსახლეობის ქონებრივი დაწინაურება. მართლაც, ქვაცხელების სამოსახლოს მკვლევარები ძალიან გარკვეულად აღნიშნავენ, რომ ეს ძეგლი გაშენებულია მდინარე მტკვრით და ხევებით ბუნებრივად სამმხრივ, ხოლო მეოთხე მხრით — ხელოვნური თხრილით დაცულ ველზე[74]. შიდა ქართლის კიდევ ერთი სამოსახლოს — გუდაბერტყას[75] გათხრას თუმცა ჯერჯერობით არავითარი ხელოვნური თხრილი არ წარმოუჩენია, მაგრამ ბორცვი, რომელზეც ის მდებარეობს, თავის დროზე გამაგრებული ყოფილა თიხის და ბელტების ზღუდით; ამასთანავე, შედის კვერნაკის მთის ძირას ბუნებრივად ამოზღუდულ იმ გორაკთა სისტემაში, რომელთაც გაბატონებული ადგილი აქვთ დაჭერილი ტირიფონას ველის პირზე; მაშასადამე, თავდაცვითი სტრატეგიის თვალსაზრისით მოხერხებულ საცხოვრებელ ადგილებად ჩაითვლება. ამგვარივე უშიშარი ადგილია თრიალეთში ახილარი, სადაც ჯერ გამოუკვლეველი ძველი თხრილიც და ციკლოპური ზღუდის ნაშთიც შეიმჩნევა[76].

თითქმის სულ ამით განისაზღვრება ჩვენი ცოდნა ნეოლით-ენეოლითისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ნასახლართა თავდაცვით თხრილებსა და კედლებზე. მართალია, როგორც ზემოთაც აღინიშნა,

---

[72] Т. И. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971, გვ. 32.

[73] გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი“, II, გვ. 240.

[74] აღ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, გვ. 44.

[75] ს. ნადიმაშვილი, გუდაბერტყა-ციხისგორა, გვ. 148—151.

[76] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 110.

თეთრი წყაროს ნამოსახლარის სამხრეთ საზღვარსაც 180 მეტრ სიგრძეზე გაუყვება 2 მ სისქის ყორის ნანგრევი, მაგრამ ზოგიერთი გარემოება ნებას არ გვაძლევს მასში დავინახოთ დასრულებული თავდაცვითი სიმაგრის ნაშთი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ნასოფლარის ჩრდილოეთ, ბუნებრივად გაუმაგრებელ მხარეს სულაც არ უჩანს რაიმე სახის ხელოვნური ხღუდის ნაშთები. ამგვარი ვითარების დროს რა ფასი უნდა ჰქონოდა სამხრეთ საზღვარზე გავლებულ კედელს, მით უმეტეს, რომ ამ კედლის აღმოსავლეთი ბოლო არ ებჯინება არავითარ ბუნებრივ ზღუდეს. შემდეგ, აღსანიშნავი ისიც არის, რომ ამ საკმაოდ მძლავრ ყორეზე გარეთა მხრიდან მიდგმულია დიდი ფარეხი, ე. ი. ის ნაგებობა, რომელშიც ინახებოდა პირუტყვი. შიშიანობის შემთხვევაში საჭიროება მოითხოვდა, რომ პირუტყვი (იმ ხანად თავდამსხმელთათვის ყველაზე უფრო მაცთუნებელი) სოფლის ტერიტორიის შიგნით ჰყოლოდათ და არა გარეთ. რაკი ორივე ფარეხი სოფლის სამხრეთ-დასავლეთ განაპირა უბანშია გამართული, ამიტომ, საფიქრებელია, რომ მოსახლეობას მტრის შემოსევის საფრთხე არ ჰქონია, ანდა თუ ასეთი რამ მოხდებოდა, მისი ადვილად მოგერიების იმედი ჰქონდა. ასეთნაირი ოპტიმიზმი შეიძლება ემყარებოდეს როგორც საკუთარი ძალის რწმენას, ისე მოყვარულად განწყობილ ახლომახლო მოსახლეობას, რომელიც შიშიანობის შემთხვევაში ერთ მჭიდრო კოლექტივად იკვრება ხოლმე. რამდენადაც ჩვენთვის საკვლევი ნასოფლარის ფართობის ზომა და ქვაყრილების სიხშირე მოწმობს, სოფელი საკმაოდ ხალხმრავალი ყოფილა; მახლობელი მიდამოების არქეოლოგიურმა დაზვერვამაც ნათლად აჩვენა, რომ ეს სამოსახლო განმარტოებით არ ყოფილა ამ მხარეში. ექსპედიციის თანამშრომლებმა გ. გრიგოლიამ და კ. კვიჟინაძემ სულ ოთხიოდე კილომეტრზე ამ ადგილიდან, მდ. ტორნის მარცხენა მხარეს მიაკვლიეს მოზრდილი გორა, რომელზედაც ქვის შენობების ნანგრევებიც შეინიშნება და „მტკვარ-არაქსული“ კულტურისათვის ნიშანდობლივი თიხის ჭურჭლების ნატეხებიც აკრიფეს.

შენობათა საძირკვლების ნაწყვეტები და ძალიან არქაული, ოქროსფერი კერამიკის ნატეხები ჩანს მომაღლო სერზე — რამდენიმე ასეულ მეტრზე ნასოფლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქ საგულებელია იმავე დროის საკმაოდ დიდი სამოსახლო, რომელსაც ჩვენი ნასოფლარი მიეკუთვნება. უნდა ვიფიქროთ, რომ ხშირ ტყეში არის ჯერ კიდევ მიუკვლეველი სხვა სამოსახლოებიც. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ თეთრი წყაროს ზეგნის შუა სარტყელი როგორც კერამიკის მიხედვითაც ჩანს. ადრინდელი ლითონის ხანის დასაწყისში საკმაოდ დასახლებული იყო მონათესავე ეთნიკური კოლექტივებით, რომლებიც გარეშე მტრის შემოსევისას ერთ მთლიან ძალად იქცეოდნენ. ალბათ, ამით უნდა აიხსნას გაუმაგრებელ სამოსახლოთა არსებობა გაშლილ ადგილზე. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ახალციხის „ამირანის გორის“ სამოსახლოც, რომელსაც თეთრწყაროსეულისგან მაინც განასხვავებს ფარეხის მდებარეობა ცენტრალური უბნის სამხრეთ ნაწილში[77].

აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლით-ენეოლითისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მთელი კულტურა, მათ შორის მისი ისეთი ელემენტები, როგორიცაა სამოსახლოთა და ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ტიპები, საკმაოდ მჭიდროდ უკავშირდება კავკასიის სხვა მხარეების იმავე დროის კულტურის ძეგ-

[77] ტ. ჩუბინიშვილი, მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის..., 1965, გვ. 118.

ლებს. თუ ამ მხარეში ზოგიერთი თავისებურება შეინიშნება, ის არ სცილდება იმ სხვაობას, რომელსაც თვით აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ზონისა და რაიონის ნასახლარებზე ვხედავთ ხოლმე. მაგალითად, აზერბაიჯანში ერთი და იმავე პერიოდის ძეგლთა შორის გარკვეული სხვაობა მოჩანს არქიტექტურულ ფორმებშიცა და სამშენებლო მასალებშიც. ყაზახის რაიონში, რომელიც ქვემო ქართლის დაბლობის უშუალო გაგრძელებაა, ენეოლითურ პერიოდში, შულავრისა და არუხლოს მსგავსად, თითო სენაკიანი მრგვალი სახლები უშენებიათ, მაგრამ თუ თოირა-თეფესა და შომუ-თეფეზე ისინი ალიზის აგურისაა, ბაბა-დერვიშზე მიწურთა სახით წარმოგვიდგება[78], ხოლო ნახჭევანის ქიულთეფეზე თიხისაა — ზოგჯერ რიყის ქვის საფუძველზე ამოყვანილი[79]. როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანშიც მრგვალი სახლების მშენებლობის ტრადიცია ადრინდელ ბრინჯაოს ხანაშიც ინახავს თავს, რასაც მოწმობს ქიულ-თეფეს „მტკვარ-არაქსული“ კულტურის (II ფენა) არაერთი ხუროთმოძღვრული ძეგლის ნანგრევი, წარმოდგენილი ალიზის აგურების, თიხის, ან იშვიათად, ქვის საძირკვლებით; მაგრამ იმავე დროის მინგეჩაურში აღმოჩენილია მხოლოდ სწორკუთხედ ნახევრად მიწურ სახლთა ნაშთები[80]. სწორკუთხედი გეგმის სათავსები აზერბაიჯანში, აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, უკვე ენეოლითური პერიოდიდან მოკიდებული უშენებიათ, მათი ნაშთები შემოინახა ქიულთეფეს I-მა და II ფენამ, სადაც ისინი ან მრგვალ სახლებზეა მიშენებული, ან მათგან განცალკევებით მდებარეობენ[81]. ქვებით ნაგები სწორკუთხედი გეგმის სახლები ასევე მაღალი თარიღისაა მთიანი დაღესტნის ადგილ გინჩში[82], სადაც ისინი ადრინდელ ბრინჯაოს ხანაშიაც არსებულა.

ორივე ტიპი იქაც ძალიან გავრცელებულა. მაგალითად, შენგავითის ოთხფენიან ბორცვს, რომელსაც დღემდე „მტკვარ-არაქსის“ კულტურის დროით ათარიღებდნენ[83], როგორც ახლახან გამოქვეყნებული ს. სარდარიანის ნაშრომის მიხედვით ჩანს, გვიან ნეოლითური თუ ენეოლითური ფენებიც აქვს შემონახული, რომელთა შორის ქვის საძირკვლებზე ამოყვანილი ალიზის მრგვალი ან ოთხკუთხედი შენობებიცაა მითითებული[84]. ნახიჩევანის ქიულთეფესებრ, შენგავითის როგორც ამ უძველეს, ისე ბრინჯაოს ხანის ფენებში, ჩვეულებრივი მოვლენაა მრგვალი და ოთხკუთხედი სათავსის შერწყმის შემთხვევები. მრგვალი სახლების ქვის საძირკვლებს მიუთითებენ ელარსა[85] და ჭოსიკოტერში, რომლებიც ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ძეგლებია.

---

[78] И. Г. Нариманов, Г. С. Исмаилов, Акстафачайское поселение близ г. Казах, СА, № 1, 1962, გვ. 150.

[79] О. А. Абибулаев, Раскопки холма Кюль-Тепе близ Нахичевани, МИА, 67, 1959, გვ. 431.

[80] Г. М. Асланов, Р. М. Ваидов, Г. И. Иоие, Древний Мингечаур, Баку, 1959, გვ. 21—39.

[81] О. А. Абибулаев, დასახ. ნაშრ., გვ. 434.

[82] История Дагестана, т. I, М., 1967, გვ. 34—36.

[83] Э. В. Ханзадян, Культура древнейших племен Армянского Нагорья (III тысячелетие до н. э), Ереван, 1967, на арм. яз. с русск. резюме.

[84] С. А. Сардарян, Первобытное общество в Армении, Ереван, 1967, (на арм. яз.).

[85] Э. В. Ханзадян, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

იმავე დროის ასეთივე შენობებია (მხოლოდ ალიზ-აგურითა და თიხით ნაგები) მოხრა-ბლურზე, გარნისში[86] და სომხეთის ზოგიერთ სხვა სამოსახლოზე.

მოტანილი მაგალითები მიუთითებს, რომ ენეოლით-ადრინდელი ბრინჯაოს ხანის კავკასიაში გავრცელებული ყოფილა ნაგებობათა ორივე ძირითადი ტიპი: მრგვალი და ოთხკუთხედი ნაგებობანი, ზოგჯერ — ერთმანეთთან შერწყმული; ამასთან მრგვალი სახლი მხოლოდ ამიერკავკასიას ახასიათებს, მაშინ, როცა სწორკუთხედისებრი გეგმის შენობა საერთოა მთელი იმ ხანის კავკასიის კულტურებისთვის.

საკითხი, თუ რომელი ტიპი უფრო ადრეა გაჩენილი მოხაზული ტერიტორიის შიგნით, ჯერჯერობით სავსებით გარკვეულად არ ჩაითვლება. ჩვენი აზრით, მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზუსტდება ქვემო ქართლის დაბლობის, აღსტაფის ხეობისა (ყაზახის რაიონი) და ნახიჩევანის სამოსახლო ბორცვთა ძირა ფენების შეფარდებითი თარიღები. თუ ქრონოლოგიური ცხრილის ქვედა რიგი შულავერმა, თოირა-თეფემ და სხვა მისთანა საცხოვრებლებმა დაიკავა (რაც სავარაუდოა იქ წარმოდგენილ კულტურებში ლითონის არარსებობის საფუძველზე), მაშინ გამოვა, რომ კავკასიაში უძველესია მრგვალი სახლი; მაგრამ, თუ ამ რიგში ქიულ-თეფეს I ფენაც მოხვდა, მაშინ იძულებული გავხდებით ვაღიაროთ ორივე ტიპის ნაგებობათა ერთდროულობა, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვით, ისინი გვერდიგვერდ გვხვდება ქიულ-თეფეზე.

რა სურათს გვაძლევს ამ საკითხთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სამხრეთი მომიჯნავე რაიონები?

ენეოლით-ადრინდელი ბრინჯაოს ხანის კავკასიის კულტურისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში არაერთხელ აღნიშნულია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლია, რომელშიც კარგადაა წარმოდგენილი „მტკვარ-არაქსული“ ტიპის კერამიკული ნაკეთობანი, სულაც ვერ იცნობს წრიული გეგმის ნაგებობებს[87]. ის არ გვხვდება არც ირანის აზერბაიჯანის ენეოლითურ ფენებში, რომლებშიც დამოწმებულია მხოლოდ კუთხედი ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ნაშთები[88]. მაგრამ, როგორც ურმიის ტბის დასავლეთ სანაპიროზე იანიქთეფეს გათხრა აჩვენებს, ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ თიხატკეპნილ კედლებიანი მრგვალი სახლების წარმოშობაა[89]. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ პირველობა სწორკუთხედ ნაგებობებს მიეკუთვნება. მაგრამ ზემო მესოპოტამიის და პრიმიტიულ ხალხთა ხუროთმოძღვრების ისტორია ამ დასკვნას რამდენადმე საეჭვოდ ხდის; ერაყის ერთ-ერთ უძველეს სამოსახლოზე, სახელდობრ, ნეოლითური ჰასუნას I ფენის მე-3 დონეზე, მართალია, პირველად ჩნდება ალიზის აგურებით ნაგებ სწორკუთხოვან სახლთა ნაშთები, მაგრამ სამ შემდგომ დონეზე უკვე არსებობს სწო-

---

[86] Б. Аракелян, Гарни, Археологические раскопки в Армении, т. I, Ереван, 1951.

[87] H. Kosay, K. Türfan, Erzurum-Karaz kazisi raporu. Turk-Tarich kurumu Belleten XXIII № 91, გვ. 349—361, ტაბ. XIII.

[88] T. Burton-Broun, Excavations in Azerbaijan, 1948, London, 1951. გვ. 22.

[89] C. Burney, 1) Excavations at Janik-tepe, north-west Iran, Iraq, v. XXIII part. 1, 1961, 2) Excavations a 1961, v. XXIV, part 2, 1962. 3) Excavations... 1962, v. XXVI, part 1, 1964.

რი ტიხრით გაყოფილი მრგვალი გეგმის საცხოვრებელიცა[90] და სახაბაზოც. მას თეთრ წყაროსთან გათხრილი ფარეხის მსგავსად სამი კედელი მთლად სწორი აქვს, ხოლო მეოთხე — რკალისებური. წრიული გეგმის ნაგებობანი მესოპოტაძიაში განსაკუთრებით ხშირია ნეოლითის იმ მონაკვეთზე, რომელსაც ჰალაფის პერიოდის სახელწოდებით იხსენიებენ. სხვა საცხოვრისთა შორის ამ მხრივ ჩვენ გამოვარჩევთ არპაჩიას და მისგან ცოტათი „მოშორებულ ფართობს“, ქალაქ მოსულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც შესაძლებელი ხდება მრგვალი შენობის ან მალუანისეულ ტერმინს თუ ვიხმართ, „თოლოსის“[91] გეგმის განვითარების დადგენა. სხვადასხვა სამშენებლო დონეებზე არპაჩიაში გადარჩენილია ათი ასეთი თოლოსის თიხის ცომით შემტკიცებული ქვის საძირკველი, რომელთა ზემოთ, როგორც თვით გამთხრელიც და ა. პერკინსიც[92] ვარაუდობენ, დაშენებული უნდა ყოფილიყო დატკეპნილი თიხის კედლები (ათიდან ექვსი თოლოსი გათხრილია საკუთრივ ბორცვზე, ოთხი კი „მოშორებულ ფართობზე“). ყველაზე უფრო ღრმად მდებარე მე-10 სააღმშენებლო დონეს (ტტ 10) საკუთრივ ბორცვზე ორი, ხოლო, მოშორებულ ფართობზე ერთი თოლოსი მიეკუთვნება; მის ზემოთ მდებარე მე-9 დონისა (ტტ9) — ბორცვზე ერთი ნაგებობაა, „მოშორებულ ფართობზე“ კი ორი; მე-8 დონისა (ტტ8), აქაც და იქაც — თითო-თითო თოლოსი გვაქვს, ხოლო მე-7 დონის (ტტ7) ორი თოლოსიდან — ორივე „მოშორებულ ფართობზეა“ აღმოჩენილი).

საჭიროა ითქვას, რომ მე-10 დონის თოლოსები ფრიად მარტივი და მცირე ზომის შენობებია: თითოეული შედგება წრიული გეგმის მხოლოდ თითო სენაკისაგან, რომელთა შიდა დიამეტრი 4—5,6 მეტრია, ხოლო კედლების სისქე არა უმეტეს 0,4—1,0 მეტრს აღწევს. რაც შეეხება უფრო გვიანდელ, მე-8—7 დონეებზე გათხრილ თოლოსებს, ისინი საკმაოდ რთული გეგმისაა და პირველი ჯგუფის თოლოსებთან შედარებით — დიდებია. ყოველ მრგვალ სენაკს, რომელთა შიდა დიამეტრი 6,5 მეტრი, ხოლო კედლების სისქე 1,65 მეტრია, გარედან მიშენებული აქვს სწორკუთხედი მოყვანილობის დერეფანი და, ერთ შემთხვევაში — მისი გარდიგარდმო გადამკვეთი წინკარი. თითოეული თოლოსის სიგრძე დერეფნიანად 16—19 მეტრამდე აღწევს. ამგვარ თოლოსებს მალუანი საფუძვლიანად ადარებს მიკენის „სკისებურ“ აკლდამებს.

ზემონათქვამის მიხედვით, მრგვალი შენობა ანუ თოლოსი ჩრდილო მესოპოტამიის კულტურის პირმშოდ ჩაითვლება. ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით ლიტერატურის მიმოხილვას ამ ტიპის ნაგებობის კიდევ უფრო ძველ წინაპარზე, როგორადაც პრიმიტიულ მონადირე და მომთაბარე ტომთა მსწრაფლგასამართ კარვებს თვლიან[93]. აღვნიშნავთ, რომ ზემო მესოპოტამიაში თოლოსების მშენებლობა არც მომდევნო პერიოდებში შეწყვეტილა, თუმცა, როგორც საკუთრივ ნეოლითში (თუ არპაჩიას არ მივიღებთ მხედველობაში), ის აქაც სწორკუთხედი გეგმის ნაგებობებთან შედარებით, მაინც იშვიათი მოვლენა იყო. ოთხი ასეთი ნაგებობა უამრავ სწორკუთხედ შენობათა გარემოცვაში გაითხა-

---

[90] S. Lloid and F. Safar. Tell Hassuna: Excavations by the Iraq Government Directorate General of Antiquities in 1943 and 1944. JIVES, v. IV, 41445.

[91] M. E. L. Mallowan, J. G. Rose, Excavations at Tell-Arpachigah, «Iraq», VII, part, 1, 1935.

[92] A. L. Perkins, The comparative Archaeology of Early Mesopotamia, Chicago, 1957

[93] Всеобщая история архитектуры, М., 1958, გვ.15.

რა თეფე გავრაზე, მათ შორის თითო-თითო—XX და XIX a, ხოლო ორი — XVII ფენაში. თეფე გავრას XX ფენა ძირითადად ხასიათდება ტელ-ჰალაფური პოლიქრომულად მოხატული თიხის ნაწარმით, თუმცა იქ აღმოჩენილია ობეიდური ტიპის მონოქრომული კერამიკაც[94]. მაგრამ, ვინაიდან არც ამასა და არც მომდევნო — XIX—XVIII ფენებში დამოწმებული არ ყოფილა ლითონის წარმოება-გამოყენების რაიმე კვალი, ამიტომ, ის არსებითად ნეოლითურ დროში, უფრო მის ბოლო საფეხურზე ექცევა. ამ ფენაში გამოვლინებული თოლოსი, თუმცა მას ჯერ კიდევ შემოუნახავს ადრინდელი პერიოდის შენობების დამახასიათებელი ნიშნები (თხელი კედლები და საკმაოდ მცირე გარეთა დიამეტრი, რომელიც 5—5,25 მეტრამდეა), მაგრამ როგორღაც სტრუქტურული დანიშნულების წყვილი შიდა კონტრფორსი, გარედან მიშენებული კედლებით გაფორმებული შესასვლელი და, თითქოს, წინკარის ან დერეფნის სხვა კედლები, რომლებიც ჯერ კიდევ გაუთხრელ ფართობში შედის, უეჭველად შედარებით მოგვიანო დროზე მიგვანიშნებს. იგივე შეიძლება ითქვას XVII ფენაში გათხრილ ორ—სამხრეთ და ჩრდილო თოლოსზე, რომელთაგან პირველის საძირკველი შემონახულია მხოლოდ სანახევროდ და აქვს უწესრიგოდ განლაგებული სამი შიდა კონტრფორსი, მაშინ როცა უკეთესად დაცულ ჩრდილო თოლოსის შიგნით შერჩენილია ხუთი კონტრფორსის ნაშთი, ხოლო ვიწრო შესასვლელს გარედან მიშენებული აქვს ერთი წყვილი მოკლე კედელი. ტობლერის აზრით, შესაძლოა იგი არპაჩიას თოლოსების გრძელი სწორკუთხედისებური დერეფნების რუდიმენტული გადმონაშთი იყოს. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს XIXa ფენაში აღმოჩენილი დიდი უნიკალური ნაგებობა—18-19-იანი გარე დიამეტრისა და 1 მ სისქის გარეთა კედლის მქონე მრგვალი სახლი, დაყოფილი შიდა ტიხრებით, სწორკუთხედი და სამკუთხედი მოყვანილობის 17 სენაკად. ესაა XIXa ფენის შემქმნელი მოსახლეობის შიდაციხე, რომელშიც ხორბლის საწყობი ბეღლისთვისაც ყოფილა გამოყოფილი, ყოველ შემთხვევაში, ერთი სათავსი. მხედველობაშიაც რომ არ მივიღოთ მრგვალი სახლის წრიულ კედელზე გარედან მიშენებული ნაგებობანი (თითქოსდა კერძო სახლები), თვითონ შიდა ტიხრები მიუთითებს ამ ძეგლის საკმაოდ მოგვიანო თარიღს.

ამგვარად, ზემო მესოპოტამიის სამოსახლო ბორცვების ქვედა სამშენებლო დონეები ხასიათდება მარტივი სახის თოლოსებით ან მრგვალი სახლებით, მაშინ, როცა ზემო დონეებს შემოუნახავთ უფრო რთული გეგმით აშენებული ამ ტიპის საცხოვრებლები. ეს დაკვირვება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნულ მხარეში თოლოსის ტიპის ნაგებობის განვითარება წარმართულია მისი გართულების, ე. ი. სწორკუთხედ ნაგებობასთან შერწყმის ანდა ტიხრებითა და კონტრფორსებით აღჭურვის გზით.

1. თიხის ნაწარმი

ნასოფლარის გათხრისას აღმოჩენილ მასალებში თიხის ჭურჭლეულის ნატეხები რიცხობრივ ყველა დანარჩენ ნაკეთობებზე მეტია. კერამიკით გადატვირთული იყო თითქმის ყოველი კვადრატი შიდა და გარე ფართობზედაც.

[94] Arthur J. Tobler. Excavations at Tepa Gawra, v. II. 1950.



სურ. 16 — სამარხი № 2

რაკი ეს საგნები ქვაყრილებ ქვეშ მოჰყოლია, სიმძიმისაგან წვრილ ნატეხებად დაშლილა. უფრო მეტიც, ხშირად ასეთ ნატეხებთან ერთად, მხოლოდ თიხის ფხვნილი დარჩენილა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ამ გარემოების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა თუნდაც ერთი-ორი ჭურჭლის მთლიანად აღდგენა. მხოლოდ ერთ სამარხს შემოუნახავს თითქმის დაუზიანებლად მთელი მისი ინვენტარი (სურ. 16). რომელიც ბადიისა და სასმისისაგან შედგებოდა (სურ. 17, 18). ამათ გარდა, მთლიანად აღდგა თიხის 2 კერა, რომელთაგან ერთი ძირგახვრეტილია (სურ. 19). ისინი ჩადგმულ-ჩაძერწილი იყო შიდა ფართობზე ნასახლართა თიხატკეპნილ იატაკში. ნაკლებ დაზიანებულა წვრილ-წვრილი ნივთები, როგორიცაა, მაგალითად, კვირისტავები და ჭურჭლეულის ნატეხისგან გამოჭრილი გორგოლაჭი. დანარჩენ მასალას წარმოგვიდგენს ცალკე მოღწეული ნატეხები — ჭურჭლის ძირები, გვერდები, მხრები, ყურები და პირები, მათი აღმოჩენის პირობები მოწმობს, რომ მოსახლეობას უეცრად მიუტოვებია სახლში მდგარი ჭურჭლეული, რომელიც შემდეგ ჩამსხვრეულა; ნასახლარის ერთ-



სურ. 17— სამარხი № 2; ბადია



სურ. 18— სამარხი № 2; ტოლჩა



სურ. 19— ძირგახვრეტილი კერა

ერთ კერაზე, მაგალითად, დარჩენილა დიდი ბადია, რომელშიაც, როგორც შერუჯული მარცვლეულის ნარჩენები მოწმობს, პურს ხალავდნენ (სურ. 20). მტრის თავდასხმას უნდა მიეწეროს მოსახლეობის ასე სწრაფი აყრა, თუ მათ ნებაყოფლობით მიატოვეს თავისი სახლ-კარი და სხვაგან გადასახლდნენ, ძნელი სათქმელია.

რამდენადაც მწირი მასალაა ჭურჭლის ფორმებზე წარმოდგენის შესამუშავებლად, იმდენად ბევრი ნიშანია კეცის თვისებების დასახასიათებლად და, მაშასადამე, კერამიკული წარმოების ტექნოლოგიის შესწავლისათვის.



სურ. 20 — ბადია

რადგან ნასოფლარის ტერიტორიის დიდი ნაწილი გვიან ხანებში იხვნებოდა, ამიტომ, კულტურული ნაშთები უმეტესად ერთმანეთში არეულია; მხოლოდ სამ მიკროუბანზე გახდა შესაძლებელი სტრატიგრაფიულად ნათლად გამიჯნული მასალების შემჩნევა და, მაშასადამე, მათი ქრონოლოგიური მონაცვლეობის დადგენა. ორი ასეთი უბანი მდებარეობდა ზემოხსენებული დიდი გორასამარხის ქვაყრილის ქვეშ, მესამე კი — ჭაობის პირზე, რომელიც, ჩანს, არ იხვნებოდა.

სტრატიგრაფიაზე დაკვირვებამ დაადასტურა სულ ცოტა ორი სააღმშენებლო დონე: ქვედა — А და ზედა — Б.

А დონის მოსახლეობას ხელით უძერწავს უმთავრესად ნარინჯისფერი თიხის ჭურჭელი, უფრო იშვიათად კი — ნაცრისფერი, ზოგჯერ აჭრელებული ღია-მოვარდისფრო ლაქებით. ნარინჯისფერი კერამიკა სუფთად განლექილი თიხისაა, კეცი რბილი აქვს და ხელს ადვილად სვრის. ზოგ შემთხვევაში თიხაში შერეულია დაკეპილი ბზე. ნატეხთა სოლიდური ნაწილი ანგობირებული და გაპრიალებულიც ყოფილა, მაგრამ ბევრი მათგანის მეტად რბილ კეცს ანგობის აპკი მოსცილებია სინესტისაგან. ზოგიერთ ნატეხს შემოუნახავს წითლად შეღებვის ამკარა კვალი. ჭურჭლის ფორმებზე სრული წარმოდგენის შემუშავება ძალიან ჭირს მასალის მეტისმეტი ფრაგმენტულობის გამო. გამოიცნობა ბრტყელი ძირიდან პირისაკენ თანაბრად გაფართოებული თასები, საშუალო ზომის ტოლჩები, პირვიწრო სურისებრი ჭურჭელი, დიდი ქოთნები. იშვიათ შემ-

თხვევაში დამოწმებული ყურები ლენტისებურებს უახლოვდება. არის ნახევარდისკოსებრ გამოშვერილი სახელურებიც. ორნამენტი გარეთა ზედაპირზე თითქმის არ ჩანს; მხოლოდ ერთმა ნატეხმა შემოინახა ჭდეები პირთან ახლოს. ორიოდე პირფართო ტოლჩის შიდაპირზე ბლაგვი ხელსაწყოთი სველ თიხაზე დატანილია ურთიერთგადამკვეთი სწორი ხაზები — ორნამენტი, რომელიც ჭადრაკულ მოტივს უახლოვდება. ლაქებიანი მუქი ჭურჭელი უმზადებიათ გოროხებიანი თიხისაგან, რომელსაც გასამჭლევებლად შერეული აქვს მსხვილი ქვიშა. ზედაპირი უხეშად გადალესილი აქვს, მაგრამ გაპრიალების კვალი არ უჩანს.



სურ. 21 — „B“ ფენის მასალა

Ნ დონის თიხის ჭურჭლეულშიც ხშირად ვხვდებით ნარინჯისფერ ნიმუშებს, მაგრამ არც ერთ მათგანში არ ყოფილა დამოწმებული ბზე და ჩალა. წამყვანი ადგილი შავპრიალა კერამიკას ეკუთვნის, რომელიც აქ პირველად ჩნდება. მისი სარჩული უმთავრესად ვარდისფერია, მაგრამ კეცი, ზოგჯერ, მთელ სისქეზე მუქია. ეს კერამიკა გამოირჩევა „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმებით, ნახევარსფერული ყურებით (სურ. 21), დისკოსებური ხუფებით (სურ. 22) და ჩაზნექილ-ამოზნექილი ორნამენტებით, რომლებიც ქმნის სათვალეებისებურ სპირალებს (სურ. 23—31, 7), კონცენტრულ წრეებს, რელიეფურ რკალებს და სხვა მისთ. ჭრილი ორნამენტი მხოლოდ ხუფებზეა დამოწმებული. ასეთი ნიშნები და მოტივები არის ამ დო-



სურ. 22 — „B“ ფენის მასალა

სურ. 23 — „B“ ფენის მასალა



სურ. 24 — „B“ ფენის მასალა



სურ. 25 — „B“ ფენის მასალა

ნის ნარინჯისფერ კერამიკაზეც. იქვე აღმოჩენილია „რელსისებური“ პირის რამდენიმე ნატეხი. ორივე დონისთვის საერთოა „მტკვარ-არაქსული“ თიხის კერები, რომლებსაც ჰურჭლის შემოსადგმელად შიდა პირზე აქვთ გემის ცხვირისებური შვერილები, ხოლო ფსკერი ზოგ შემთხვევაში გახვრეტილია. ამას გარდა, A დონეზე მიკვლეულია შემდგომში გაუქმებული კერა, რომლის ძირი დაბალი ქორდით გაყოფილია ორ ნაწილად. გარდა ერთი საეჭვო შემთხვევისა, Б დონის კერამიკა არ ატარებს მორგვზე ამოყვანის რაიმე კვალს. ორიოდე შემთხვევაში შავპრიალა კეცის შიდაპირს წერნაქის თხელი ფენის აცლის შემდეგ, გამოუჩნდა ჰორიზონტულად განლაგებული ხაზების ჯგუფი, მაგრამ, რადგანაც აღნიშნული ნატეხები ძალიან პატარა ზომისაა და დამაჯერებლად არ მოწმდება (ხაზები მალე წყდებოდა, ან წრეებს ჰკრავდა), ამიტომ ძნელია ისინი გადაჭრით მივაწეროთ მორგვის ნაკვალევს; შეიძლება ისინი გაჩენილიყო სველ თიხაზე ნაფოტის ანდა ბეწვიანი ტყავის შემოსმითაც[95]. პირველი ვარაუდის სასარგებლოდ თითქოს მიუთითებს ერთი აღმოჩენა გორასამარხის ქვაყრილში. ესაა ვულკანური ლავისაგან ადამიანის ხელით გაჩორკნილი

[95] გ. გობეჯიშვილი, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა, სინ, I, თბ., 1970, გვ. 247.



სურ. 26 — „B“ ფენის მასალა

მოზრდილი დისკოს (დმ. 32 სმ, სისქე 5 სმ) სექტორი, გახვრეტილი ცენტრში, თითქოს, ღერძზე წამოსაცმელად და ფოსოს შემცველ ერთ ნაპირზე, ალბათ, სახელურის ჩასარჭობად. ამ საგანმა მოგვაგონა არქაული სახის ხელით სატრიალებელი მორგვი და ერთგვარი ეჭვი აღძრა, ხომ არ იყო ასეთი რამ დანერგილი სოფლის ცხოვრების თუნდაც სულ უკანასკნელ პერიოდში. მავრამ მეორე მხრით, ასეთი ვარაუდის წინააღმდეგ, თითქოს, მიუთითებს უარყოფითი შედეგი ჩვენი ცდისა, რომ ნასოფლარის ჰურჭლეულის სხვა ნატეხებზედაც მიგვეკვლია წერნაქის ქვეშ „დამალული“ მორგვისებული ნაკაწრები. ზოგიერთ მოზრდილ ნატეხზე ნაკაწრები, მართალია, მოჩანს, მაგრამ ისინი ზოგჯერ საწყისს იღებენ სავსებით გლუვი ადგილიდან, ზოგჯერაც — მთავრდება მანამ, ვიდრე გადატეხილ ნაპირს მიაღწევდეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგ ნატეხზე ნაკაწრები დამხრობილია არა ჰორიზონტალურად, როგორც შეეფერება მორგვზე ამოყვანილ კერამიკას, არამედ ალმაცერად. თუ ამ უკანასკნელ ფაქტებს გავითვალისწინებთ, ალბათ უმართებულო არ იქნება დავასკვნათ, რომ თეთრწყაროელი მეკეცენი ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ჰურჭლის დასამზადებელ მორგვს. ეს შედეგი პირდაპირ შეესატყვისება მტკვარ-არაქსის კულტურის სხვა ნასოფლარებიდან და სამაროვნებიდან მომდინარე ჰურჭლეულის ძერწვის ტექნიკის შესახებ დღემდე მიღებულ აზრს. ამ კულტურის პირველი აღმომჩენი ბ. კუფტინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ სათანადო კერამიკა ხელით არის ნაძერწი. ასეთივე დასკვნებს ვხვდებით სხვა მკვლევართა ნაშრო-



სურ. 27 — „B“ ფენის მასალა

მებშიც[96]. განსაკუთრებით საყურადღებოა აღინიშნოს, რომ თვით ისეთ მრავალფენიან ნასოფლარზე, როგორიც ქვაცხელაა შიდა ქართლში, ადრინდელი ბრინჯაოს ხანის არც ერთ დონეზე არ ყოფილა მორგვისეული კერამიკა[97]. ერთადერთი შემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის მეორე ეტაპის (ადრინდელი ბრინჯაოს ხანა II) ფენაში მორგვისეული ნატეხის პოვნისა, ცნობილია ირანის აზერბაიჯანში, იანიკ თეფეს ნასოფლარზე, მაგრამ ეს ნატეხიც მის გამთხრელს უცხოეთიდან მოტანილად მიაჩნია[98]. ბარნეის არ მოუტანია საბუთები იანიკ-თეფეს აღნიშნული ნატეხის უცხოური წარმომავლობის დასამტკიცებლად, მაგრამ ამ საბუთად, ეგებ, ისიც კმარა, რომ სათანადო ფენის დანარჩენი კერამიკა ხელით ნაძერწია.

---

[96] Б. А. К у ф т и н, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, вып. 40, М., 1940, გვ. 18; მ ი ს ი ვ ე, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, სსმმ, ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 86; Б. Б. П и о т р о в с к и й, Археология Закавказья, Л., 1949, გვ. 49, R. B. K. A m i r a n. Con ection between Anatolia and Palestina in the Early Bronze Age, Israel Exploration Journal, v. 2, № 2, 1952, გვ. 89.

[97] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქვაცხელების (ტვლეპია-ჭოხის) ნამოსახლარზე 1954—1961 წწ. ჩატარებული გათხრები, ურბნისი, I, ნაკვეთი პირველი, თბ., 1962, გვ. 49.

[98] C. A. B a r e y. The Excavations at Janik-Tepe Azerbaijan, 1961, Second preliminary Report, Iraq, vol. XXIV, 1962, გვ. 146, ტაბ. XLIX—21.



სურ. 28 — „B“ ფენის მასალა

მაშასადამე, თუ ვაღიარებთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი კავკასიური სამყარო არავითარ კერამიკულ მორგვს არ იყენებდა, მაშ როდინდელი და რა უნდა ყოფილიყო ქვის ის დისკო, რომლიდანაც ჩამოტეხილია თეთრწყაროული სექტორი? ეს საკითხი დღესაც გადაუჭრელია, მაგრამ ქვემოთ ვცდილობთ მოვიტანოთ გარკვეული საბუთები, რაც ხელს შეუწყობს მის გარკვევას მომავალში.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქვის სექტორის თარიღს მიახლოებით მაინც არკვევს მისი მდებარეობა გორასამარხის ყრილის ღრმა ფენაში. თვითონ გორასამარხის კამერაში არავითარი მასალა, გარდა შავპრიალა ჭურჭლის 2 ნატეხისა, არ შემონახულა მისი თარიღის გასარკვევად. ჭურჭლის გვერდის ეს ნა-



სურ. 29 — „B“ ფენის მასალა

ტეხები კი ერთნაირი საფუძვლიანობით შეიძლება მიეწეროს როგორც ადრინდელ, ისე შუა ბრინჯაოს ეპოქას. მაგრამ, რადგან ბედენის მთის იმავე სამხრეთ კალთაზე გათხრილი სხვა გორასამარხები, რომელზედაც I გორასამარხი გაითხარა, ადრეული ბრინჯაოს ბოლო პერიოდისაა[99], ამიტომ, გარკვეული ალბათობით, ისიც იმავე დროს უნდა მივაწეროთ. ეს იქნება terminus post quem ჩვენი სექტორისთვის, მაშინ როცა terminus ante quem უნდა ემთხვეოდეს

[99] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1959, გვ. 8.



სურ. 30 — „B“ ფენის მასალა

ზოგადად ნასოფლარის თარიღს, ე. ი. მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების საკმაოდ ადრეულ საფეხურებს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

მაინც რომელ თარიღს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა ამ ორს შორის? ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მეტი საბუთია მეორე თარიღის სასარგებლოდ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ნასოფლარზე, გარდა თვითონ გორა-სამარხისა, არაფერი მიუთითებს ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასასრულის ცხოვრების კვალს. უფრო სავარაუდოა, რომ გორასამარხის ყრილი აქ დაზვინეს რომელიღაც სხვა, თუნდაც მახლობელი უბნის მცხოვრებლებმა. გარდა ამი-

სურ. 31 — „B“ ფენის მასალა

სა, თვითონ ნასოფლარის ერთ-ერთი უძველესი ნაგებობის ნანგრევის ქვეშ აღმოჩენილია სწორედ ისეთივე ქვის, მაგრამ მხოლოდ ცენტრში გახვრეტილი მომცრო დისკო (სურ. 32), როგორსაც ყრილში ნაპოვნი სექტორი მიუთითებს. ერთნაირი მოყვანილობა და დანუშავების ერთნაირი ხერხი ამ ორ საგანს ძლიერ აახლოებს ერთმანეთთან და გვაფიქრებინებს, რომ ისინი ხანგრძლივი დროით არ უნდა იყოს ერთმანეთისაგან გათიშული, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი შეიძლებოდა ყოფილიყო კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული მორგვი, ხოლო მეორე — ლახტისთავი. მიუხედავად ამისა, ჩვენ



სურ. 32 — „B“ ფენის მასალა

ვითვალისწინებთ სხვა შესაძლებლობასაც. ქვის ასეთი დისკოები, ცხადია, შეიძლება შეგვხვდეს ყველა ეპოქაში, რომელშიც ადამიანი დაუფლებული იყო ამ მასალის გახვრეტის ტექნიკას. ცნობილია, რომ ამნაირი ქვების ხელწისქვილი სულ ახლო წარსულში ფართოდ იყო დანერგილი ყოფა-ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ხშირად ფეოდალურ შუასაუკუნეებში. თეთრწყაროსეული ტიპის დისკოები, აღმოჩენილი ყაბარდო-ბალყარეთის მიწა-წყალზე, ა. იესენმა ალანური პერიოდის ხელით სატრიალებელ საფქვავებად მიიჩნია[100]. ერთი ასეთივე ნივთი, აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის მინგეჩაურის III ნასახლარში, აგრეთვე დახასიათებულია, როგორც ხელწისქვილის ზედა ნახევარი[101]. კავკასიაში აქამდე ცნობილი ყველაზე უხნესი მსგავსი ქვები უპოვიათ ქ. ნალჩიკთან ახლოს აგუბეკოვის ნასოფლარზე. გამთხრელებმა ისინი მიიჩნიეს სასრესებად. აღსანიშნავია, რომ ორი ამნაირი ქვიდან ერთს, გარდა ცენტრალური ნახვრეტისა, შერჩენია ნაპირზე განლაგებული ოთხი სხვა ფოსოს ნაშთი[102].

აქ მოტანილი მასალები თითქოს უეჭველად გვიკარნახებს, რომ თეთრწყაროული სეგმენტიც მივაკუთვნოთ სასრეს-საფქვავ იარაღებს, მაგრამ სხვა მასალების საფუძველზე შეუწყნარებელი არ იქნება, რომ ის, როგორც ზემოთ ითქვა, დავაყენოთ კერამიკულ წარმოებასთან კავშირში; მისი სახით დავინახოთ მეკეცის პრიმიტიული, ხელით სატრიალებელი მორგვი. ეს ვარაუდი შემაგრებულია იმით, რომ უძველესი ლითონის ხანის აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურებში ცნობილია ჩვენთვის საინტერესო საგნის არაერთი ანალოგი, როგორც ქვისა, ისე გამომწვარი თიხის, და ისინი ახსნილია, როგორც პრიმიტიული, ხელით სატრიალებელი ხელსაწყონი („tournette"), განკუთვნილი კერამიკულ წარმოებაში გამოსაყენებლად. ისინი გვხვდება პალესტინის ჰასუნის ქალკოლითურ კულტურაში და, შემდეგაც, ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე. ისინი წარმოადგენენ 20 სმ-მდე დიამეტრის მქონე გახვრეტილი ქვის დისკოებს[103], მაშასადამე, უფრო მომცრო საგნებს, ვიდრე ამას თეთრწყაროული სეგმენტი მიუთითებს. მაგრამ ცნობილია გამომწვარი თიხის უფრო დიდი—1 მ-მდე დიამეტრის დისკოებიც. ლ. ვული აღფრთოვანებით აღნიშნავდა, რომ მან შუმერის უძველესი ქალაქის ურის გათხრებისას ურუკის დროინდელ შრეში (ძვ. წ. IV ათასეულის დასაწყისი) აღმოაჩინა აღნიშნული ზომის თიხის დისკო, გახვრეტილი შუაში და პერიფერიაზე — ღერძზე დასამაგრებლად და სახელურის ჩასარჭობად, ე. ი. ჭურჭლის საკეთებელი არქაული მორგვი[104]. ურის მონაპოვარი მოყვანილობით და ნახვრეტების განლაგებით ზუსტად შეესატყვისება თეთრწყაროულს, ოღონდ მისგან განსხვავდება ზომითა და მასალით. არის ცნობა თიხის ასეთივე დისკოს ნახევრის აღმოჩენის თაო-

---

[100] А. А. Иессен, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МИА СССР, № 3, М.-Л., 1940, გვ. 26, სურ. 8.

[101] Г. М. Асланов, Р. М. Ваидов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур (эпоха энеолита и бронзы), Баку, 1959, გვ. 43.

[102] Е. Ю. Кричевский, А. П. Круглов, Неолитическое поселение близ г. Нальчика, МИА СССР, № 3, გვ. 60—61, სურ. 8.

[103] Г. Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1956, გვ. 345 (იქვე წყაროები); A. Mallon, R. Koope et Neuville. Teleilat Ghassul, I, 1934, გვ. 87.

[104] L. Wolley, Excavations at Ur. 1929—30, The Antiquaries Journal X, № 4, 1930, გვ. 332; Л. Вулли, Ур. Халдеев, М., 1961, გვ. 29.

ბაზე ზემო მესოპოტამიაშიაც. თიხის უფრო მცირე დისკოები აღმოჩენილია კრეტის ბრინჯაოს ხანის შრეებში და სხვ[105].

ერთი სიტყვით, უფლებამოსილად შეიძლება ჩაითვალოს ვარაუდი, რომ თეთრი წყაროს დისკოს სექტორიცა და ადრეული ხანის კავკასიის ზემოთ დასახელებული დისკოებიც დაკავშირებული იყოს მეკეცეობასთან. ერთადერთ დაბრკოლებას ამგვარი გაიგივებისას ქმნის ის ფაქტი, რომ ძველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ადრე დაწინაურებულ კუთხეებში პრიმიტიული მორგვების — „ხელით სატრიალოების“ აღმოჩენათა ადგილებზე დამოწმებულია მათი გამოყენებით დამზადებული კერამიკა. მაშინ, როცა, მაგალითად, აგუბეკოვის ადრეულ ნასოფლარზე ის სულ არ ჩანს; თეთრ წყაროში ერთი საეჭვო ნატეხია, ხოლო მარტო მინგეჩაურში, როგორც მოსალოდნელია ბრინჯაოს ხანის ნასახლარისათვის, ქვის გახვრეტილ დისკოს ახლავს მორგვისეული ჭურჭლის ნატეხები.

იმ საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების გათვალისწინების შემდეგ, რომ კულტურის უძველესი საფეხურიდან მოყოლებული, კავკასიის მოსახლეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული წინა აზიასთან, საოცრად უნდა მივიჩნიოთ არა ის, რომ ლითონის ხანის რომელიმე ადრეული მონაკვეთის კავკასიურ კულტურაში დამოწმებულ იქნეს მორგვისეული კერამიკა და თვით მორგვი, არამედ უფრო ის, რომ აქ დღემდე შუა ბრინჯაოს ხანაზე ადრე არ ჩანს, გ. ჩაილდის სიტყვით რომ ვთქვათ[106], „შრომის დამზოგველი“ ამ ხელსაწყოს კვალი.

ზემოთ მითითებული ლიტერატურის მიხედვით შეიძლება ახლო აღმოსავლეთის, უპირველესად კი, შუმერის, პალესტინის და სირიის მეკეცენი ადრე ეზიარნენ „სამანქანო“ წარმოებას. ამას გარდა, ა. პერკინსის ცნობით, უკვე ნეოლითური ჰასუნის პერიოდის სამარული კერამიკა მიუთითებს „ხელით სატრიალო“ მორგვზე დამუშავების კვალს[107], ხოლო ობეიდის კულტურის თანადროულ ფენაში („ნინევია 3“), ამასთან ერთად, უხმარიათ სწრაფმბრუნავი, ფეხის მორგვიც[108]. იმავე ავტორის აზრით, შუმერის ქ. ურუკში ობეიდური კულტურის ტოლი XVIII დონის კერამიკის ერთი ჯგუფი დამზადებულია „სატრიალოებზე“, მაშინ, როცა მეორე ჯგუფის კერამიკა ამოყვანილია სწრაფმბრუნავი მორგვის მეშვეობით[109]. ა. პერკინსის ცნობას გ. ჩაილდი, მართალია, უნდობლად მოეპყრო[110], მაგრამ იმას კი თვითონაც აღიარებს, რომ რამდენადმე უფრო გვიან, სახელდობრ, პროტოდამწერლობის ხანის ურუკის პროფესიული მეკეცენი დასაქმებული ყოფილან მორგვისეული ჭურჭლეულის წარმოებით[111]. ურუკის დროის შუმერში (ძვ. წ. IV ათასწლ.), რომ მეკეცეობამ უკვე შედგა ფეხი „მანქანური“ წარმოების გზაზე, ეს ზემოთაც დავინახეთ

---

[105] L. Woolley, Rotary Motion. A history of Technology, t. I. Oxford. 1954, c. 203, А. А. Бобринский, К изучению гончарного круга на территории СССР, СА, № 2. 1961, გვ. 32, სქ. 1.

[106] Г. Чайлд, დასახ. ნაშრ., გვ. 338.

[107] A. L. Perkins. The Comparative Archaeology of Early Mesopotamia, Chicago, 1957, გვ. 6.

[108] A. Perkins, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

[109] იქვე, გვ. 78.

[110] Г. Чайлд, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

[111] იქვე, გვ. 202.

ლ. ვულისეულ მაგალითზე. შუმერული ტექნიკური აღმოჩენა სწრაფად ვრცელდებოდა ან ხელახლა მეორდებოდა ადგილობრივ ნიადაგზე აღმოსავლეთის და დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში. ასეთი იყო ეგვიპტე, პალესტინა და სირია, ხმელთაშუაზღვის მცირეაზიური სანაპირო და დაწინაურებული კუნძულები[112]. მორგვისეული ჭურჭლეული მცირე აზიაში ტროა I-მა ჯერ კიდევ არ იცოდა. ის მხოლოდ ტროა II-ში გაჩნდა [113]. კრეტაზე მისი პირველი გამოჩენა დაკავშირებულია ადრემინოსურ II პერიოდთან, ხოლო აზიელმა ხელოსნებმა მეკეცის მორგვის გამოყენების ხელოვნება შუამინოსური კულტურის I მონაკვეთზე მასიურად გაავრცელეს[114]. ეს იყო ძვ. წ. 2700—1900 წწ.

კავკასიაში მორგვისეული კერამიკა გავრცელებული ჩანს გაცილებით უფრო მოგვიანო დროში; ვინემ დასახელებულ მხარეებში. თრიალეთის არქეოლოგიური გათხრის დაწყებამდე (30-იანი წლები) ის ცნობილი იყო მხოლოდ გვიანდელი ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ხანის სამაროვნებიდან. თრიალეთში სწრაფმბრუნავ მორგვზე ნაკეთები ჭურჭლეული აღმოჩენილია ბაიბურთის ქვის წრეებიან გორასამარხებში, რომლებსაც ბ. კუფტინი, ერთგვარი პირობითობით, მიიჩნევდა აღნიშნულ ხანაზე უფრო ადრინდელად და მიაკუთვნებდა გვიანდელ ბრინჯაოს ხანას[115]. ამას გარდა, ეს მკვლევარი გულისხმობდა, რომ თვით შუა ბრინჯაოს ხანის მდიდრულ გორასამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლეულიც აგრეთვე გამოყვანილია მორგვზე[116], და მართლაც, არაერთ იქაურ ჭურჭელს მკაფიოდ ეტყობა მორგვის კვალი[117]. ა. ბობრინსკისა და რ. მუნჩაევის ბოლოდროინდელი გამოკვლევის მიხედვით, გაირკვა, რომ ჩრდილო კავკასიაშიც მეკეცეებს დაახლოებით ამ დროს უხმარიათ მორგვი, რამდენადაც მისი კვალი დასტურდება მაიკოპის კულტურის გვიანდელი ეტაპის თიხის ზოგიერთ ჭურჭელზე[118]. მაგრამ რომ კავკასიურ სამყაროში შუა ბრინჯაოს ხანაში ეს ხელსაწყო მასიურად არ ყოფილა დანერგილი, ამას მოწმობს იმ დროის სხვა ადგილსამყოფელების ჭურჭლეული, რომლებიც უფრო ხშირად ხელითაა ნაკეთები. მაგალითად, კ. კუშნარიოვა წერს, რომ ძვ. წ. II ათასეულის დასაწყისი საუკუნეებით დათარიღებული უზერლიკთეფეს მხოლოდ II და III კერამიკული ჯგუფის ზოგიერთი ჭურჭელი შეიძლება იყოს დამზადებული პრიმიტიულ მბრუნავ მორგვზე[119]. ამგვარი ფაქტების გვერდით მთელ კავკასიურ მასალაში სრულიად განცალკევებულად გამოიყურება ერთი დიდი ჭურჭლის ზედა ნახევარი[120], რომელიც მომდინარეობს მარნეულის რა-

---

[112] G. Childe, Rotary Motion, გვ. 199—200; R. Engberg, at G. M. Shipton, Notes on the Chalkolitic and Early Bronze Age Pottery of Megiddo. 1943.

[113] Г. Чайлд, დასახ. ნაშრ., გვ. 53, 54, 70, 74.

[114] Дж. Пендлбери, Археология Крыта, М., 1950, გვ. 84, 121.

[115] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, გვ. 76.

[116] ი ქ ვ ე, გვ. 97—98.

[117] ე. გ ო გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, გვ. 19.

[118] А. А. Бобринский, Р. М. Мунчаев, Из древнейшей истории гончарного круга на Северном Кавказе, КСИА, вып. 108, გვ. 14—22.

[119] К. Х. Кушнарева, Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-Тепе около Агдама, МИА СССР, № 67, გვ. 397, 402.

[120] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, გვ. 32, სურ. 9, 20.

იონში სოფ წოფის სამხრეთით განკიდული ბორცვის ნამოსახლარიდან[121]. ბზენარევი თიხისაგან ღია ვარდისფრად გამომწვარ დაბალი ძაბრისებური ყელით აღჭურვილ ამ ჭურჭელს კ. კუშნარიოვა და ტ. ჩუბინიშვილი მიაწერენ სამხრეთ კავკასიაში ახლად გამოვლენილ ენეოლითურ კულტურას (ძვ. წ. V–IV ათასწლეულები) და დასძენენ, რომ ის მორგვზე ნაკეთობის შთაბეჭდილებას ქმნის[122]. პირადი დაკვირვებითაც დავრწმუნდით, რომ იგი სწორედ ასეთი ნახელავია. მისი თარიღის შესახებ ეჭვი შეიძლება აღძრას მხოლოდ რთულპროფილიანმა პირმა, რომლის ანალოგი სამხრეთ კავკასიის ძვ. წ. V—IV ათასწლეულის ძეგლებს შორის არ გვეგულება, თუ იმავე ხანას არ მივაწერთ ე. პჩელინა-ეულ კიკეთის ერთ ჭურჭელს[123], რომელიც მისგან მაინც განირჩევა მაღალი ცილინდრული ყელით და თიხის ცომის სხვანაირი შეზავებით. ასეა თუ ისე, წოფში ნაპოვნი ჭურჭელი არ გამოდის ამიერკავკასიის ენეოლით-ადრებრინჯაოს I ეტაპის კულტურების წრიდან და არც სხვა რამ ისეთი ნიშანი აქვს, რომ ის იმპორტულად ჩაითვალოს. ამიტომ, ვარაუდს იმ უძველესი ეპოქის ამიერკავკასიაში მეკეცის მორგვის დროდადრო ხმარებაზე, საფუძველი უმაგრდება და თეთრი წყაროს ნასოფლარზე აღმოჩენილი ქვის დისკოს ნატეხის დანიშნულებაც უფრო გასაგები ხდება. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად დამტკიცებულად ჩავთვალოთ ენეოლით—ადრე ბრინჯაოს ხანის კავკასიის კერამიკულ წარმოებაში „მანქანური“ ელემენტის არსებობა. ჩვენი ვარაუდის შემოწმება უნდა მოხდეს კერამიკული წარმოების სპეციალისტ-ინჟინრების მონაწილეობით[124].

ამ გრძელი ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ თეთრი წყაროს კერამიკის სხვა ნიშნების დახასიათებას.

უმორგვოდ ამოყვანილი სქელკედლიანი ჭურჭლის ძერწვის ტექნიკის საილუსტრაციოდ საინტერესოა ერთი ნატეხი. მისი ვარდისფერი კეცი მთელ სისქეზე ფენა-ფენად იტკიცება, რაც იმის მაუწყებელია, რომ ხელოსანი ჭურჭლის თხელი კედლის ამოყვანისა და ოდნავი გამოშრობის შემდეგ შედგომია ნავარაუდევ ზომამდე მის ხელახლა გასქელებას — ზედაპირზე რბილი ცომის დაგოზვა-მოსწორების წესით. ძერწვის ასეთივე წესი დამოწმებულია მტკვარ-არაქსის კულტურის სხვა ადგილსამყოფელებშიც, რაც თეთრი წყაროს მონაპოვრებს მჭიდროდ აკავშირებს მათთან.

თეთრწყაროსეული კერამიკის ნატეხების საერთო ნიშანთა შორის აღსანიშნავია საჭურჭლე თიხის ცომის შემზადება საგანგებოდ შერეული მასალებით. თიხის ცომის დამჭლევება სხვადასხვა ნივთიერებით, საზოგადოდ, ნაკარნახევია მეკეცეთა სურვილით, რომ მათი ნახელავი არ დასკდეს და ბზარებით არ დაიფაროს გაშრობისა და გამოწვის დროს. დასამჭლევებლად ჩვეულებრივ იხმარება როგორც ორგანული, ისე მინერალური ნივთიერებანი.

ზემოხსენებული საერთო ნიშნების გარდა, ნასოფლარის კერამიკულ ნატეხებში შეიმჩნევა აგრეთვე, ზოგიერთი თავისებურება, რომელთაგან პირველი შეხედვით თვალში გვხვდება კეცის ფერი. საკმაოა აღინიშნოს, რომ მთელ კერა-

---

[121] გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ, 1960, გვ. 67—71; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 7, 32.

[122] იქვე, გვ. 32.

[123] Б. А. Куфтин, Урартский..., გვ. 83, სურ. 47, 3; ტაბ. XX, 5.

[124] A. Perkins, დასახ. ნაშრ., გვ. VII.

მიკულ მასალაში გაირჩევა სამი ძირითადი ფერი: ნასოფლარის ჭურჭლეულთა I ჯგუფში ვათავსებთ ღია ფერის კერამიკას — წითელი ოქრასფერიდან ვიდრე მუქ-მურა ფერამდე, ნარინჯისფერის და ყავისფერის გავლით. ისინი აღმოჩენილია როგორც A, ისე Б ფენაში, მაგრამ A ფენაში წარმოდგენილი არ არის ჭურჭლის ყველა ტიპი, რომელიც Б ფენაში გვხვდება. A ფენის მთავარ ტიპებად ჩაითვლება მაღალცილინდრულყელიანი სადა ჭილებისა და ურნების ნაირსახეობა და ლანგრისებური ჯამები, (სურ. 33—35). მაშინ, როცა Б ფენაში, ამას გარდა, თუნგულები და სხვა სახის ჭურჭლეულიც არის.



სურ. 33 — „A“ ფენის მასალა

I ჯგუფის მრავალათას ნატეხთაგან მხოლოდ ორმოციოდე ნატეხმა დაგვანახა, რომ ცომში შეუზელიათ ორგანული ნივთიერებანი, ბზე ან წვრილად დაკეპილი ჩალა. ასეთ ნატეხთა შიდა და გარე ზედაპირზეც, ისევე როგორც კეცის გულში, მოჩანს მოგრძო და ვიწრო ფოსოები, რომლებიც ბუდეების მსგავსად დარჩენილა მცენარეული მინარევის დაწვის შემდეგ. მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური ტიპის ბზენარევ კერამიკად, როგორიც დამოწმებულია ძველი აღმოსავლეთის და ნაწილობრივ, ამიერკავკასიის ნეოლითურ თუ ენეოლითურ სამოსახლოებზე. ის გამოირჩევა იმ ნიშნით, რომ მასში ორგა-



სურ. 34—„A“ უნის მასალა

სურ. 35 — „A“ ფენის მასალა

ნულ ნივთიერებასთან ერთად, მოჩანს წვრილად დანაყილი ბაზალტისა და კვარცის ფხვნილი. ამ ნიშნითაც იგი ახლოს დგას კაიაკენტის სპილენძის ხანის ჭურჭლეულთან[125]. ბზის შერევის არც ერთი შემთხვევა დამოწმებული არ არის მუქ და შავზედაპირიან ჭურჭლეულზე.

I ჯგუფის კერამიკის მეორე ქვეჯგუფი, კეცის ფერით და ბევრი სხვა ნიშნით, ძალიან უახლოვდება პირველ ქვეჯგუფს, ოღონდ, მასში მხოლოდ მინერალური ფხვნილია შერეული, სახელდობრ, სილა და დანაყილი ნივთიერებანი. ერთ ნატეხში ასეთებთან ერთად მოჩანს აგურისფერი მარცვლები, შესაძლოა, შამოტი ანდა მოწითალო ქვის ნაფხვენი. ქვეჯგუფის საჭურჭლე თიხა ხშირად წმინდად არის განლექილი, ხოლო შემდეგ დამატებული აქვს ცოტაოდენი წვრილი ფხვნილი, უფრო იშვიათად ძსხვილმარცვლოვანი ქვიშაც კი. უკანასკნელ შემთხვევებში კენჭები ამოჩრილია ნახელავის ზედაპირზე ანდა მათ ადგილას შემდეგ დარჩენილა საკმაოდ მოზრდილი ფოსოები.

ორივე ქვეჯგუფის დამახასიათებელ ზოგიერთ სხვა ნიშნად ჩაითვლება სუსტად მოზელილი თიხისაგან ნაძერწობა და, როგორც უკვე ითქვა, უმეტესად, მთელ სისქეზე ერთგვაროვნად გამომწვარი კეცის ფერის მერყეობა ვარდისფერიდან მოწითალო ოქრასფრამდე და ნარინჯისფერიდან ღია ყავისფრამდე. კეცში ხშირად მოჩანს ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული თიხის გუნდა-ბურთულები და მათ შორის დარჩენილი ცარიელი უჯრედები. ეს უნდა იყოს შედეგი არა მარტო ცომის არასაკმაო მოზელისა, არამედ, აგრეთვე, იმისაც, რომ გამოწვა მიმდინარეობდა დაბალი სიმხურვალის პირობებში, როცა ცეცხლს ვერ მოუსწრია თიხის ნაწილაკთა „შედუღება“ ერთმანეთთან.

ამნაირი კერამიკის გამოსაწვავ ღუმელებში ან, უფრო სავარაუდოა, მარტივ ორმოებში სიმხურვალე ალბათ ვერ აღწევდა 600°-ს, რაც არ კმარა მტკიცე კეცის მისაღებად. მართლაც, წინამდებარე ჯგუფის არაერთი ნატეხის შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ მასალისაგან დამზადებული ჭურჭელი უვარგისი იქნებოდა კერძის მოსახარშავად და სითხის შესანახადაც. ზედ დასხმულ წყალს ნატეხები მალე ღებავს, ისრუტავს და გარეთაც ადვილად უშვებს. უფრო მეტიც, მშრალ მდგომარეობაშიაც ისინი ვერ უძლებენ მყარი სხეულების წინააღმდეგობას. მაგალითად, შეხებისას ხელს სვრის, თუ ვცდით, ქაღალდსა და დაფაზედაც ისევე წერს, როგორც ცარცი. ერთი სიტყვით, პირველი ჯგუფის კერამიკის არსებითი ნიშანია უაღრესად რბილი კეცი. ამ ნიშნით განსაკუთრებით განირჩევა მოუწერნაქებელი ნატეხები. ამგვარ მონაპოვრებს, რომელსაც უწინ მხოლოდ ყუბანისპირეთს ან ჩრდილო კავკასიას მიაწერდნენ, არქეოლოგები „დამსვრელ“ კერამიკას უწოდებენ.

თეთრწყაროელ მეკეცეებს უცდიათ ჭურჭლეულის თვისებების გაუმჯობესება მოწერნაქებისა და გაპრიალების გზით. ბევრი ჭურჭლის ხან ორივე (შიგა და გარეთა), ხანაც მხოლოდ გარეთა ზედაპირი დაუფარავთ მსუქანი თიხის თხელი ფენით და ზოგჯერ საგულდაგულოდაც უპრიალებიათ. ამნაირი საშუალებით მათ ერთბაშად ნახელავის რამდენიმე ნაკლი მოუსპიათ. ცნობილია, რომ თიხის ცომში შერეული გარეშე ნივთიერებები თუ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ნამზადის გამოწვას დაუმსკდარად, მეორე მხრით ქვიშის მოზრდილი კენჭები, რომლებიც მეჭეჭებივით ამოდის ჭურჭლის ზედაპირზე, ლაზათს

---

[125] А. П. Круглов, Северо-Восточный Кавказ во II-I тысячелетиях до н. э., МИА СССР, № 68, გვ. 26.

უკარგავს და აუშნოებს ნაკეთობას. წერნაქი მნიშვნელოვნად ავსებს და ასწორებს ძერწვისას ზედაპირზე დარჩენილ უსწორმასწორობას, ფარავს წვრილმან კენჭებს და ჭურჭელს აძლევს სასურველ ფერს, ხოლო გადალესვა-გაპრიალების დროს, გარდა იმისა, რომ ნახელავი იძენს ბზინვარებას, ყველა ამოჩრილი კენჭი იძირება მცირედ გამომშრალ თიხაში, გლუვდება და მჭიდროვდება მისი ზედაპირი. გამოწვამდე ჭურჭლის დამუშავების ეს წესები, ვიმეორებთ, საკმაოდ ცნობილი იყო თეთრწყაროში და, ამიტომ, იქაური ნახელავი გარეგნულად ხშირად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როცა გარდა მოწერნაქება-გაპრიალებისა, ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია გამომშრალ თიხაში ჩალესილი თუ ფუნჯით წასმული მუქი წითელი ან შინდისფერი საღებავით. მაგრამ ბევრ ნატეხზე მათი კვალი ან სულ არ ჩანს, ან მხოლოდ აქა-იქ შერჩენილა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ წერნაქი და საღებავი დატანილი იყო ძალიან რბილ საფუძველზე, ადვილადშლად ნიადაგზე. საჭიროა დამატებით აღინიშნოს, რომ თვით წერნაქიც ხშირად ერთობ რბილი აპკის შთაბეჭდილებას ქმნის და ასეთ შემთხვევებში ის ისევეა ხელის დამსვრელი, როგორც მისი საფუძველი: მასზე იშვიათად ვამჩნევთ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის წერნაქისთვის დამახასიათებელ წვრილ-წვრილ ბზარებს[126]. ეს გარემოება აიხსნება არა იმდენად წერნაქისთვის ნახმარი თიხის თავისებურებით, რამდენადაც, ალბათ, გამოსაწვავი ღუმელის არასაკმაო მხურვალებით.

გამოწვასთან დაკავშირებით ისლა უნდა ითქვას, რომ ის ყოველთვის ერთნაირი ხარისხის არ ყოფილა. კეცი, რა სისქისაც უნდა იყოს, გადანატეხში უმეტესად ერთფეროვანია. მაგრამ ზოგ ნატეხზე სხვა სურათი მოჩანს: გარე და შიდა ზედაპირის ფერისაგან განსხვავებულია კეცის გული, რომელსაც მუქი ანდა ნაცრისფერი დაჰკრავს და თანდათანობით ერწყმის ზედაპირთა ფერებს. გამონაკლის შემთხვევებში შავი გული გაცილებით უფრო სქელია, ვინემ ერთად აღებული გარემომცველი ორი ფენა, მაგრამ უფრო ხშირად ის ჩანს ტიხრის სახით. ბევრი სხვა ნატეხის ნარინჯისფერი ზედაპირი დაწინწკლულა არაერთი საკმაოდ მოზრდილი ლაქა-ხალით, ზოგჯერ ყავისფერ ზედაპირსაც მოწითალო ლაქები აქვს. სავარაუდოა, ისინი მეორადი მოვლენების შედეგია, როგორიც შეიძლება ყოფილიყო ჭურჭლის დადგმა მბოლავი კერის ნაპირზე. მაგრამ ლაქები, ზოგჯერ, თვით გამოწვის დეფექტად ჩაითვლება. რაც შეეხება მუქ გულას, რომელიც ერთადერთი ნიშანია საჭურჭლე თიხის თავდაპირველი ფერის გასაგებად, ის უეჭველად მიუთითებს, რომ ღუმელში განვითარებული სიმხურვალე საკმარისად ვერ ატანდა კეცის ღრმა ფენებში.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ I ჯგუფის ჭურჭლეულის განხილული ნიშან-თვისებები, უპირველეს ყოვლისა კი, არასაკმაოდ მოზელილი თიხის ცომი, ხელით ნაძერწობა და სუსტად გამომწვარი კეცი, მიუთითებს კერამიკული წარმოების განვითარების ერთგვარ დაბალ დონეზე, თუმცა ზოგიერთი სხვა ნიშანი, როგორიცაა ზედაპირის დაფარვა წერნაქით, შეღებვა მუქი წითელი ან შინდისფერი საღებავით და გაპრიალება, იმის მაჩვენებელია, რომ თეთრწყა-

---

[126] ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დასველება-გაპრიალების შედეგად ჭურჭლის ზედაპირი იბზარება, არაა დამაჯერებელი. გამოწვისას წვრილი ბზარები უჩნდება მხოლოდ წერნაქს, რომელიც მსუქან თიხას წარმოადგენს.

როელი მოსახლეობა მეკეცეობის ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციით სარგებლობდა.

კერამიკული წარმოების დონე ამ დროს უეჭველად იყო შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე ამას მიუთითებს დასავლეთ საქართველოს ნეოლითური თიხის ნახელავი ან სამხრეთ ამიერკავკასიის ახლად გამოვლენილ იმ სამოსახლოებზე გათხრილი ჭურჭლეული, რომლებსაც ზოგჯერ ნეოლითურ საზოგადოებას მიაწერენ[127], ზოგჯერ კი ენეოლითურ კულტურად გვისახავენ[128].

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ თეთრწყაროელ მეკეცეთა ნახელავის ყველა ფორმის გათვალისწინება გაძნელებულია მეტად წვრილ ნატეხებად შემონახული სათანადო ნიშნების გამო. მაგრამ საბედნიეროდ, მათთან ერთადაა, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მოღწეული მცირერიცხოვანი ნატეხებიც, რომლებიც ან თვითონვე მიგვანიშნებენ ჭურჭლის თავდაპირველ რაგვაროზე, ან მის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მათი სხვა მონაპოვართა, უფრო კარგად დაცულ მასალებთან შეპირისპირება.

I ჯგუფის ნატეხები გვაფიქრებინებს, რომ „სოფიოსეულში“ უძველესი დროიდანვე (ვიდრე იგი ნასოფლარად იქცეოდა) ფრიად გავრცელებული უნდა ყოფილიყო თითქმის სწორი, მაღალცილინდრული ყელით აღჭურვილი ჭურჭლეული. ამნაირი ჭურჭლის, უმეტესად ყელის ნატეხები აღმოჩენილია როგორც A, ისე Б ფენაში. ამასთან, A ფენაში ამ ნატეხებს, ისევე როგორც სხვებს (გარდა ერთი შემთხვევისა), თან არ ახლავთ ამა თუ იმ ტიპის სახელური ანდა მისი ოდესმე არსებობის კვალი მაშინ, როცა Б ფენაში როგორც ცალკე, ისე ჭურჭლის კედლის ნატეხებზე საკმაოდ შემონახულია ჰორიზონტალურად გახვრეტილი ნახევარსფერული ყურები ან მათი ფუძეები. ქვის იარაღთა სახელოსნოს გათხრებისას აღმოჩენილ არაერთ ნატეხზე კი სულ სხვა ტიპის ყურია, რომლის ღერო ყოველ მონაკვეთზე ერთნაირი სისქის და სიფართოვისაა.

მაღალცილინდრულ ყელიან ჭურჭლეულში 2 ძირითადი ნაირსახეობა გაირჩევა; პირველის და ჩვენი აზრით, უძველესი კეცის სისქე არცერთ შემთხვევაში არ ამეტებს 7 მმ-ს; ბლომად არის ამაზე თხელი ნატეხებიც. პირი ამგვარი ჭურჭლებისა, ზოგჯერ, უბრალოდ მომრგვალებულია და არავითარ მიდრეკილებას არ იჩენს შიგნით ან გარეთ გადაზნექისაკენ. სხვა შემთხვევებში კი პირი ოდნავ შესქელებულია, ზედდებული წვრილი ლილვის სახით, ისიც მხოლოდ ალაგ-ალაგ.

Б ფენაში თიხის კერაში აღმოჩენილ ნატეხთაგან აღდგა არცთუ მაღალცილინდრულყელიანი ჭურჭლის ნახევარზე მეტი, რომელიც წარმოგვიდგენს თითქმის მის სრულ პროფილს ძირის გამოკლებით. ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რამდენად ტიპურ ჭურჭლად ჩაითვლება იგი, ვინაიდან ბევრი სხვა ნატეხი უფრო შემაღლებულ ყელებს მიუთითებს, მაგრამ ზოგადად აქვს სხვა ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებსაც დანარჩენ ნატეხებზე ვხედავთ. მისი ძირი ვიწრო და ბრტყელი უნდა ყოფილიყო, ტანი მომრგვალებულ-სფეროსებური, ცილინდრული ყელი ტანისაგან გამოყოფილია სველ თიხაზე მსუბუქად დატანილი ღარით; პირი აქა-იქ შესქელებულია; ყურის კვალი არ ჩანს, თუმცა სავარაუდოა,

---

[127] О. А. Абибулаев, Раскопки холма Кюль-тепе..., გვ. 432.

[128] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, გვ. 5.

რომ თუ ის ჰქონდა, მოთავსებული უნდა ყოფილიყო შეურჩენელ ნახევარზე. ესაა ტიპური მცირე, მაგრამ ფართო ყელიანი ჭილა, რომლის საერთო სიმაღლე 15 სანტიმეტრამდეა, საიდანაც ყელზე მოდის 1/3; მუცლის უდიდესი დიამეტრი დაახლოებით უტოლდება მთელს სიმაღლეს, ხოლო ყელის დიამეტრი ამაზე ცოტა ნაკლებია. სხვა ჭილების ყელის ნატეხები მიუთითებს შედარებით უფრო მოზრდილ ჭურჭლებზე, რომელთა სიმაღლე 30 სმ-მდე მაინც უნდა ყოფილიყო.

როგორც აღნიშნული იყო, Ბ ფენაში შავზედაპირიანი ჭურჭლის ნატეხები ჭარბობს, თუმცა აგრეთვე ბლომად არის ვარდისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლეულიც. შავ კერამიკაში არის ნატეხები, რომლებსაც ერთნაირი ფერი აქვთ კეცის მთელს სისქეზე, მაგრამ ისინი გამონაკლისს შეადგენენ და უმეტეს ნაწილს ახასიათებს შავი, ხშირად პრიალა ზედაპირი, ხოლო ვარდისფერი ან მონაცრისფრო — შიდა მხარე. კლასიკური „მტკვარ-არაქსული“ შავპრიალა და ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭელი აქ მცირეა. მათი ნაწილი შემკობილია ჩაზნექილ-ამოზნექილი სახეებით, რომლებშიც გაბატონებული ადგილი უკავია კონცენტრულ წრეებსა თუ სპირალებს. ზოგიერთ ნატეხზე ჩანს მსხვილი კუთხის შემჭიმნელი რელიეფური ზოლები. ხშირია წყვილ-წყვილი ძუძუსებური შვერილები. ჭურჭლის ფორმები ზოგჯერ A ფენისას მოგვაგონებს, მაგრამ უმეტესად გვხვდება ახალი ტიპის ბადიები, ცალყურიანი სასმისები, მოზრდილი ქოთნები — ცილინდრული ან ზემოთ ოდნავ შევიწროებული და სხვ. ძირები აქაც ბრტყელია, პირი ზოგჯერ შესქელებული და გარეთკენ გადმოშლილია. Ბ ფენაში ჩნდება ჭურჭლის ნახევარსფერული ყურები.

აღსანიშნავია, რომ ორ კულტურულ ფენას შორის არავითარი სტერილური შრე არ ჩანდა. ეს გარკვევით მიუთითებს, რომ აღმოჩენილი მასალები ერთისა და იმავე ეთნიკური ჯგუფის სხვადასხვა თაობის შემოქმედების ნაყოფია. მოსახლეობა პირველ ხანებში ამზადებდა ღია ფერის რბილკეციან ჭურჭლეულს; შემდეგ, ამასთან ერთად შეითვისა ვარდისფერსარჩულიანი შავპრიალა კერამიკის დამზადების წესი და, აგრეთვე, მიაღწია გამოსაწვავი ღუმელის, შედარებით, მაღალ სიმხურვალეს.

2. ქვის ინდუსტრიის ნაშთები

საკვლევი სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა სხვადასხვანაირი მთის ქანები ნედლეული იარაღ-საჭურველისა და საოჯახო საგნების საკეთებლად. ისინი, ამას გარდა, უხვად იყო გამოყენებული მშენებლობაშიაც. ანდეზიტ-ბაზალტის უამრავი ლოდი ხმარდებოდა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, აგრეთვე დიდ ზღუდეს. თითქმის, უეჭველია, ყველა ამ საქმეში იყენებდნენ ხესაც, მაგრამ ის არ შენახულა.

სამშენებლო ქვის მოზიდვა ძნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან როგორც თავის დროზე უკვე ითქვა, ნასოფლარის სანახებში ბევრგან არის გაშიშვლებული კლდის მასივი, რომელიც დაბზარულა და დანაპრალებულა ატმოსფერული მოვლენების მოქმედებით. მაგრამ საკმაო საბუთებია იმის დასამტკიცებლად, რომ სამშენებლოდ საჭირო ქვას სოფლელები აგროვებდნენ არა მარტო დედამიწის ზედაპირზე, არამედ, აგრეთვე, ჭრიდნენ ძირითადი ქანიდანაც. ზე-

დაპირული ლოდები, ჩვეულებრივ, ძლიერ გამოფიტულია და გამოიცნობა მეტი ფოროვნობით მაშინ, როცა კლდის მასივის ღრმა ფენებში ქანი შედარებით უფრო მკვრივად გამოიყურება. ამგვარი მკვრივი ლოდები, თანაც თითქმის საგანგებოდ დაკუთხული, ეწყო სახელოსნოს (მე-3 ქვაყრილი) საძირკველში. წრიული სახლის საძირკველიც ასეთივე მკვრივი ქვებით გაუმართავთ, თუმცა ისინი ბევრად უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე სახელოსნოში დამოწმდა. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ გრძელი სახლის კედლებს შიგნით, იატაკქვეშ, გამოვლინდა ქვის სამტეხლო, საიდანაც მოჭრილი და ამოღებულია არაერთი დიდი ლოდი (ტაბ. III — 2). ეს ფაქტები, ჩვენი აზრით, საკმაოდ ნათლად მიუთითებს, რომ მოსახლეობა დახელოვნებული იყო კლდის მაგარი მასივიდან სამშენებლო ქვების ჭრაში, ე. ი. ჰქონდა მას სამთო საქმის გარკვეული ცოდნა-გამოცდილება.

საყურადღებო საკითხი, თუ რა ხერხით ჭრიდნენ ძველი თეთრწყაროელები ძირითადი ქანებიდან ქვას, ეს თუმცა დამაჯერებლად არ ირკვევა მონაპოვრის საფუძველზე, მაგრამ სათანადო ვარაუდისათვის ზოგიერთი ნართაული მითითება მაინცა გვაქვს. მაგალითად, სამტეხლოში წარმოქმნილი ორმოების ძირზე აღმოჩენილია ხის ნახშირის ნარჩენები, რამაც მოგვაგონა სამთო წარმოების დარგში ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქაში შემუშავებული კლდის ნგრევის ხერხი — ცეცხლისა და წყლის შემწეობით (ე. ი. ცეცხლით გავარვარებული ქანის დაშლა ზედ წყლის მისხმით)[129] ამ მეთოდს კიდევ უფრო დიდი წარმატებით იყენებდნენ ბრინჯაოს ხანის სამთამადნო საქმის მუშაკები, სხვათა შორის, საქართველოშიაც, რამდენადაც ეს დამტკიცდა ზემო რაჭის ძველი წოლხვრელების არქეოლოგიური გამოკვლევისას[130] და ჩხალთის (აფხაზეთში) ასეთივე ძეგლების დაზვერვისას[131]. მადნეულის სათხრელ მღვიმეებში ხშირად პოულობენ ხის ნახშირის უამრავ ნაშთს და, გარდა ამისა, არაერთგანაა აღმოჩენილი მარაგი წელში გამოყვანილი, შემოყელილი ქვის უროებისა[132], რომლებიც, ჩვეულებრივ, უხმარიათ დანაპრალებული ქანის მოსანგრევად და საფხვნელად. მსგავსი უროების აღმოჩენის შემთხვევები დამოწმებულია მადნეუ-

---

[129] Г. О б е р м а й е р. Доисторический человек, СПб., 1914, с. 556—557.

[130] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, თბ., 1952. გვ. 55; მისივე, შუა ბრინჯაოს ხანა, ავტორთა კოლექტივი, საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 109; მისივე, ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები რაჭაში, „ძეგლის მეგობარი". კრებული, 6, თბ., 1966, გვ. 18; Г. Ф. Г о б е д ж и ш в и л и, Памятники древнегрузинского горного дела и металлургии у сел. Геби, Вестник АН ГССР, т. XIII, 3, 1952.

[131] Ш. Г. Ч а р т о л а н и, Памятники древнегрузинского горнорудного дела в горной Абхазии, ОАС, 1971, გვ. 96—97.

[132] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომები, განსაკუთრებით — „ძეგლის მეგობარი", 6, სურ. მე-20 გვერდზე; Ш. Ч а р т о л а н и, დასახ. ნაშრ.; И. С. П о л я к о в, Дневник археологических работ, веденных в Закавказском крае ссенью 1879 г., Пятый АС в Тифлисе. Протоколы Предварительного Комитета. М., 1879, გვ. 177, 212—214; E. C h a n t r e, Recherches anthropologiques dans le Caucase, I, P-L. 1885, გვ. 50, სურ. 6, ტაბ. I, 7 და ტაბ. II, 5—10; ОАК, за 1889, СПб., 1902, გვ. 71; П. С. У в а р о в а, Археология. ККМ, т. V, Тб., 1902. გვ. 192. № 63—87, ტაბ.XI; В. М. С и с о е в, Археологическая экспедиция по Закубанью в 1892 году, МАК, IX, М., 1904, გვ. 153; სურ. 62; I. H u m m e l, Zur Archäologie Azerbaidschans. ESA, VIII, 1933, გვ. 232—233, სურ. 31; Я. И. Г у м м е л ь, Археологическая разведка на Килик-Даге, Изв. Аз. ФАН, Б., 1938, № 2, გვ. 22—24, ტაბ. I, II, №№ 6—18.

ლის საბადოთა მიდამოებში ძველ სამოსახლო ადგილებზე.[133] აღსანიშნავია, რომ ანდეზიტ-ბაზალტის ერთი ასეთი, არაჩვეულებრივად დიდი და მძიმე, ტანშემოჯირჭლული უროს ნატეხი (ტაბ. XXV-1) აღმოჩნდა თეთრიწყაროს ნასოფლარის გორასამარხის ქვაყრილშიც. შესაძლებელია, რომ ის თავის დროზე გამოყენებული ყოფილიყო ქვისსამტეხლოებში, სადაც, თუ ზემოხსენებულ ხის ნახშირს რაიმე მნიშვნელობას მივანიჭებთ, ეგებ ცეცხლით წარმოებდა მუშაობა.

ამგვარად, ჩვენი ვარაუდით, სოფლის მცხოვრებთ შეიძლებოდა ჰქონოდათ ემპირიული წარმოდგენა მყარ სხეულთა ცვლადი სიმხურვალის მოქმედების შედეგებზე და კიდევაც ესარგებლათ აღნიშნული ცოდნით, მოცემულ შემთხვევაში კლდის ქანების დამუშავებისას. გამორიცხული არაა არც სხვა მეთოდების ცოდნა, როგორიცაა ქანის ნგრევა ნაპრალებში ხის სველი სოლების გაჰედვის გზით, ან ქვის ცულებით საჭირო ზომა-მოყვანილობის ლოდების ჭრა— მეთოდი, რომელიც აღდგომის კუნძულის „დიდყურათა“ მაგალითზე ტურ ხეიერდალმა აგვიწერა დიდი შთაგონებით. მაგრამ ასეთი ვარაუდისათვის ნასოფლარზე მიკვლეული არ ყოფილა ნივთიერი საბუთები; თუნდაც რომ არსებულიყო, ათასწლეულთა მანძილზე მაინც ვერ გაძლებდა ხე. ხოლო კულტურულ ფენებში აღმოჩენილი მოცისფრო რქეულას 2 ბრტყელი ცული, ან, რაც უფრო მართებულად გვეჩვენება, ეჩო, ისე ფაქიზადაა გაპრიალებული, რომ საეჭვოა ისინი გაემეტებინათ კლდის საკვეთ იარაღად (ტაბ. XXV—2).

კლდიდან მოჭრილსა თუ ზედაპირული ქვის სხვადასხვა ზომის ლოდებს სოფლის მოსახლეობა, მშენებლობის გარდა, იყენებდა, აგრეთვე, სამეურნეო და საოჯახო ინვენტარის საკეთებლად. ანდეზიტ-ბაზალტისაა, მაგალითად, როდინები, ხელსაფქვავის ქვები, სახეხ-საპრიალოები, შუაში გახვრეტილი დისკოები (ტაბ. XVII). და სხვ. — ყურადღებას იპყრობს სამწახნაგა პრიზმის მსგავსი დიდი ლოდიც, რომელიც გახვრეტილია თხელ ნაწილში. ბევრი სხვა ნახელავის მსგავსად, ისიც შერეული იყო გორასამარხის ქვაყრილში. ამგვარი ლოდები ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების ტაძრების გალავანში, სადაც ისინი განკუთვნილი იყო შორით მოსული მხედარ-მლოცველების ცხენების მისაბმელად; თუ რა დანიშნულებას ასრულებდა აღნიშნული ლოდი სოფლის ცხოვრების პერიოდში, ძნელი გამოსაცნობია. ნასოფლარზე აღმოჩენილ ანდეზიტ-ბაზალტის ნახელავთა რიცხვი, ნატეხების ჩათვლით, უდრის 194 ცალს. მათ შორის 71 ხელსაფქვავია, 26—საპრიალო, 12—როდინი, 40—საბეგველა. 3—გამჭოლ გახვრეტილი ან ფოსოიანი ლოდი, 2 — გახვრეტილი დისკო და 1 — ტანშემოყელილი ურო. ეს ციფრები მოწმობს აღნიშნული ქანის — ნედლი მასალის საკმაოდ დიდ მნიშვნელობას სოფლის თავდაპირველ ცხოვრებაში.

ანდეზიტ-ბაზალტის ზოგიერთი ნახელავი, როგორც უკვე ითქვა, აღმოჩენილია გორასამარხის ქვაყრილში, სხვები — შენობების ნანგრევებში — (იატაკზე და მის ზემოთ), ბევრიც — შავი ჰუმუსური თიხით წარმოდგენილ კულტურულ ფენებში. აღსანიშნავია, რომ ხელსაფქვავების მეტი წილი იყო გორა-

---

[133] E. F. Schmidt, Anatolia through the ages Discoveries at the Alishar. Mound 1927—1929, Chicago, 1931, სურ. 39; Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий»..., გვ. 103; В. И. Марковин, Неолитическая стоянка близ Махачкалы, МАД, II, Махачкала, 1961, გვ. 28, სურ. 1—2; О. А. Абибулаев, Остатки жилищ..., МИА СССР, 125, გვ. 50, ტაბ. 1, 8; Э. В. Ханзадян, КАН, Ер., 1967, გვ. 47, სურ. 5 და ტაბ. V; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, ДКЮК, Л., 1970, გვ. 24, სურ. 5, 19.

სამარხის ქვაყრილში (112 ერთეული), მაშინ, როცა როდინები უმეტესად შენახულია თავდაპირველ მდგომარეობაში შავ ჰუმუსურ ნიადაგში. ეს ფაქტი უეჭველად მიუთითებს იმას, რომ, როცა ნასოფლარზე გაიშალა გორასამარხის ყრილის აზიდვის სამუშაო, მშენებლებს თავი არ შეუწუხებიათ მიწაში ღრმად ჩაფლული როდინების თხრისთვის, ხოლო მიწის ზედაპირზე დალაგებული ან შენობების თაროებიდან ჩამოცვენილი ხელსაფქვავის ქვები, ადვილად ჩაურთავთ ყრილში.

ანდეზიტ-ბაზალტთან ერთად საოჯახო საგნებისათვის უხმარიათ რიყის ქვებიც. ეს მასალა უმთავრესად გამოყენებული იყო ფილთაქვებად (ტაბ. XVII—4, 5), ხელკვერებად, საპრიალოებად, საბეგვებლად (ტაბ. XXVI) და სხვ. სულ აღმოჩენილია რიყის ქვის 153 ცალი იარაღი და ხელსაწყო, რომელთა შორის 39 ფილთაქვაა, 38—სალესი, 30—საპრიალო, 8—ხელკვერი, 9—საბეგველი, 12—შურდულის ჭურვი და 17—უცნობი დანიშნულების ნივთი.

რიყის ქვები მოსახლეობას მოჰქონდა მდინარე ხრამის ნოღებიდან და ზოგჯერ მათ იყენებდა ბუნებრივი სახით, მოყვანილობის შეუცვლელად; ხმარების დროს მიღებული სიპრიალე ან ჩამოტეხილი ნაწილები განასხვავებს მათ უბრალო ქვებისაგან, რომლებიც ახლაც შეიძლება ხშირად შეგვხვდეს ხრამის ნაპირებზე.

ნედლეულის წარმოებაში გამოსაყენებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგიერთ ისეთ ქანსაც, რომლებსაც ახასიათებს მაშინდელი ქვის ინდუსტრიის განვითარებისათვის ერთობ სასარგებლო თვისებები, კერძოდ, სიმაგრე და, სათანადო ძალის მოქმედების შემთხვევაში, ნებისმიერი ზომისა და მოყვანილობის ბასრპირიან ანატკეცებად და ფირფიტებად დაშლა. ჯერ კიდევ ქვის ხანის ადამიანს შეცნობილი ჰქონდა, რომ აღნიშნული თვისებები ახლავს კაჟს, რქეულას და ობსიდიანს, რომელთაგან კეთდებოდა სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად საჭირო მარჯვე იარაღ-საჭურველი. თეთრი წყაროს ნასოფლარზე მოპოვებულ მასალებში სამივე მინერალი გვხვდება, მაგრამ რქეულასთან და, მით უმეტეს, ობსიდიანთან შედარებით კაჟი უფრო ნაკლებადაა[134]. სულ აღმოჩენილია ამ მინერალების 5915 საგანი-ნაკეთობა — ანატკეცი და ნატეხი დავთრებში აღურიცხავი წვრილი „ქერტლისებური“ ფირფიტების ჩაუთვლელად[135]. ამ რიცხვიდან კაჟზე მოდის მხოლოდ 80 საგანი ე. ი. საერთო მონაპოვრის 1%-ზე ცოტა მეტი, რქეულაზე—656 ერთეული (11%-ზე მეტი), ობსიდიანზე კი—5179 ერთეული (87,5%)[136]. ამის მიხედვით, აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ობსიდიანს სოფლის ყოფა-ცხოვრებაში, როგორი უპირატესობით სარგებლობდა იგი სხვა ქანებთან შედარებით. ის უხმარიათ რქეულასთან შედარებით 9-ჯერ და კიდევ უფრო ხშირად, ხოლო კაჟთან შედარებით, თითქმის, 64-ჯერ მეტად. ესაა, ერთი შეხედვით, ობსიდიანის თითქმის

---

134 ავტორი სქოლიოში ცდილობს „ობსიდიანი“ შეცვალოს თითქოს ვახუშტისეული სახელით „შავნაბადი“ და, ამის შემდეგ, ხშირად იყენებს ამ უკანასკნელს, თუმცა არანაკლებ ხშირად ვხვდებით „ობსიდიანსაც“. ჩვენ ვამჯობინეთ დაგვეტოვებინა „ობსიდიანი“ (რედაქტორი).

135 ვახუშტისეული ტოპონიმი „ჰიქიანი“ ეჭვს არ იწვევს, რომ ის შეიძლებოდა ობსიდიანით, ანუ, როგორც სხვანაირად უწოდებენ, „ვულკანური ჰიქით“ მდიდარ ადგილს შერქმეოდა. როგორც ზემოთ ითქვა, თაფარავან-ტაბაწყურის რაიონში ასეთნაირი ჰიქის უხვი საბადოებია.

136 ეს სურათი დაზუსტებული სახით იხ. 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1

ქვის ინდრუსტრიის ნაშთების რიცხვი ნასოფლარის გათხრილ ფართობებზე

№ რიგზე	ფართობი	ობსიდიანის ნატეხები და ანატკეცები	კაჟისა და რქეულის ნატეხები და ანატკეცები	ობსიდიანის საგნები გადმოცემის კვალით	კაჟისა და რქეულის საგნები გარეკანის კვალით	ობსიდიანის ნახელავები და მათი ნატეხები	კაჟისა და რქეულის ნახელავები და მათი ნატეხები	რიყის ქვისა და ბაზალტის ნახელავები და მათი ნატეხები	ქვის ინდუსტრიის ნაშთების საერთო რაოდენობა
1	შიდა ფაროობი	3545	178	40	13	79	73	70	3998
2	ქვაყრილი №1	428	231	15	4	7	10	14	709
3	ქვაყრილი №3	375	328	20	2	17	62	70	874
4	ქვაყრილი №4	115	39	21	6	15	8	2	206
5	ქვაყრილი №5	113	41	30	2	9	3	11	209
6	ფარეხი	251	48	10	—	8	5	11	333
7	ზღუდის უბანი	496	—	6	—	3	1	1	507
	ს უ ლ	5323	865	142	27	138	162	179	6836

სრული განუყოფელი ბატონობა, ადამიანის სამსახურში მყოფ ქვის ქანებს შორის. მაგრამ თუ აღნიშნულ ქანებს განვიხილავთ არა ზოგადი მოხმარების თვალსაზრისით, არამედ როგორც ნედლეულს ქვის ინდუსტრიის გასავითარებლად, მაშინ საჭირო გახდება მიღებული დასკვნის დახვეწა და შესწორება, თუმცა ობსიდიანის უპირატესი მოხმარება ამის შემდეგაც უდავო ფაქტად რჩება. დასკვნის დაზუსტების აუცილებლობას იწვევს ქვის საერთო მონაპოვრებიდან ნახელავთა გამოცალკევება, ურომლისოდაც შეუძლებელია გავითვალისწინოთ თითოეული მინერალის როლი წარმოების განვითარებაში. ნასოფლარზე აღმოჩენილი კაჟის ყოველნაირ საგანს შორის საკუთრივ ნამზად-ნახელავი არის 37 ერთეული, რაც შეადგენს 46,25%-ს; რქეულას 665 საგანში ასეთთა რაოდენობა 119 ერთეულს ანუ 18% უდრის, ხოლო ობსიდიანის 5179 მონაპოვრიდან — იარაღ-საჭურველია 219 ერთეული, ანუ 4%-ზე ცოტა მეტი. როგორც ვხედავთ, პროპორციები რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ ობსიდიანის ნახელავთა რიცხვი მაინც ჭარბობს კაჟის და რქეულას ნახელავებს, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად: სამივე მინერალის 375 ნახელავში კაჟისაა, თითქმის, 9,87%, რქეულისა — 31,73%, ხოლო ობსიდიანისა—58.40%. მაგრამ ეს ციფრები, აგრეთვე აშკარად მიუთითებს, რომ იარაღ-საჭურვლად ყველაზე უფრო დიდი მოწონება ჰქონდა კაჟს, შემდეგ — რქეულას და ბოლოს—ობსიდიანს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ კაჟის საერთო მონაპოვრის თითქმის ნახევარი წარმოდგენილია მზა ნაწარმით, ხოლო ასეთები რქეულას მონაპოვრებში შეადგენს $^1/_3$-ს, ობსიდიანის მონაპოვრებში — მხოლოდ $^1/_{24}$ ნაწილს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს, რომ მონაპოვრებში რქეულასთან და ობსიდიანთან გაცილებით უფრო იშვიათია კაჟის დიდრონი კაჭრები (ტაბ. XXVII). ეს ნიშნავს, რომ ნასოფლარზე მოტანილი ძნელად ხელ-

მისაწვდომი კაჟის ნედლეული დაუყოვნებლივ კეთდებოდა იარაღად. მაშინ, როცა შედარებით უხვად არსებულ რქეულასა და ობსიდიანისაგან არც ისე სწრაფად. ეს გარემოება უეჭველად აიხსნება კაჟის უმჯობესი თვისებებით რქეულასთან და მით უფრო, ობსიდიანთან შედარებით: კაჟი გაცილებით უფრო სალი და ნაკლებ მყიფე მინერალია, და თუ ნედლეულს იშოვიდნენ, მისგან სიამოვნებით აკეთებდნენ საუკეთესო სამუშაო იარაღებს.

თუ ყოველივე ზემონათქვამი მართალია, რატომაა ნასოფლარის მონაპოვარ ქვის ინდუსტრიის ნაშთებს შორის კაჟის ასე ცოტა ნატეხები და ასე მცირე რაოდენობის ნახელავი? ქვის ინდუსტრიის ნაშთებს შორის[137] კაჟს ეკუთვნის მხოლოდ 1,4%-მდე, რქეულას — თითქმის 11,1%, ხოლო ობსიდიანს — 87,5%-ზე ცოტა მეტი. ჩვენ ვფიქრობთ, ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ კაჟის ნედლეული ნაკლებ ხელმისაწვდომი იყო. როგორც ცნობილია, თეთრი წყაროს რაიონი თითქმის მთლიანად და, კერძოდ, ჩვენი ნასოფლარი შედის ქვემო ქართლის იმ სარტყელში. რომელშიაც ვულკანური ლავა ანდეზიტ-ბაზალტების სახით სქელ საფარად აწევს, მასთან შედარებით უფრო ხნიერ, მეტამორფულ და ნალექ ქანებს, რომლებსაც მიეკუთვნება კაჟიც და რქეულაც. ამიტომაც, ამ რაიონში, აღნიშნული ნედლეულის საბადოებს ადამიანი ვერ იპოვიდა ადვილად. მაგრამ, რომ კაჟიც და რქეულაც სადღაც ხრამის აუზში გაშიშვლებულია, ამას მოწმობს ამ მდინარის კალაპოტის პეტროგრაფიულ მასალებზე დაკვირვების შედეგები. იქ ნოღაზე, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდება ხოლმე კაჟის ნაგორები ნატეხები, უფრო ხშირად კი რქეულის ქვარგვალები — უეჭველად მოტანილი მათი საბადოებიდან. ასეთი ნაგორები ქვებისაგან ჩამოტეხილ კაჭრებს ვხვდებით ნასოფლარის მასალებშიც (ტაბ. XXVIII—I), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ძველი მოსახლეობის ამ საწარმოო ნედლეულის წყაროდ ითვლებოდა ხრამის კალაპოტი. რადგანაც იქ არც თუ ხშირი მოვლენაა კაჟი და რქეულა, ამიტომ, გასაგები ხდება მათი შეზღუდული მონაწილეობა ნასოფლარის ქვის ინდუსტრიის ნაშთებში. დაახლოებით ასეთსავე სურათს ხედავს გ. გრიგოლია ქვემო ქართლის ერთ-ერთი უძველესი პალეოლითური სადგომის — წოფის გამოქვაბულის — ქვის ინდუსტრიის მასაზრდოებელი ნედლეულის საბადოთა ძიებისას[138].

რაც შეეხება ვულკანურ ქანს — ობსიდიანს, მისი უახლოესი გამოსავლებია ნასოფლარიდან ასიოდე კილომეტრის მოშორებით, უძველესი დროიდანვე საზაფხულო საძოვრებით სახელგანთქმულ თრიალეთის მთებში[139]. სავარაუდოა, რომ ისევე როგორც მადნეულის საძიებლად და სათხრელად ფარაონების დროინდელ ეგვიპტეში, ობსიდიანის კაჭრებით უხვად მოსამარაგებლად თეთრი წყაროს გვაროვნულ საზოგადოებაშიც, შესაძლოა, იქმნებოდა საგანგებო „ექსპედიციები“[140], ან ამ საქმის შესრულება ჯოგის მწყემსებს ევალებოდა. მართლაც, ასე იყო თუ ისე, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რომ აღნიშნული ნედლეულის ნაკლებობას სრულებით არ განიცდიდა ძველი თეთრწყაროელების ინდუსტრია, ეს მტკიცდება იქ აღმოჩენილი ნატეხებისა და ნახელავების სიუხვით. მიუხედავად იმისა, რომ იმ მასალების ნაწილი შეიძლება ეკუთვნოდეს არა

---

[137] რიყის ქვებისა და ანდეზიტ-ბაზალტის ნახელავთა ჩაუთვლელად.

[138] გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ქვემო ქართლის პალეოლითი, თბ., 1963, გვ. 56—57.

[139] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 41, 43.

[140] შდრ. გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

უძველეს წარმოებას, არამედ იგი მოტანილი იყოს უფრო გვიან, გორასამარხში დაკრძალვის წესის შესრულებისათვის, როგორც ამას ვარაუდობს არაერთი მეცნიერი ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ანალოგიურ ძეგლთა მიმართ[141]. გორასამარხის ქვაყრილში აღმოჩენილია ობსიდიანის 1031 ნატეხი და ანატკეცი და 134 ნახელავი, მაგრამ საეჭვოა, რომ ყველა მათგანი დაკავშირებული იყოს მიცვალებულის დაკრძალვის წესთან. პირიქით, ყველა ნახელავი და ნატეხ-ანატკეცთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლებოდა მიჰყოლოდა კულტურული ფენებიდან ათხრილ მიწას, მაშინ, როცა ნატეხების სხვა ნაწილი საგანგებოდ უნდა იყოს მოტანილი აღნიშნული წესის საფუძველზე. სახელდობრ, რა რაოდენობის უნდა ყოფილიყო ობსიდიანის ნატეხების ესა თუ ის ნაწილი, ახლა შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, მაგრამ ქვაყრილიდან მომდინარე ობსიდიანის ნატეხებისა და ანატკეცების საერთო რაოდენობის ნახევარიც რომ დაკრძალვის წესის შესასრულებლად ყოფილიყო მოტანილი, სოფლის საწარმოო ნედლეულის მარაგში და წარმოების გადანაყარებში მაინც რჩება 3545 ნატეხი და ანტკეცი, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე კაჟი და რქეულა ერთად. თუ, ამასთან ერთად გავიხსენებთ, რომ ობსიდიანის ნახელავთა რიცხვი აღწევს 280, მაშინ ყოველგვარი ეჭვი მოიხსნება ქვის ინდუსტრიაში მისი გაბატონებული როლის თაობაზე (იხ. ცხრილი № 1). აღნიშნული მინერალის ასეთი ადგილი შეპირობებული იყო, ჩვენი აზრით, არა იმდენად მისი ფიზიკური თვისებებით (რადგანაც ის კაჟთან შედარებით უფრო მყიფეა), რამდენადაც იმით, რომ იგი ადვილად ხელმისაწვდომი იყო. მისი გამოულეველი მარაგია, როგორც ითქვა, თრიალეთში და არაგაცის მთის კალთებზე (სომხეთი).

შენგავითის ან ელარის მონაპოვრების საფუძველზე ბ. პიოტროვსკი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ობსიდიანის ხმარება იარაღის დასამზადებელ ნედლეულად, თითქოს, გვიანდელი მოვლენაა მტკვარ-არაქსის კულტურაში. მაშინ, როცა კაჟის ბატონობა განვითარების ადრინდელი საფეხურის ნიშანია[142]. ამ მოსაზრების მიხედვით, ჩვენი ნასოფლარიც ახალგაზრდა ძეგლად უნდა მიგვეჩნია და ამ საფუძველზე აგვეხსნა მონაპოვარ მასალებში ობსიდიანის მოჭარბება, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს გზა ჭეშმარიტებასთან მიგვიყვანდა. თვითონ ბ. პიოტროვსკი ეჩმიაძინის რაიონში მიუთითებს შენგავითზე უხნეს შრეშ-ბლურისა და ჭიულ-თეფეს სამოსახლო ბორცვებს, რომელთა ქვის ინვენტარში წამყვანი ადგილი უკავია არა კაჟს, არამედ ობსიდიანს[143]. ამას გარდა, ობსიდიანის უპირატეს გამოყენებაზე აშკარად მეტყველებს მტკვარ-არაქსის კულტურის წინამორბედი უძველესი სამიწათმოქმედო სამოსახლოები; სამხრეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე[144] ან კიდევ უფრო ძველი ეპიპალეოლითურ-მეზოლითური სადგომები ეძანთან, თრიალეთში[145] და ზურ-

[141] Б. А. Куфтин, АРТ, I, გვ. 121; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ.; გ. გრიგოლია, ხოვლეს სამარხი. სამარხის ყრილში ობსიდიანის ჩაყოლების ჩვეულება ყოფილა ადრეული ლითონის ხანის ყაბარდო-ბალყარეთშიაც, — ამ დასკვნამდე მივყავართ ნალჩიკის ცნობილი სამაროვნის გათხრის შედეგებს (იხ. МИА, 3, М.-Л., 1941, გვ. 112).

[142] Б. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армении, СА, XI, М.-Л., 1949, გვ 173, 176; მისივე, Археология Закавказья, М., 1949, გვ. 33, 36.

[143] Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრომები, გვ. 175; გვ. 35.

[144] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971, გვ. 81, 96—97, 99; თ. კიღურაძე, შულავერის გორის ქვის ინდუსტრია, საისტორიო კრებული, II, თბ., გვ. 275, 278, ცხრილი. 2.

[145] Б. А. Куфтин, АРТ, I, გვ. 119, 122; მ. გაბუნია, პალეოლითური ნაშთები ეძანის (ბარმაქსიზის) გამოქვაბულიდან, „მაცნე“, № 5, 1964, გვ. 156.

ტაკეთთან — დმანისის რაიონში[146]. ასე რომ, ობსიდიანის მოწინავეობა წარმოების ნედლეულ მასალებს შორის, შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს სათანადო ძეგლის სიახალგაზრდავეს; პირიქით, სამხრეთ ამიერკავკასიის პირველ სამიწათმოქმედო კულტურებში და ქვის ხანის სადგომებზე (სატანი-დარის პალეოლითური ადგილსამყოფელის ჩათვლით[147], ეს მასალა გვევლინება ძეგლების სიძველის ერთ-ერთ მანიშნებლად — რაც უფრო ადრინდელია სამოსახლო და სადგომი, მით უფრო მაღალია სხვა ქანებთან ობსიდიანის შეფარდების კოეფიციენტი. ეს სავსებით უეჭველი ფაქტია სამხრეთ კავკასიის ვულკანური ქანების გავრცელების ფართო ზოლში და მის მეზობელ ადგილებში, მაშინ, როცა ამ ზოლს გარეთ, აქ, წამყვანი როლი შეიძლება ეკუთვნოდეს არა ობსიდიანს, არამედ კაჟს, როგორც ეს მოწმდება შიდა ქართლში — ხიზანაანთ გორაზე[148], ქვაცხელებზე[149] და, რამდენადაც ვიცით, გუდაბერტყაზედაც[150]. შიდა ქართლში კაჟი უფრო ადვილი საშოვნელი იყო, ვიდრე ობსიდიანი, თუმცა ეს მხარე, თრიალეთთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული კულტურულად. საყურადღებოა, რომ სამხრეთ ამიერკავკასიას ობსიდიანის გამოყენების მხრივ თითქმის ზუსტად შეესატყვისება ყაბარდო-ბალყარეთი, სადაც (ბაყსანის ხეობაში), აგრეთვე, ამოწმებენ ობსიდიანის გამოსავლებს[151]. იქაური მასალები მიუთითებს აღნიშნული მინერალის მოხმარების შემცირებაზე უძველესი დროის ძეგლებთან შედარებით უფრო ახალგაზრდა სამაროვნებზე და სამოსახლოებში. ასე მაგალითად, ერთ დროს ნეოლითურ, ახლა ენეოლითურ ძეგლად მიჩნეულ აგუბეკოვის სამოსახლოს (ნალჩიკის ახლოს)[152]. ქვის ინდუსტრიის ნაშთებში აღნიშნავენ „იმავე რაიონის მოგვიანო სამოსახლოებისაგან განსხვავებით“ ობსიდიანის სიჭარბეს კაჟთან შედარებით[153]. აგუბეკოვის სამოსახლოზე უადრესი ნალჩიკის სამაროვნის გამოკვლევის მეორე წელს (1930 წ.), როცა მისი ღრმა ფენები ითხრებოდა, კაჟის 24 ნატეხზე მოდიოდა ობსიდიანის 56 ნატეხი, მაშინ, როცა პირველ წელს (1929 წ.), ე. ი. ზედა ფენის მასალებში, კაჟის 185 ნატეხს უპირისპირდება მხოლოდ ერთი ნატეხი ობსიდიანი[154]. კიდევ უფრო ახალგაზრდა დოლინსკოეს სამოსახლოზეც იშვიათი მოვლენაა ობსიდიანი და განისაზღვრება 11 ნატეხით, რომლებიც შეადგენენ, 4,7%-ს ქვის მასალის მთელი მონაპოვრის (223 ცალი) მიმართ[155].

---

[146] მ. გაბუნია, ზურტაკეტის პალეოლითური სადგომი, სას, მოკლე ანგარიშები, თბ., 1967.

[147] М. З. Паничкина, Палеолит Армении, Л., 1950.

[148] ო. კიკვიძე, ურბნისის ადრეული ხანის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 6, თბ., 1966, გვ. 25.

[149] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 28, 34, 36—37.

[150] ს. ნადიმაშვილი, კრებული „ლიახვი“, 3, 1963.

[151] П. Г. Акритас, Археологические работы в Кабарде в 1954 году. УЗКНИИ, т. X, Нальчик, 1955, გვ. 10.

[152] Е. Ю. Кричевский и А. П. Круглов, Неолитическое поселение близ г. Нальчика, МИА, 3, М.-Л., 1941; Р. Ж. Бетрозов, К вопросу о культуре племен Центрального Предкавказья в эпоху раннего металла, Вестник КБНИИ, вып. 6, Нальчик, 1972, გვ. 291—292.

[153] Е. Ю. Кричевский и А. П. Круглов, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[154] А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский. Могильник в г. Нальчике, МИА, 3, გვ. 112.

[155] А. П. Круглов. Г. В. Подгаецкий, Долинское поселение у г. Нальчика, МИА, 3, გვ. 181.

ამგვარად, ჩრდილო კავკასიის ვულკანური სარტყლის რაიონში ახლაც თითქმის ისეთივე სურათია, როგორც სამხრეთ ამიერკავკასიის შესაბამის რაიონში: რაც უფრო ვუახლოვდებით ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მოგვიანო საფეხურებს, მით უფრო კლებულობს ობსიდიანის მოხმარება ქვის ინდუსტრიაში. რა იყო ამის მიზეზი, ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს ნაბიჯი მოსახლეობას უკარნახა ნათესი ფართობის ზრდამ და ამდენად, მოსავლის ასაღები ხელსაწყოს ობსიდიანზე უკეთესი მასალისგან დამზადების აუცილებლობამ. სამხრეთ ამიერკავკასიის უადრეს სამიწათმოქმედო კულტურებში სამკალ იარაღად, როგორც ახლა უკვე ცნობილია, უხმარიათ, უმთავრესად, ნაკლებად დამუშავებული ობსიდიანის დანისებური ფირფიტები[156], რომელთა ადგილი მტკვარ-არაქსის კულტურაში დაიკავეს კაჟისა და რქეულის ორმხრივ დამუშავებულმა და ხშირად ფხადაკბილულმა ჩასართებმა. რატომ უნდა მომხდარიყო ასე, როცა ობსიდიანის ყოველგვარ ანატკეცს და, მით უფრო, დანისებურ თხელ ფირფიტებს აქვთ ძალიან ბასრი და მჭრელი ფხები? ეს იმიტომ, რომ ბუნებით მყიფე ობსიდიანის ფირფიტების ფხები ხმარების დროს სწრაფად ჩლუნგდება და სამკალად უვარგისი ხდება. მიწათმოქმედებს, უნდა ვიფიქროთ, უმჯობესად ჩაუთვლიათ შედგენილი ნამგლის ბუდეში ჩასასმელად საჭირო „დანების“ დასამზადებლად შეერჩიათ ობსიდიანთან შედარებით უფრო უხეში სტრუქტურის კაჟი ან რქეულა, რომლებიც, მართალია, ნაკლებ ბასრფხიანია, მაგრამ აგრეთვე ნაკლებად მყიფეა და, ამიტომ, მეტად ხანგრძლივი მუშაობისათვის ვარგის ანატკეცებს გვაძლევს[157]. ამით საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო სფერო, რომელშიც მოიხმარებოდა ობსიდიანი. მართლაც, შესაბამისად შემცირდა მისი მარაგი სოფლის საწარმოებშიც. სამკელ იარაღად კაჟისა და მისი მსგავსი სხვა ქანების მოხმარებას ერთხმად აღნიშნავენ როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის ამიერკავკასიის ძეგლების[158], ისე ობსიდიანის საბადოებთან დაკავშირებული მცირე აზიის უძველეს სამოსახლოთა[159] მკვლევრები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ არც თეთრი წყაროს ნასოფლარი წარმოადგენს გამონაკლისს; იქ არ არის აღმოჩენილი ობსიდიანის თითქმის არც ერთი ნამგლისპირი. ერთი შეხედვით, ეს უნდა მოასწავებდეს ჩვენი სამოსახლოს საკმაოდ გვიანდელობას, ვინაიდან ამ დროს უკვე მივიწყებული ჩანს უძველეს მიწათმოქმედ ტომთა წრეში შემუშავებული ტრადიცია, ობსიდიანის სამკელი იარაღის კეთებისა. ეს თითქოს მართლაც ასეა, რამდენადაც იქ ჯერ კიდევ გრძელდებოდა ქვის ინდუსტრიაში ობსიდიანის ბატონობა. ამიტომ, ამ სამოსახლოს გაახალგაზრდავება მტკვარ-არაქსის კულტურის სადღეისოდ ცნობილ ძეგლთა შორის არ იქნებოდა მართებული.

ნამგლისპირებს გარდა, კიდევ იყო იარაღის გარკვეული ჯგუფი, რომელიც არც თეთრი წყაროს სამოსახლოზე და არც სადმე სხვაგან ობსიდიანისაგან არ კეთდებოდა. ესაა გაპრიალებული ეჩოები იმ ტიპისა, რომელიც რქეულის ნახელავებს შორის გავიცანით (ტაბ. XXVIII-2). როგორც ჩანს, მყიფე ნედლე-

---

[156] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966), „მაცნე“, 1967, № 3, გვ. 295.

[157] შდრ. I. Garstang, Prehistoric Mersin, Yümük Tepe in Southern Turkei, Oxford, 1953, გვ. 15, 126.

[158] Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრომი.

[159] I Garstang. დასახ. ნაშრ., გვ. 50, 52, 77, 105—107, 125.

ული, აგრეთვე უვარგისი იყო საამისოდ, რადგან მუშაობის დროს ვერ უძლებდა მაგარი მასალის წინააღმდეგობას. ყოველგვარი სხვა იარაღ-საჭურველი და საყოფაცხოვრებო საგანი დიდი რაოდენობით კეთდებოდა ობსიდიანისაგან. უმთავრესი მათგანია ისრისწვერები (ტაბ. XXIX), შუბისწვერები (ტაბ. XXX-1), დანები და მათი მსგავსი იარაღი (ტაბ. XXX-2), საფხეკები (ტაბ. XXXI-1) და სხვა მისთანანი, იმ ურეტუშო ფირფიტებისა და ანატკეცების ჩათვლით, რომელთაც შემოუნახავთ მუშაობის კვალი (ტაბ. XXXI-2). სულ აღმოჩენილია ობსიდიანის 47 ისრისწვერი, 29 შუბისწვერი, 15 დანა, 10 საფხეკი და 37 დანისებური ფირფიტა, დანარჩენი 142 ერთეული მოდის ატიპიურ საგნებზე, მუშაობის კვალშერჩენილ ანატკეცებზე და ფირფიტებზე, ნუკლეუსებზე და სხვ.

აქ ჩამოთვლილი იარაღ-საჭურველის ყოველ ჯგუფში შეიძლება ცალკე ტიპების გამოყოფა, მაგრამ სანამ ამ საკითხს განვიხილავთ, საჭიროდ ვთვლით რამდენიმე სიტყვა ითქვას ტექნიკაზე, რომელიც დამოწმებულია ნასოფლარზე.

ნასოფლარზე აღმოჩენილი ქვის საგნების მნიშვნელოვანი ნაწილი, სულ ერთია რა ქანისაც უნდა იყოს — რიყის ქვების, ანდეზიტ-ბაზალტის, კაჟის, რქეულისა თუ ობსიდიანისა — ასორტიმენტის, ტიპოლოგიური კუთვნილებისა და დამუშავების ტექნიკის მხრივ ფრიად არქაული ნაწარმის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს კაჟისა და რქეულის ზოგიერთ ნახელავზე დამოწმებული პატინა და კირის გარსი. რომელთა მიხედვითაც ისინი, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა ძველი ქვის ხანის ამა თუ იმ მონაკვეთისათვის და გვევარაუდნა სათანადო სადგომიდან მათი აქ მოტანა ხელმეორედ გამოსაყენებლად. მაგრამ სწორედ ამ ნახელავების ფორმების და დამზადების წესის გათვალისწინება გვიკარნახებს, რომ მათ ზედაპირზე წარმოქმნილი გარსი ავხსნათ არა ესოდენ დიდი ხნოვანებით, არამედ იმ გარემოს მიკროგეოქიმიური თავისებურებით, რომელშიაც ეს საგნები იყო დამარხული. ძველი ქვის ხანის ტექნიკის ძირითადი წესი — სამუშაო იარაღის გამოყვანა მოზრდილი ანატკეცების ჩამოთვლის გზით — დამოწმებულია ორ მოზრდილ საჩეხ იარაღზე (ტაბ. XXVIII-2) და ზოგიერთ სხვა ნამზადზე, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საბაბს, რომ ნასოფლარის ქვის ნაწარმი ასე შორეულ დროს მივაწეროთ, ვინაიდან ერთხელ შემუშავებული ტექნიკური წესი მოგვიანო ეპოქებშიც რჩება ხოლმე, როგორც ტრადიცია, და თანაარსებობს ახალ დროში გავრცელებულ ელემენტებთან. მართლაც, თეთრი წყაროს ნასოფლარის შემთხვევაში ამ ძველი ხერხით დამზადებული იარაღების გვერდით ვხედავთ პირველად ნეოლითში შემუშავებულ და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებულ გახეხვა-გაპრიალების წესით გამოყვანილ მოცისფრო რქეულის ორ სოლისებურ ეჩოს (ტაბ. XXV-2). იმავე ეპოქებისათვის დამახასიათებელია წნევითი რეტუშის ფართოდ მოხმარება ნახელავთა ისეთ მრავალრიცხოვან სერიებზე, როგორიცაა ნამგლის პირები (ტაბ. XXXII—1), ისრისწვერები (ტაბ. XXXII-2), დანები და სხვ.

* * *

ქვისა და ობსიდიანის დამუშავება წარმოადგენდა თეთრი წყაროს მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას. ჩვენამდე მოღწეული ყველა იარაღი ამ ნედლეულისაა, მაგრამ თითქმის უეჭველი უნდა იყოს, რომ ამასთან ერთად

ხმარებაში იყო ძვლისა და ხის იარაღიც, რომელიც სრულიად არ შენახულა თავისებური ბუნებრივი პირობების გამო.

ობსიდიანს, გარდა პირდაპირი სამეურნეო გამოყენებისა, საკულტო-სარიტუალო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. ეს დამაჯერებლად ჩანს ბრინჯაოს ხანაში, როცა ბუნების ამ საოცარი ქმნილების ნატეხებით ფარავდნენ ყორღანთა ზედაპირს[160], აკეთებდნენ მის დისკოებს და ზოგჯერ ობსიდიანს ჩასვამდნენ თიხის ჭურჭლის ჭუჭრუტანაში, სარკმლის მსგავსად[161]. ჩვენს ექსპედიციას შეუძლია მნიშვნელოვანი საბუთი მოიტანოს ობსიდიანის საკულტო-სარიტუალოდ გამოყენების დასადასტურებლად. ნასოფლარზე აღმართული გორასამარხის ყრილი სავსე იყო ვულკანური მინის დაუმუშავებელი ნატეხებით. უხმარიათ მისი ე. წ. კვამლისფერი ნაირსახეობა, რომლის თხელი ფირფიტები კარგად გამჭვირვალეა და ხშირად მუქი ზოლებით „გაწყობილი“. მისი უახლოესი საბადოებია, როგორც ითქვა, თაფარავნის სანახებში. აქაური ობსიდიანი ერთერთი საუკეთესოთაგანია ამიერკავკასიის საბადოთა შორის. უეჭველია, რომ თეთრიწყაროელები აქაური საბადოებით სარგებლობდნენ, ან აგროვებდნენ წყლისგან და ნიაღვრებისაგან მოტანილ დიდ-დიდ ნაჭრებს. კაჟთან შედარებით ობსიდიანი საკმაოდ ფიცხი და მყიფეა, რის გამო ის ნაკლებ გამოდგება ყოველგვარი იარაღის საკეთებლად. მართლაც, ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ ნედლეულებისაგან დაუმზადებიათ უპირატესად ისრისწვერები და ხელშუბები, უფრო იშვიათად კი საფხეკები, ნამგლისპირები და დანისმაგვარი საგნები. ობსიდიანის კარგად გაფორმებული ნამზადები აღმოჩენილია გორასამარხის ქვაყრილში (შედარებით ცოტა), მის ქვეშ კულტურულ ფენებში და გათხრის ყველა სხვა უბანზე. ყორღანის სამხრეთ-დასავლეთ კიდესთან გათხრილ ნასახლარში (№ 1 ქვაყრილი) იყო ექვსი ასეთი ნამზადი, ხოლო № 3 ქვაყრილში — 1. სამივე პუნქტიდანაა ობსიდიანის სხვა ნატეხები, რომელთაც კარგად ჩამოყალიბებული იარაღის ფორმა არ გააჩნიათ, მაგრამ ერთს ან რამდენიმე გვერდზე ეტყობათ ხმარების კვალი, ზოგჯერ კი რეტუშიც.

ყორღანის ქვაყრილქვეშ აღმოჩენილ ობსიდიანის იარაღთა უმეტესობას შეადგენს ისრისწვერები. რაც შეეხება დანარჩენ სამ იარაღს, ყველა ისინი საფხეკად ჩაითვლება. ერთი მათგანი გამოყვანილია მოკლე და ფართო ტრაპეციისებური ფირფიტისაგან, რომლის ერთი ბოლო დამუშავებულია ცალმხრივი რეტუშით, ხოლო მეორეზე შერჩენილია ირიბად გადაკვეთილი დარტყმის მოედანი; ჩაზნექილ, უსწორმასწორო ზურგს შერჩენია გრძივი და თანაც უხეში ჩამონათლების ბუდეები, ხოლო სრულიად დაუმუშავებელ მუცელს, სამუშაო პირის მოპირდაპირე მხარეზე ატკეცვის დროს დარჩენია გამოზნექილობა. ჩავარდნილ ზურგში კარგად ჯდება მარჯვენა ხელის ცერი და ამოზნექილ მუცელს მტკიცედ ეჭიდება საჩვენებელი თითი ისე, რომ საფხეკი ფრიად მოხერხებული სამუშაო იარაღია. ზურგისა და მუცლის ამგვარი მოხერხებული მომზადება სამუშაოდ კარგად ემჩნევა მეორე, დისკოსებური მოყვანილობის საფხეკსაც, რომელიც დამზადებულია მბრწყინავ ზოლებიანი, ან სქელი, გაუმჭვირვალე პატინით დაფარული ობსიდიანის ფირფიტისაგან. მესამე იარაღის მუცელი ახეთქის დროს ჯამისებურად ჩაღრმავებულა, ხოლო ზურგს დამუშავე-

---

[160] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 101.

[161] Г. Н и о р а д з е, Могильник «стекольного завода», Проблемы истории докапиталистических обществ, Изв. ГАИМК, № 3, 1934, გვ. 91—94.

ბისას ტალღისებური უსწორობანი შერჩენია. ცალმხრივი რეტუშით გამოყვანილი აქვს ცალი ფართო მხარე, რომელიც, საფიქრებელია, საფხეკის დანიშნულებისა იყო; მოპირდაპირე ვიწრო მხარე კი საჭრისადაც გამოდგებოდა. სამივე იარაღი პალეოლითური იერისაა, მაგრამ გვხვდება ნეოლითურ ნასახლარებშიაც.

ამიერკავკასიის ენეოლითურ მოსახლეობებზე ამ ტიპის ნამზადები არსად აღმოჩენილა. ეს შეიძლება შემთხვევით გარემოებასაც მიეწეროს, მაგრამ ობსიდიანის ერთ საფხეკზე და ქვემოთ აღწერილ ზოგიერთი კაჟის იარაღზე შენიშნული სქელი პატინა, ისევე როგორც კარგად გაპრიალებული, სოლურპირიანი სატეხი, ჩვენი ექსპედიციის მიერ გათხრილ ძეგლს მეტად თავისებურ სახეს აძლევს და მის არქაულ ბუნებას გვიხასიათებს (უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ადრეული ენეოლითის კულტურასთან, რომელშიც მძლავრადაა შემორჩენილი ნეოლითური ტრადიციები. სხვა მასალების განხილვის შემდეგ კიდევ უფრო მეტ საბუთს დავინახავთ ამ მოსაზრების სასარგებლოდ) .

1-ლ ქვაყრილში აღმოჩენილ ობსიდიანის ნამზადთაგან ერთი ყუნწიანი ისრისწვერია; მეორე — წაგრძელებული სამკუთხედის მოყვანილობის უყუნწო ისრისწვერი თუ მინიატურული შუბისწვერი; მესამე ასიმეტრულფუძიანი ისრისწვერია; მეოთხე ასიმეტრულად გამყოფი გრძივი ქედის ანუ სიმაგრის წიბოს მიხედვით, ნამგლის ჩასართებს განეკუთვნება; მეხუთე თხელი ლამელისაგან დამზადებული ორფხიანი დანის ნატეხია, ხოლო მეექვსე სამწახნაგა წვეტიანი დანაა. პირველი ორისა და მესამე და მეოთხე ნამზადის ორივე ზედაპირი დამუშავებულია სხვადასხვა ზომის ანატკეცების ჩამოცილებით, სამუშაო ფხები კი გამოყვანილია უფრო წვრილი, ფაქიზი რეტუშით. მეხუთე ნამზადის ბრტყელ, თავიდანვე გლუვ სიბრტყეებს, როგორც ჩანს, დამატებითი დამუშავება არ ესაჭიროებოდა და, ამიტომ, ოსტატი დაკმაყოფილებულა ფხებზე ორმხრივი რეტუშის გაკეთებით. მეექვსე ნამზადისა მხოლოდ ფხაა ცალმხრივი რეტუშით დამუშავებული. ობსიდიანისა და კაჟის დამუშავების ამგვარი წესი საყოველთაო მოვლენაა თეთრი წყაროს მონაპოვრისათვის და, ამიტომ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მასზე აღარ შევაჩერებთ ყურადღებას.

მე-3 ქვაყრილში ობსიდიანის მხოლოდ ერთი კარგად გაფორმებული იარაღი აღმოჩნდა. ეს არის ყუნწიანი ისრისწვერი იმავე ტიპისა, როგორსაც გავიცნობთ ძირითადი ობიექტიდან, ე. ი. ყორღანიდან. ის გამოუკვეთიათ ოდნავ მორკალული ლამელისაგან, რის გამო ნამზადის გრძივი ჭრილიც მრუდეს იძლევა. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ისრით შეიარაღებული მსროლელი სანაქებო მემიზნის სახელს ვერ მოიხვეჭდა; მრუდე ნამზადად ჩაითვლება ზოგი ისრისწვერიც საკუთრივ ყორღანიდან. ეს თავისებურება და ზოგ მათგანზე შესამჩნევი დაუმუშავებელი ზედაპირი ჩვენს მონაპოვარს პირდაპირ აკავშირებს ატერიის კულტურასთან[162].

ყორღანის გათხრისას აღმოჩენილია 13 ისრისწვერი და მათი ნატეხი. მათ შორის 3 ცალი ქვაყრილში, დანარჩენი კი — ქვაყრილის ქვეშ მდებარე შავი ჰუმუსური თიხის ფენაში, რომელიც, როგორც ვიცით, ენეოლითური კულტურის სხვა ნაშთებითაც მდიდარია. ქვაყრილში მოპოვებული ტიპების შესატყვისი ისრისწვერები მოგვცა მის ქვეშ მდებარე მიწის ფენამაც, რის გამო ჩვენ

---

[162] Г. Чайлд, Древнейший Восток.. ., გვ. 50—51, სურ. 4.

სრული უფლება გვაქვს ყველა ისინი მივაკუთვნოთ ერთ კულტურულ წრეს და არ გავთიშოთ ერთმანეთისაგან. ყორღანის ტერიტორიიდან მომდინარე ისრები, ერთი ისრისწვერის გარდა, რომლის ორი ზუსტი ანალოგი გვეგულება მხოლოდ ცხინვალის ნაცარგორის არეული და დაუთარიღებელი ფენიდან და გარნისის ენეოლითური ფენიდან[163], გამოსახულია XXIX და XXXII ტაბულაზე.

თუ მხედველობიდან გავუშვებთ მშვენიერი ნახელავის ერთი ისრისა თუ ხელშუბისწვერის ნატეხს, რომლის ფუძე და წვერი არ შენახულა და რომელიც I-ლ ქვაყრილში აღმოჩენილი წაგრძელებული ნამზადის მოყვანილობას უნდა იმეორებდეს, ყველა ისრისწვერი შეიძლება გავყოთ სამ მთავარ ტიპად: პირველი ტიპი ახლოს დგას ახლახან მოხსენებულებთან თავისი უყუნწობით, მაგრამ განსხვავდება მოკლე და ფართო პროპორციებით, რაც მას თანასწორგვერდიანი სამკუთხედის მოყვანილობას აძლევს; მეორე ტიპს ქმნიან ყუნწიანი ისრისწვერები, რომელთა შორის შეიძლება გავარჩიოთ ქვეტიპებიც მკვეთავი პირის, მხრებისა და ყუნწის თავისებური გაფორმების მიხედვით. ასე მაგალითად, აქ არის ფხადაკბილული, თანაც ფრთებწამოზიდული ანუ მხარჭიმებიანი, სწორმხრებიანი და მხრებდაშვებული ნამზადები, რომელთაგან ოდნავ გამოსახული ფართო ყუნწით გამოირჩევა ორი სხვა ისრისწვერი; მესამე ტიპის ისრისწვერების დამახასიათებელი ნიშანია ამოკვეთილი ფუძე და სამკუთხედისებური სამუშაო პირი. ერთი მათგანი განეკუთვნება ქუსლმაკრატელათა, ხოლო მეორე — ქუსლთაღიანთა ქვეტიპს, რადგან პირველს მერცხლის ბოლოსებრი, მეორეს კი მიტრისებური ამონაკვეთი აქვს. ეს ორი ქვეტიპი ერთმანეთს ჩამოჰგავს ვიწრო სამკუთხედისებური მოყვანილობით, მაშინ, როცა ამავე ტიპის ორი სხვა ქვეტიპი ამათგანაც და ერთმანეთისგანაც საგრძნობლად განირჩევა: № 849-ს ახასიათებს ფართო სამკუთხედისებური მოყვანილობა და ვიწროდ ამოკვეთილი ფუძე, ხოლო № 834-ს — ასიმეტრიული ფუძე.

ისრისწვერთა დასამზადებლად უხმარიათ ზოგჯერ ობსიდიანის სქელი ანატკეცები უმეტეს წილად კი — თხელი, მთელ რიგ შემთხვევებში, მუქბოლებიანი ლამელები, რის გამო ისინი სავსებით გამჭვირვალეა; რომ აღარაფერი ვთქვათ მინიატურულ ნამზადებზე, რომელთა სისქე ორიოდე მილიმეტრს ძლივს აღწევს; თხელპირიანობით ყურადღებას იპყრობს მოზრდილი ისრისწვერებიც. ლამელების ზედაპირის ხასიათი ხშირად განსაზღვრავდა მომავალი ნამზადის განივკვეთს: ორივე მხრით ერთნაირად დაბრტყელებული ანატკეცებიდან მიუღიათ წაგრძელებულოვალურგანივკვეთიანები, სამწახნაგა ლამელებიდან კი — ნახევარლინზურ ან სამკუთხა განივკვეთიანები. ერთი ამ უკანასკნელთაგანი გამოირჩევა ზერელე დამუშავებით: ფხები გამოყვანილი აქვს მხოლოდ ცალმხრივი რეტუშით. ერთს ამოზნექილ სიბრტყეზე ჩათლილი აქვს გრძივი ფაცეტები, ხოლო მეორე, შეზნექილი სიბრტყე ხელუხლებლადაა დატოვებული. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მისი ყუნწიც ძლივს შესამჩნევადაა გადაყელილი. სქელი ანატკეცებიდან გულმოდგინე დამუშავების შედეგად მიუღიათ ორმხრივ ლინზურად ამოზნექილი ნამზადები. ასეთ ნაკეთობათა საერთო ანსამბლს ეთიშება ქუსლთაღიანი ისრისწვერი, რომლის დამუშავება ბოლომდე არაა მიყვანილი და, საფიქრებელია, კეთების პროცესში წვერმოტეხილი წუნიც იყოს.

ობსიდიანთან შედარებით უფრო ფართო მოხმარება ჰქონია კაჟის ნაირ-

---

[163] იხ. Гарни, I, გვ. 24, სურ. 10.

სახეობას, რომელიც რქეულას მიეკუთვნება. თუ რა უმნიშვნელო როლს თამაშობდა ნამდვილი, წვრილმარცვლოვანი კაჟი თეთრწყაროელთა ყოფა-ცხოვრებაში, კარგად ჩანს არა მარტო მზა პროდუქციის მიხედვით, რომელიც თითებზე ჩამოითვლება, არამედ აგრეთვე წარმოების გადანაყარის მიხედვითაც. აქ არის ე. წ. თევზის ფხის მაგვარი ანატკეცები და ერთიც ფოთლისებური, ძველადვე გატეხილი უყუნწო ისრისწვერი. რქეულასაგან უმზადებიათ არა მარტო შუბისა და ისრისწვერები, არამედ მრავალრიცხოვანი ჩასართები ნამგლისათვის და უფრო ძუნწად წარმოდგენილი დანისებური იარაღები და სხვ. წვრილმარცვლოვანი, კეთილთვისებიანი კაჟის ამგვარი შეცვლა უფრო მდარე ხარისხის რქეულათი და ობსიდიანით, უეჭველია, აიხსნება იმ საყოველთაოდ ცნობილი გარემოებით, რომ ქვის დამუშავების ტექნიკაში, დამუშავების ტრადიციებთან ერთად, გარკვეულ როლს თამაშობდა საცხოვრებელი მხარის გეოლოგიური პირობები, ე. ი. ნედლეულის რაგვარობა[164]. კაჟით ღარიბ ხრამის ხეობაში, სადაც ვხვდებით რქეულას გამოსავლებს, მოსახლეობა იძულებული გამხდარა ძირითადად ამ ნედლეულითა და ობსიდიანით დაეკმაყოფილებინა თავი. აქვე დავძენთ, რომ, ამას გარდა, უხმარიათ სხვადასხვანაირი რიყის ქვები და ვულკანური ანდეზიტ-ბაზალტის ლოდები, ე. ი. ის მასალა, რომლითაც საკვლევი მხარე უხვად აუვსია ბუნებას. ანდეზიტ-ბაზალტისაგან უკეთებიათ მძიმე იარაღები, მაშინ როცა ობსიდიანი და ფერად-ფერადი რქეულა ხმარდებოდა წვრილ ნამზადს. ჩვენს მოვალეობას შეადგენს თავთავის ადგილას განვიხილოთ ყველა მათგანი.

მთელს მონაპოვარში კაჟის ცხრა იარაღია მეტნაკლებად კარგად გაფორმებული. ამათგან 5 ცალი აღმოჩენილია ყორღანში, ხოლო ორი ცალი — I-ლ ქვაყრილში. ყორღანში მოპოვებულთაგან ერთი საჭრის-საფხეკი დამზადებულია მუქი ყავისფერი კაჟის თხელი ხუთკუთხედი ფირფიტისაგან და გამოირჩევა ირგვლივ დამაბლაგვებელი რეტუშითა და სრულიად დაუმუშავებელი, ბუნებრივად გლუვი ზედაპირით; მეორე იარაღი გამოყვანილია თეთრნარევი ვარდისფერი კაჟის ფართო სეგმენტური (თუ უფრო ოვალური) მოყვანილობის სამწახნაგა, თანაც მსუბუქად მოხრილი ლამელისაგან, რომლის მხოლოდ ერთი ნაპირია თავიდან ბოლომდე კარგი რეტუშით დაბლაგვებული, ხოლო მეორე პირს შერჩენილი აქვს ატკეცისეული სიბასრე. ამგვარივე კაჟის ერთი ვიწრო ლამელის ნატეხს, რომელიც ცეცხლში ნამყოფი ჩანს, ორივე გრძივი პირი აქვს დამუშავებული წმინდა რეტუშით. მეოთხე თეთრფორეჯებიანი ყავისფერი კაჟის მასიური საჭრისი, რომლის ნაპირები აქა-იქ დაუბლაგვებიათ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი სიძველის მაუწყებელი პატინით. ასეთივე პატინითაა დაფარული მოთეთრო კაჟის სამწახნაგა ლამელის ოვალური მოყვანილობის ფხებრეტუშიანი დანა. I ქვაყრილში კაჟის ორი სხვა იარაღიდან ერთი — ისრისწვერის ნატეხია, ხოლო მეორე — ფხებრეტუშიანი ლამელა. კაჟის კიდევ ორ სხვა იარაღს ჩვენ გავიცნობთ ცოტა ქვემოთ, ნამგლის ჩასართების განხილვისას.

თუ ახლა რქეულას ნამზადებს გადავავლებთ თვალს, ჩვენ დავინახავთ, რომ დამუშავებაში ყოფილა სულ სხვადასხვა ფერის, მსხვილმარცვლოვანი, ზოგჯერ ფორებიანი რქეულა, რომელიც, სხვა ჩანართებთან ერთად, ხშირად შეიცავს ოქროსფრად მოელვარე რომელიღაც მინერალის მარცვლებს. ამ ნედ-

---

[164] Г. К л а р к, Доисторическая Европа, М., 1953, გვ. 176—177.

ლეულის ნამზადთა საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან ნამგლის პირები, რომელთა განხილვაზეც ახლა გადავდივართ (ტაბ. XXXIII).

სულ აღმოჩენილია 26 ნამგლისპირი, მათ შორის ერთი — მე-6 შურფში, ხუთი — მე-3 ქვაყრილში, ხუთი — 1-ლ ქვაყრილში და თხუთმეტი ცალი — ყორღანში. რაკი სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილი ეს ნამზადები ტიპოლოგიურად და მასალითაც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ განვიხილავთ ერთად.

ნამგლისპირები, ჩვეულებრივ, კარგად გამოიცნობა აპრიალებული ფხის მიხედვით, რაც ნამჯაზე ხახუნის, ე. ი. მუშაობის კვალია. მაგრამ პრიალა პირს ანუ ფხას ყოველთვის არ უნდა მოველოდეთ, ვინაიდან არქეოლოგიურ მონაპოვარში შეიძლება მოხვდეს არა მარტო ნახმარი, არამედ აგრეთვე ისეთი ჩასართებიც, რომლებიც ან სულ არ უხმარიათ, ან კიდევ ისე ცოტა ხანს იყო ხმარებაში, რომ აპრიალება ვერ მოასწრო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კარგ გამოსავალს წარმოადგენს ნამზადის შემოწმება ბინოკულარული წესით, რაც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ნაკაწრების მიმართულებას იარაღის ზედაპირზე და ამის მიხედვით განვსაზღვროთ მისი დანიშნულება. ამ წესითაა გამოცნობილი, მაგალითად, ლუკავრუბლევეცკაიას მონაპოვარში კაჟის ფირფიტები, რომლებიც დნესტრისპირეთში გამოიყენებოდა ამიერკავკასიური და ძველაღმოსავლური ნამგლებისაგან ტიპოლოგიურად განსხვავებულ სამკალ იარაღებში[165]. თუმცა ჩვენი მონაპოვარი მიკროსკოპიულად შესწავლილი არაა, მაგრამ ზოგიერთ ტიპიურ იარაღზე ადვილად გასარჩევი პრიალი და კარგად ცნობილი ანალოგები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან[166], ისევე როგორც საქართველო-კავკასიის ნეოლითური და ენეოლითური ნასახლარებიდან[167] საშუალებას იძლევა გამოვყოთ ნამგლის პირები. რაკი ამგვარი შეჯერების შედეგად გამოცნობილია ნამგლისპირები, ჩვენ შეგვიძლია, სიპრიალის გარდა, დავადგინოთ ამ იარაღის კიდევ სხვა დამახასიათებელი ნიშნები, სახელდობრ, მისი მსუბუქი მორკალურობა, ორფხიანობა, გრძივქედიანობა და სოლურქუსლიანობა. ჩასართთა მორკალურობა გამოწვეულია არასამუშაო პირის, ე. ი. ზურგის მნიშვნელოვანი მოხრილობით, თორემ საკუთრივ სამუშაო პირი თითქმის სწორხაზობრივია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის დაკბილულობას. არის იშვიათი გამონაკლისები, რომელთა პირის ხაზები ან პარალელურად მიემართებიან, ან კიდევ სამუშაო პირი უფრო მოხრილია, ვიდრე ზურგი. ჩასართის ორივე დაბრტყელებულ გვერდს თავიდან ბოლომდე გასდევს შემაღლებული ქედი, რომელიც სამუშაო პირთან უფრო ახლოა, ვინემ ზურგთან, რის გამოც მისი განივკვეთი ცალმხრივ წაგრძელებულ ოვალს მოგვაგონებს. ჩვენს კოლექციაში არის ორი გამონაკლისი — ეს იარაღები გამოირჩევა სწორედ

---

[165] С. А. Семенов, Жатвенные кремневые ножи из позднеолитического поселения Лука-Врублевецкая на Днестре, СА, XI, М.-Л., 1949, გვ. 151—154; მისივე, Древнейшие каменные серпы, СА, XXI, გვ. 356; С. Н. Бибиков, Поселение Лука-Врублевецкая, МИА, 38, М.-Л., 1953, გვ. 87—89.

[166] J. de Morgan: La préhistoire Orientale, ტ. I, გვ. 271, სურ. 41; მისივე, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 146, სურ. 187; H. Th. Rossert, Altsyrien. Tübingen, 1951, გვ 94; Г. Чайлд, Древнейший Восток..., გვ. 72, სურ. 11a; გვ. 82, 99; 148—149 და სხვ.

[167] ნ. კილაძე, ახალი ქვისხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, გვ. 256] შმ., ტაბ. VIII; Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, გვ. 112, სურ. 115 და ტაბ. XIX.

შუაში გამავალი ქედით და, ერთ შემთხვევაში, ცალგვერდქედიანობით. თუ ამ გამონაკლისთაგან ერთი შეიძლება სხვა დანიშნულების იარაღადაც იქნეს მიჩნეული, რასაც გვაფიქრებინებს მისი განსხვავებული წვერი და სამუშაო ფხის გაუპრიალებლობა, სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით მეორეზე, რადგან ნამჯახე ხახუნის კვალი შესამჩნევად ეტყობა მის ორივე პირს. ორპირიანობა ჩასართთა ერთი უძირითადესი ნიშანთაგანია, მაგრამ, მცირე გამონაკლისს გარდა, ძირითადი სამუშაო პირის დამუშავების ხარისხს ვერ შეედრება ზურგის დამუშავება. ფხაზე გამოყვანილია გაცილებით უფრო მკვეთრი ხერხისებური კბილები, ვიდრე ზურგზე. ძლიერ თხელი და ბასრი ზურგის მოჩვენებით დაკბილულობას ქმნის მისი ზედაპირის ჩაზნექილ-ამოზნექილობა, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ნამგლისპირი მტკიცედ ჩამაგრდეს სათანადო ნივთიერებით (ფისი, ბიტუმი) ამოვსებულ ხის ან ძვლის ბუდეში. ამასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ, რომ პარალელურ პირებიანი ჩასართის ზურგს საჭიროების დროს შეუსრულებია ძირითადი ფხის მოვალეობაც. რადგან ჩვენი ნამგლისპირები გათვალისწინებულია შედგენილპირიანი ნამგლისათვის, კიდევაც უნდა მოველოდეთ მათი ფუძეების იმგვარ დამუშავებას, რომ თითოეული მტკიცედ დაუკავშირდეს მეზობელ ჩასართს და, ამგვარად, მათმა ერთობლიობამ ბუდეში შექმნას მთლიანობის შთაბეჭდილება. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩასართებს, ამ მიზნით, ორივე მხრით სოლურად აქვთ ჩათლილი ერთი ან ორივე ბოლო. ცალბოლოჩათლილი ჩასართები წაგრძელებული სამკუთხედის ან სეგმენტის მოყვანილობისაა და, უეჭველია, ნამგლის წვერებს წარმოადგენენ, მაშინ როცა ორბოლოჩათლილი, მეტნაკლებად სწორკუთხედის მსგავსი ჩასართები აფორმებდნენ ნამგლისპირის შუა და ბოლო ნაწილს. ნამგლის პირებად მიჩნეული ჩასართების უმეტესობა გამოირჩევა დიდი ზომით (სიგრძე — 73-90 მმ), მოგვაგონებს ფაიუმის ნეოლითურ ნამგლისპირებს[168] და ამარტის ენეოლითურ „მძიმისებურ“ დანებს[169] ოღონდ, მათთან შედარებით, უფრო უხეში ნახელავია. მათი ამგვარი ზომა, ზოგადი გარემოხაზულობა და სრულიად აუპრიალებელი პირი საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ ამ ნამზადში დაგვენახა სულ სხვა დანიშნულების იარაღი, მაგალითად, შუბისწვერი ან დანა, მაგრამ ნამგლის ჩასართებად მიჩნეული მსგავსი საგნები ამიერკავკასიის ენეოლითური ნასახლარებიდან[170], (მათ შორის ახალი, ჯერ გამოუქვეყნებელი მასალები ურბნისიდან[171], რომლებიც გაგვაცნო მისმა მომპოვებელმა არქეოლოგმა ლ. ღლონტმა), გვაიძულებს უფრო ფრთხილად შევხედოთ ამ საკითხს.

ყველა ჩასართი უმზადებიათ საკმაოდ მასიური ანატკეცებისაგან. აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა იარაღზე, საქმე გვაქვს იარაღის ორმხრივ დამუშავებასთან ფაცეტების ჩამოთლისა და სამუშაო პირის წმინდა რეტუშით გამოყვანის გზით, ქვის ხელკვერისა და, ალბათ, ძვლის საწნეველას მომარჯვებით. რომ მაღალხარისხოვანი კაჟი მეტად ძუნწად გამოიყენებოდა ჩასართების დასამზადებლად, მტკიცდება იმის მიხედვით, რომ ოც ნამზადში მხოლოდ ორი ცალია შემდეგში კირგადაკრული ფისისფერი და მოვარდისფრო კაჟისა. ყველა

---

[168] Г. Чайлд, დასახ. ნაშრ., გვ. 72, სურ. 11.

[169] იქვე, სურ. 32, 2.

[170] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л., 1940, ტაბ. II; Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., სურ. 115.

[171] გ. გობეჯიშვილის ტექსტი 1962 წლამდეა დაწერილი (რედაქტორი).

სხვა ჩასართისათვის გამოყენებულია მწვანე, მომწვანო, ძოყვითალო, ნაცრისფერი, შავლეგა, ვარდისფერი და შოკოლადისფერი რქეულა. ამას გარდა, მსგავსად ბირთვისებური ამფორების კულტურის შემქმნელი ჩრდილო ევროპელი ნეოლითელი ტომებისა (მონტელიუსის III პერიოდი)[172] თეთრიწყაროს ენეოლითელებსაც უარი არ უთქვამთ ფერადი ქვების გამოყენებაზე: ერთი პაწია ჩასართის ზედაპირზე თანაბრადაა მწვანე და ყავისფერი ლაქები, ხოლო ჩვენი კოლექციის უმშვენიერესი ნამზადი გამოკვეთილია მონაცრისფრო-მოლურჯო და ყავისფერზოლებიანი რქეულისაგან.

ამავე ნედლეულის დამუშავების მაუწყებელ სხვა მაგალითებს ვნახავთ სამეურნეო, სანადირო თუ საბრძოლო იარაღის განხილვისას.

მონაცრისფრო-მოყავისფრო და ყავისფერი რქეულისაა პირველი ქვაყრილის უბანზე აღმოჩენილი ორი მაკროლითი (სიგრძე ერთისა — 115 მმ, მეორისა — 125 მმ), რომლებიც მოყვანილობითა და უხეშად გაჩორკნილობით ძლიერ ჩამოჰგავს ქვედა პალეოლითურ ხელცულებს[173]. მაგრამ ასე შორეული დროის სხვა მასალა ჩვენს განათხარში სხვა არაფერი გვეგულება. გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ისინი წარმოადგენენ დაუმთავრებელ ნამზადებს, განკუთვნილს ისეთივე შუბისწვერების გამოსაყვანად, როგორიც აღმოჩნდა მე-3 ქვაყრილ ქვეშ მიკვლეულ სახელოსნოში რქეულისა და ობსიდიანის უამრავ საწარმოო გადანაყარსა და ნახევარფაბრიკატებთან ერთად. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შუბისწვერებიც ჯერ კიდევ დამთავრებამდეა დამტვრეული, რასაც მოწმობს აღმოჩენის შემდეგ ორი ნატეხისგან შეწებებული, უხეშად გაჩორკნილი იარაღის წვეროზე შერჩენილი კაჭრისეული ქერქი. ეს უყუნწო შუბისწვერებიც დამახასიათებელია ნეოლითური კულტურებისათვის და, მაშასადამე, თეთრი წყაროს კომპლექსში მათი გამოჩენა უნდა ავხსნათ შორეული ტრადიციების ნაკადის სიცოცხლისუნარიანობით; მაგრამ შეუძლებელია ამდენი ნაკადის თავმოყრა საზოგადოებაში, რომელიც დიდი ხნის წინათ მოწყდა ქვის ხანას...

პრიმიტიულ ხასიათს ამჟღავნებს ზოგიერთი პატარა ზომის იარაღიც, როგორიცაა, მაგალითად, ორი დანის ნატეხი (ყორღ. კვ. გ[1] და სახელოსნო, კვ. ბ[1]), ფოთლისებური, თითქოს სოლუტრეს ტექნიკით დამუშავებული, ისრისწვერი და კიდევ ერთი სხვა ცალფრთაგამოსახული ისრისწვერი. და ბოლოს შეიძლება ნეოლითთან სიახლოვეს მოწმობდეს 1-ლ ქვაყრილში აღმოჩენილი მომწვანო-მონაცრისფრო რქეულასაგან გაკეთებული, მთელს მონაპოვარში ერთადერთი გახეხილ-გაპრიალებული იარაღი (№ 641), რომელსაც ორმხრივ ჩათლილი სოლისებური სამუშაო ფართო პირი და ყუისკენ შევიწროებული, ოვალურგანივკვეთიანი ტანი აქვს. ცხადია, ამგვარი იარაღი ასევე დამახასიათებელია ენეოლითისთვისაც.

იმავე ჯიშის, ოღონდ სხვადასხვა შეფერილობის ქვის სხვა ნამზადთაგან ზოგი ადვილად თავსდება ნეოლით-ენეოლითის საზღვრებში, მაგრამ არის აქამდე ჩვენში სრულიად უცხო იარაღებიც, რომელთა ასაკის დასადგენად საჭიროა უფრო მრავალრიცხოვანი მასალის დაგროვება. ჩვენ მხედველობაში

---

[172] Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, М., 1965, გვ. 262.

[173] შდრ., П. И. Борисковский, Древнепалеолитические местонахождения Среднего Поднестровья, СА, XI, გვ. 107—109, სურ. 3, 1; Зайцев, Палеолит Украины, МИА, 40, გვ. 38—64, სურ. 12, 4, 13, 14, 16; შდრ. აგრეთვე ჩებარკულის ნეოლითი ჩელიაბინსკში, МИА, 39.

გვაქვს ყუნწიანი შუბისა და ისრისწვერები, აღმოჩენილი უპირატესად ყორღანში (9 ცალი, ტაბ. XXXII) და I-ლ ქვაყრილთან (1 ცალი). გარდა მოვარდისფრო-მოწითალო კაჟის ყველაზე პატარა (სიგრძე—27 მმ) ისრისწვერისა, ეს იარაღები გამოყვანილია მომწვანო-მოლურჯო, მომწვანო-მოყვითალო, მუქი ნაცრისფერი, შოკოლადისფერი, შავლეგა, წითელი და ვარდისფერი ქვისაგან. მეტ ნაკლებად დაუზიანებელი ნამზადების უმეტესობა თავისი ზომით უფრო ისრისწვერებად ჩაითვლება, მაგრამ ზოგი ნატეხის ფართო პროპორციები გვაფიქრებინებს, რომ ისინი ხელშუბის წვერთა დანიშნულებას ასრულებდნენ. თუმცა ამ ზომის ისრისწვერები არ არის თეთრამიწის კოლექციაში[174], მაგრამ ჩვენი იარაღების ყუნწის სიფართოვე შეეფერება მხოლოდ მსხვილტარიან ხელშუბს და არა წვრილ ზროს. სამწუხაროდ, ბევრი ნამზადი ძლიერ ნაკლულია, რაც აძნელებს თავდაპირველ ფორმათა ზედმიწევნით გამოცნობას, მაგრამ ნატეხთა ფართოყუნწიანობა ან წვეროს მოყვანილობით მსგავსება კარგად შემონახულებთან, უვარგისი მაჩვენებლები არ უნდა იყოს თითქმის მთელი კოლექციის ერთტიპიანობის დასამტკიცებლად. გამონაკლისს წარმოადგენს, ცხადია, მშვენიერი ხელობის კაჟის პატარა, ქიმებწამოზრდილი ისრისწვერი, რომელსაც, ობსიდიანის ნამზადების მსგავსად, წვრილ-გრძელი ყუნწი უნდა ჰქონოდა და მოზრდილი ხელშუბისწვერის ნატეხი — ტიპოლოგიურად თითქოს მე-3 ქვაყრილში აღმოჩენილ იარაღებთან დაკავშირებული. ერთი სხვა ნამზადის ჩარიცხვას სატყორცნ იარაღთა რიგში აძნელებს მისი ცალი ფხის სიპრიალე, რაც ნამგალს უფრო შეეფერება. ამგვარად, გვრჩება მეტად თავისებური იერის 7 ნამზადი, რომლებიც ახალი ფორმებით ამდიდრებენ კავკასიის ქვის ინდუსტრიის დღემდე გამოვლენილ ნაშთებს. აქედან პირველყოფილი სისრულით ჩვენს დრომდე მოღწეული ისრისწვერი გამოირჩევა მოსაწონი სიმეტრულობით, ვიწრო სამკუთხედისებური სამუშაო პირით, ზომიერად წამოზრდილი ქიმებითა და რთულპროფილიანი ფართო ყუნწით, რომლის შესადარებლად შეიძლება მოვიგონოთ ან კავკასიურ-მცირეაზიური ბრტყელი ცულის ზემო ნაწილი, ან კიდევ — წვერწაკვეთილი, ყუნწიანი ისრისწვერი. ძნელია ჩავწვდეთ გარდასულ დროთა ადამიანის სულის ხვეულებს, მაგრამ, უეჭველია, რომ მხატვრული საგნების გაფორმებისას ის წარმოსახვით აცოცხლებდა და მიბაძავდა რაღაც სახეებს, მისთვის ნაცნობს ან მიუწვდომელს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი ნამზადი მაგიური ძალით აღჭურვილ ნივთად გამოკვეთა ოსტატმა. მსგავსი რამ უნდა ჰქონოდა მხედველობაში თევზისბოლოსებური ყუნწის შემცველი ხელშუბისწვერის დამმზადებელს, მაგრამ ეს აღარ ითქმის სხვა, ნაკლებ სიმეტრიულ ისრისწვერზე, რომლის რადიალური ფაცეტებით გამოყვანილი პირი დაძარღვული ფოთლის სრულ ილუზიას ქმნის; ქიმებკაუჭა ყუნწი კი უფრო ლითონის სატევრის ტარს მოგვაგონებს. ისიც, უნდა ითქვას, რომ ლითონის სატევართან ამგვარ მსგავსებას არც ამასწინათ აღწერილი ხელშუბია მოკლებული და, საიარაღოდა, რომ დაახლოებით იმავე ტიპის ყუნწებით იყო აჭღურვილი სამი სხვა იარაღიც — მშვენიერად გამოკვეთილი, ფხებდაკბილული ისრისწვერები და შედარებით მდარე ხელობის ხელშუბი.

---

174 ნ. კ ი ლ ა ძ ე, ახალი ქვისხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29.

განხილული ტიპის იარაღის ფორმების მსგავსება ლითონის საჭურველთან უაღრესად ანგარიშგასაწევი ფაქტია. მაგრამ ნაჩქარევი იქნებოდა ეს თანმთხვევა აგვეხსნა სხვადასხვა მასალის ნაკეთობათა ურთიერთ გავლენით, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიიდან დაშორებული ზოგიერთი მხარის არქეოლოგიური ფაქტები სწორედ წინააღმდეგს მეტყველებს. ძნელად გადასაწყვეტი საკითხია, თუ რა იძლევა დასაბამ ფორმებს, ქვა თუ ლითონი. პიტიონი ამტკიცებდა, რომ მონდზეესა და ატერზეეს (ზემო ავსტრია) ბოძებიანი მოსახლეობების ყუაღარიანი ქვის ცულები წარმოადგენდა პროტოტიპებს, რომელთა მიხედვითაც დაამზადეს იქაური სპილენძის ცული[175]; გ. ჩაილდი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას ადგია. იგი ამტკიცებს, რომ რემედელოს (მდ. პოს აუზი) ენეოლითელი მოსახლეობა დასავლურ-ევროპული ბრინჯაოს სატევრების მიბაძვით ქმნიდა ე. წ. საპაერო ფრანის ფორმის ყუნწით აღჭურვილ კაჟის იარაღს[176], რომელიც საკმაოდ ჰგავს თეთრწყაროულ ნამზადსაც (№ 439). ჩრდილო ევროპის მეგალითური კულტურის ბოლოს (მონტელიუსის IV პერიოდი) წარმოიშვა კაჟის სატევრები, რომელთა ტარის მოყვანილობა, იტალიური ბრინჯაოს სატევრებისა და თეთრი წყაროს კაჟის ხელშუბის (№ 195, ტაბ. XXXII-2) მსგავსად, მოგვაგონებს თევზის ბოლოს[177]. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ზოგი ავტორი ამტკიცებს სხვადასხვა ტიპის ლითონის ცულის მომდინარეობას ქვის ცულების ფორმებიდან (კლარკი, ჰანჩარი, კრუპნოვი და სხვ.) რა თქმა უნდა, შეიძლება მსგავსი ფაქტების გამრავლება, მაგრამ ისტორიული ანალოგები ყოველთვის როდი აყალიბებს ჭეშმარიტებას. ძნელია, მაგალითად, ვამტკიცოთ, რომ ალ. კალანდაძის მიერ ოდიშის ნეოლითურ კომპლექსში მოპოვებულმა სიმეტრულფრთებიანმა ქვის ცულმა[178] დასაბამი მისცა აღმოსავლურ ქართულ ბრინჯაოს ცულს, რადგანაც შუალედ ეპოქებში ვერ ვიცნობთ მსგავსი მოყვანილობის იარაღს. ცხადია, ასევე დასაბუთებას მოკლებული იქნებოდა, რომ გვემტკიცებინა ქართულ-წინააზიური ლითონის ბრტყელი ცულისა და ტარიანი სატევრების წარმომავლობა თეთრწყაროული ტიპის იარაღებისაგან, ვინაიდან ბრტყელი ცულების ასაკი განისაზღვრება ძვ. წ. XVI—X საუკუნეებით[179]. სატევრები პირველად წარმოიშვა ძვ. წ. II ათასეულის მეორე ნახევარში, ხოლო თეთრწყაროული ნამზადები, როგორც მათი თანმხლები საგნების ერთობლიობა გვაჩვენებს, დიდად უსწრებენ წინ ცოტათ თუ ბევრად განვითარებულ ლითონის ხანას. ერთი სიტყვით, რაოდენ მიმზიდველი და წარმტაცი არ უნდა იყოს ის მოსაზრება, თითქოს თეთრწყაროული ქვის იარაღის ფორმები შეგნებულად გააცოცხლეს სპილენძსა და ბრინჯაოში, დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება მანამ, სანამ ცნობილი არ გახდება ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის კუთვნილი, ტიპოლოგიურად მსგავსი ლითონის ნამზადი.

მეორე მხრით, მნიშვნელობას მოკლებული არაა თვით ამ ქვის შუბისა და ისრისწვერების ფორმათა წარმომავლობის, მათი პროტო — თუ არქეტიპების

---

[175] იხ. Mitteilungen der deutchen Orient-Geselschaft, LXI. Berlin, 1931, გვ. 74—80, 290.

[176] Г. Чайлд, У истоков..., გვ. 327, 328, სურ. 16.

[177] R. Pitioni, Die urgesc lchtlichen Grundlagen der europaischen Kultur, Wien, 1949, გვ. 82—83; Г. Чайлд, დასახ. ნაშრ., გვ. 267, სურ. 96.

[178] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, ტაბ. III, 3.

[179] J. Garstang. Prehistoric Mersin, გვ. 211—212.

ძიების საკითხი. ცხადია, სრულიადაც სავალდებულო არაა ამა თუ იმ კულტურის ყველა ფორმას თავისი წინაპარი ჰყავდეს — მაშინ ძნელი იქნებოდა კულტურის საფეხურთა შორის მკვეთრი ზღვარის გავლება და თვისებრივად განსხვავებულ მოვლენათა თავისთავადობის შეცნობა. პირიქით, ცნობილია, რომ კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურებს წარმოქმნის გადამუშავებული ძველისა და ადრე უცნობი, სრულიად ახალი ფორმების ერთობლიობა: მხოლოდ მეზოლითსა და ნეოლითში უნდა ჩასახულიყო (და ასეც მოხდა) ნამგალი და ხელსაფქვავი, მხოლოდ ენეოლითში დაიწყო ლითონის ტექნოლოგია და ა. შ. მაშასადამე, არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენთვის საინტერესო იარაღების ფორმა, რომელიც, სხვათა შორის, ნაკარნახევი უნდა იყოს იარაღის ტარზე მისი სამუშაო ნაწილის მოხერხებულად და მტკიცედ დამაგრების სურვილითაც, პირველად, რომელიმე წინაპრის გავლენის გარეშე, ჩასახულიყო სწორედ ადგილობრივ ნეოლითში, კერძოდ, მის თეთრწყაროულ გამოვლინებაში. ასე იყო თუ ისე, ჩვენ მოვალენი ვართ გავითვალისწინოთ ჩვენთვის ცნობილი ყველა ფაქტი, რომელსაც შეუძლია გარკვეული შუქი მოჰფინოს აქ განხილულ ფორმათა წარმომავლობას.

ჩვენთვის საინტერესო საგანთა წინაპრების ძიების დროს გვერდს ვერ ავუხვევთ ზემოთ მოხსენებულ ევროპულ ქვის იარაღებთან მათ ტ ი პ ო ლ ო გ ი ურ მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ს. მაშასადამე, შვეცია, ნორვეგია და იტალია, წარმოადგენენ მხარეებს, რომელთა კულტურები ამ მხრივ თვალში გვეცემა. ამ შორეული ქვეყნების მატერიალური კულტურის ძეგლების კავკასიურსა და წინააზიურთან კავშირი სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა. რის საფუძველზე ზოგი ავტორი ეთნიკური მონათესავეობის აღიარებამდეც მიდის, ზოგი კი უფრო შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებს კულტურულ გავლენათა შესახებ. ბ. კუფტინი, მაგალითად, აღნიშნავდა მდ. პოს ხეობის გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჰურჭლის ფორმათა (ყურები ansa lunata) მსგავსებას იმავე დროის დასავლურ-ქართულ კერამიკასთან[180], და ვარაუდობდა ამ ორი მხარის ძველი ტომების მონათესავეობას. უამისოდაც ცნობილია პელასგების ენისა და კულტურის წინააზიის უძველეს მკვიდრთა კულტურის წრისადმი მიკუთვნების არაერთი ცდა.

ჩვენი მასალაც, როგორც ვნახეთ, გარკვეულ რგოლს ქმნის იტალია-კავკასიის კულტურათა მსგავსების არცთუ ისე გრძელ ჯაჭვში, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ კმარა რაიმე ეთნიკური კავშირის დასამტკიცებლად. საკმარისი არაა იგი არც იმისათვის, რომ კულტურულ ნაკადთა ურთიერთგავლენა ვაღიაროთ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ენეოლითთან. ასე თუ ისე, ქრონოლოგიის ლოგიკა გამორიცხავს იტალიურ გავლენას თეთრი წყაროს კულტურაზე, რაშიც ქვემოთ უფრო კარგად დავრწმუნდებით.

რაც შეეხება ჩრდილო ევროპას, აქ საკითხი კიდევ უფრო ცხადია; რამდენადაც მონტელიუსის მოწათეთა თეორია ნეოლითის III და IV საუხრზე „ნორდიკული“ კულტურის სამხრეთით, თვით კავკასიასა და ანატოლიამდე, გავრცელების შესახებ[181], საყოველთაოდ უარყოთილია. ჩრდილოეთის ნეოლითში ცნობილი ზოგიერთი თორმის დამთხვევა ჩვენს მონაპოვართან, არაფერს შემატებს ამ თეორიას. ეს იმიტომ, რომ, მსგავსად რემედელოს ენეოლი-

---

[180] Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды. II. Тб., 1950, გვ. 233.

[181] A b e r g, Das nordische Kulturgebiet Reinerth-chronologie der jungeren Steinzeit.

თისა იტალიაში, ნორდიკული ნეოლითი მოდის საკმაოდ დაწინაურებულ ლითონის ხანაზე, როცა ჩრდილოეთის ტომები კარგად იცნობდნენ უნეტიცის ლითონის საგნებს და კაჟის იარაღსაც იტალიური ბრინჯაოს სატევრების მიბაძვით ქმნიდნენ. რემედელოში კი ჩვენთვის საინტერესო ფორმის კაჟის საგნები უმზადებიათ კალის იმპორტის წყვეტილი ხასიათის და არა მეტალურგიის არცოდნის გამო. ერთი სიტყვით, ევროპული კულტურები, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო ფორმები ვნახეთ, ფაქტიურად თვით ევროპის ლითონის ხანისაა და, მიუხედავად ვიტერის ცდისა, დაადგინოს ევროპის მეტალურგიის მაღალი ასაკი, მაინც ურყევ ფაქტად რჩება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან შედარებით ევროპული კულტურების დიდად ნაგვიანევი განვითარება. აქ დროულია გავიხსენოთ, რომ ევროპის მეზოლითი ემთხვევა აღმოსავლეთის ლითონის ხანას[182], ხოლო ნორდიკული ნეოლითის IV საფეხური მოდის ძვ. წ. II ათასეულის შუა ხანებზე[183], ე. ი. იმ დროზე, როცა ამიერკავკასიაში აღინიშნება ქართული ბრინჯაოს კულტურის სრული აყვავება. ამგვარად, თუ თეთრი წყაროს მონაპოვართან დაკავშირებით გავლენების საკითხი დაისმის, ის არ გადაწყდება არც ნორდიკული და არც საერთო ევროპული ნაკადების სასარგებლოდ.

საძიებელი ფორმების წარმომავლობაზე მსჯელობის დროს, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, თვალი უნდა მივაპყროთ კავკასიასთან ადრევე დაკავშირებულ წინა აზიის კულტურებსაც. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვნახავთ, რომ თეთრი წყაროს ქვის ისრისწვერთა პროტოტიპები პირველად გაჩნდა პალესტინაში, ნატუფიის მეზოლითური კულტურის დასასრულს და განვითარდა ტახუნის ნეოლითში[184]. ნატუფიის ერთგვაროვან ისრისწვერთა ფორმების ნაირსახეობათა შორის გამოირჩევა აგრეთვე თეთრი წყაროს ობსიდიანის პრიმიტიულ ნამზადთა შესატყვისებიც. ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მის საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა თვით თეთრწყაროული ობსიდიანისა და ქვის ისრისწვერები ერთმანეთს დავუკავშიროთ ტიპოლოგიურადაც... რაკი, ამგვარად, ირკვევა, რომ თეთრწყაროული ობსიდიანის ნამზადთა ერთი სახეობა დაკავშირებულია უფრო სრულქმნილი ხელობის ქვის ისრისწვერებთან, ჩვენ მოვალენი ვართ ვეძებოთ სხვა შესატყვისი ფორმები ადგილობრივ, ქართულ არქეოლოგიურ მონაპოვარში. ამ მხრივ ჯერჯერობით ყურადღებას იპყრობს მხოლოდ ისეთი ძეგლი, როგორიცაა არქეოლოგ ნინო ბერძენიშვილის მიერ გათხრილი გამოქვაბული საგვარჯილე დასავლეთ საქართველოში. საგვარჯილეს ნეოლითური ფენის გამოუქვეყნებელ მონაპოვართა შორის ჩვენ მართლაც ვხედავთ ტანგადაყელილ კაჟის ისრისწვერებს, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული რგოლის ადგილი დაიკავონ პალესტინურ და თეთრწყაროულ ისრისწვერთა შორის გასაბმელ ჯაჭვში. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი აღმოჩენები ამიერკავკასიასა და წინა აზიაში კვლავაც შეგვმატებს ასეთი ჯაჭვის შემავსებელ სხვა რგოლებსაც. თუ ამიერკავკასიის დღემდე გათხრილ ენეოლითურ სადგურებში იარაღის ეს ტიპი ცნობილი არაა, ეს მხოლოდ იმას უნდა მოწმობდეს, რომ თეთრი წყაროს ძეგლი მათზე უხნესია. ამის მაუწყებელ სხვა ფაქტთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენთვის საინტერესო ნამზა-

---

182 Г. К л а р к, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

183 Г. Ч а й л д, დასახ. ნაშრ., გვ. 270.

184 Г. Ч а й л д, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1956, გვ. 61—65, 340—345, სურ. 110.

დების ტიპოლოგიურ მსგავსებას პალესტინის მეზოლით-ნეოლითურსა და საგვარჯილის ნეოლითურ ისრისწვერებთან.

ამ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება არც მარტივყუნწიან ისრისწვერთა აღმოჩენის ფაქტი თეთრ წყაროში, რამდენადაც მათი სრული შესატყვისი ანალოგები გვხვდება არა მარტო ამიერკავკასიის ნეოლითსა და ენეოლითში, არამედ მათს მიღმა მდებარე მხარეების კულტურათა ძველ ფენებშიც. ასეთია, მაგალითად, თეთრამიწას მონაპოვარი, რომელშიაც ჩვენ ვხედავთ თეთრი წყაროს ისრისწვერთა არა მარტო ზოგადად მსგავს ფორმებს[185], არამედ აგრეთვე ზოგიერთი ტიპის ზედმიწევნითს ანალოგსაც[186]. რა თქმა უნდა, ასეთსავე მსგავსებას გვაძლევენ ნაცარგორის, ბეშთაშენის[187], ოჩამჩირის, ეჩმიაძინის ქიულ-თაფის[188] და სხვა ენეოლითური ფენებიდან მომდინარე ისრისწვერები. უფრო შორეული კულტურებიდან საკმაოა ამ მიზნისათვის დავასახელოთ ოკის[189] ნეოლითი და წინა აზიის არქაული კულტურები, ასევე, ნეოლითისა და ენეოლითის ხნოვანებისა[190]. ეს კი არის, რომ სხვა კულტურებში ისრისწვერები უმზადებიათ უპირატესად კაჟისაგან, ხოლო თეთრ წყაროში, ამასთან ერთად, ფართოდ ყოფილა ხმარებაში ობსიდიანიც. რაც შეეხება ქუსლ ანუ ფუძეამოკვეთილ ისრისწვერებს, რომლებიც თეთრ წყაროში მხოლოდ ობსიდიანისაა, ისინი ბრინჯაოს ხანის კომპლექსებშიაც გვხვდებიან, მაგრამ წარმოშობით, აგრეთვე უკავშირდებიან ნეოლითურ კულტურებს. მათი პროტოტიპები, ასიმეტრიულ ფუძიან ნამზადთა სახით, ამიერკავკასიაში უკვე მოჩანან თეთრამიწის ნეოლითში[191] ისინი უფრო მკვეთრად ჩამოყალიბდნენ ნაცარგორის უძველეს სამარხთა[192] და ზღუდრისგვერდას ენეოლითური მოსახლეობის პერიოდში[193]. რა თქმა უნდა, იგივე ფორმა, თეთრი წყაროს ტიპის რთულყუნწიან ისრებთან ერთად, ძლიერ გავრცელებული იყო რუსეთის სხვადასხვა მხარის მეზოლითურ და ნეოლითურ სადგურებშიც[194], მაგრამ აბსოლუტური ასაკის მიხედვით ისინი ძლიერ ახალგაზრდებია. საკუთრივ თეთრწყაროული ფუძეამოკვეთილი ისრისწვერების ტიპი გავრცელებული იყო ეგვიპტისა და წინა აზიის ნეოლითიდან მოკიდებული და არც საქართველოს ენეოლითშია იგი უცხო სტუმარი. ოჩამჩირის ენეოლითური სადგურის მონაპოვარში, ყუნწიან ისრისწვერთა გვერდით, ჩვენ ვხედავთ ორივე თეთრ-

---

185 ნ. კილაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. IX, X.

186 შდრ. ნ. კილაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. IX, 1, 2, 3, ტაბ. X—I).

187 Б. А. Куфтин, Арх. раск. в Триалети, I, ტაბ. CXIX.

188 Б. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армении, СА, XI, 1949, სურ. 2; მისივე, Археол. Закавказья, Л., 1949, ტაბ. II.

189 С. И. Успенский, Верхнеокская неолит. стоянка, Турининские дворики, КС ИИМК, вып. 59, გვ. 131—134, სურ. 56, 4.

190 Г. Чайлд, დასახ. ნაშრ., სურ. 110, II; H. Th. Bossert, Altsyrien... გვ. 94, სურ. 1222 და სხვ.

191 ნ. კილაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. X, 3.

192 გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, ტაბ. II.

193 Б. А. Куфтин, К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии, ВГМ, вып. XIV,-13, Тб., 1947.

194 А. П. Окладников, Археол. данные о древнейшей истор. Прибайкалья, ВДИ, 1938 № 1 (2), გვ. 244—259; მისივე, Древние поселения в долине р. Хаганги, КС, 1947, XVIII; Т. М. Минаева, Стоянка с микролит. инвентарем на Черных Землях, КС, 59.

წყაროულ ვარიანტს — ქუსლმაკრატელას და ქუსლთაღიან ისრისწვერებს[195], რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ამ ორი არქეოლოგიური კომპლექსის ქრონოლოგიურ სიახლოვეს უნდა მოწმობდეს. რამდენადმე სხვა სახის, მცირედ ქუსლამოკვეთილი, ნუშისებური მოყვანილობის ისრისწვერები ცნობილია დიხა-გუძუბის ქვედა ფენიდან. ზოგი მკვლევრის ცდა, რომ ეს იარაღი, ისევე როგორც დიხა გუძუბის სათანადო ფენაც, ასაკის მხრივ მიუახლოვოს შუა ბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართულ ობსიდიანის ისრისწვერებს[196], არ უნდა იყოს საფუძვლიანი, ვინაიდან თვით დიხა-გუძუბადან, ამას გარდა, ვიცნობთ ოჩამჩირისა და თეთრიწყაროს მეტად არქაულ ყუნწიან ისრისწვერთა ანალოგს[197]; მეორე მხრივ, მცირედ ქუსლამოკვეთილი, ნუშისებური ისრისწვერის მაღალ ასაკს მიუთითებს მისი მონაწილეობა ეჩმიაძინის ქიულ-თაფას ენეოლითურ კომპლექსში[198]. ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ იგივე ფორმა, ისევე როგორც ნამდვილი ფუძეთაღიანი ისრისწვერები, გავრცელებული იყო უკვე ფაიუმის ნეოლითში[199]. ამგვარად, ზემოაღნიშნული ცხადად მიუთითებს თეთრი წყაროს ობსიდიანისა და ქვის ისრისწვერთა და, ცხადია, მათი გარემომცველი ნაშთების მიდრეკილებას მეტად არქაული ძეგლებისაკენ.

ამ საკითხისათვის ჩვენ შეგვეძლო აქ დაგვესვა წერტილი, რომ გასათვალისწინებელი არ ყოფილიყო ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება ამიერკავკასიის ენეოლითურ კაჟისა და ობსიდიანის ინდუსტრიის შედარებითი ასაკის შესახებ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროფ. ბ. პიოტროვსკის შრომები ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურებზე, ამ შრომებში განვითარებული აზრის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ კაჟის იარაღები დამახასიათებელია შედარებით ადრინდელი ენეოლითისათვის, მაშინ, როცა ობსიდიანის ნამზადების უპირატესი მოხმარება მიგვანიშნებს გვიანდელ ენეოლითზე[200]. ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, საეჭვოა, რადგან ობსიდიანის იარაღთა უპირატესობით გამორჩეულ შრეშბლურისა და ქიულ-თეფეს (ეჩმიაძინში) კერამიკას, ბ. პიოტროვსკი, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, მიიჩნევს შენგავითურ კერამიკაზე უხნესად, თუმცა შენგავითში ობსიდიანს კაჟთან შედარებით უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. ამიერკავკასიის სხვა ენეოლითურ მოსახლეობებზეც შენიშნული სხვადასხვანაირი თანაფარდობა ობსიდიანისა და კაჟის ინდუსტრიას შორის, უნდა ვიფიქროთ, აიხსნება არა იმდენად ქრონოლოგიური მომენტით, რამდენადაც მოსახლობათა აღმოცენების ადგილების გეოლოგიური პირობებით: კაჟის ან ობსიდიანის საბადოთა სიახლოვე ძირითადი მომენტი იყო სათანადო პროდუქციის ბატონობისათვის. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ კაჟით მდიდარი დასავლეთ საქართველოს ნეოლითისა და ენეოლითის კულტურებში ობსიდიანს უკავია უმნიშვნელო ადგილი, მაშინ როცა ეს უკანასკნელი ყოვლისმომცველ როლს ასრულებს სამხრეთ ამიერკავკასიის ვულკანური ზონის ახლომდებარე ისეთ ძეგლებზე,

---

[195] Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, МИАб, XV. Сухуми, 1939, გვ. 38.

[196] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, გვ. 241—242, ტაბ. 64, სურ. 65; მისივე, Археологические раскопки в Триалети, I, ტაბ. CVI.

[197] Б. А. Куфтин, МАК, II, ტაბ. 64, 5.

[198] Б. Пиотровский. დასახ. ნაშრ., ტაბ. II.

[199] J. de Morgan, La prehistoire..., ტ. II, გვ. 95, სურ. 106.

[200] Б. Б. Пиотровский. Поселение медного века в Армении, СА, XI, 1949, გვ. 171—177; მისივე, Археология Закавказья, Л., 1949, გვ. 33, 36.

როგორიცაა არმავირ-ბლური, ელარი და ნაწილობრივ მალაქლუ. რომ ობსიდიანის ინდუსტრია არ შეიძლება მოწმობდეს გარდასულ დროთა კულტურების დაბალ ასაკს, ეს შეიცნობა თრიალეთში — ბარმაქსიზის ეპიპალეოლითურ ნასახლარზე გათხრილი ნაშთების მიხედვით, რომელშიც ობსიდიანთან შედარებით კაჟს ეკუთვნის მხოლოდ 6 პროცენტი [201]. უნდა მოველოდეთ, რომ ქვემო ქართლის ნეოლითური კომპლექსები, რომელთა აღმოჩენა ფრიად სავარაუდოა ი. გძელიშვილის მიერ სოფ. აბელიაში მიკვლეული ქვის გაპრიალებული ცულის მიხედვით, მოგვცემს ობსიდიანის ფართოდ გამოყენების მაუწყებელ მაგალითებსაც. ამით კიდევ ერთი ახალი საბუთი შეგვემატება თეთრი წყაროს ახლად გამოვლინებული კულტურის მაღალი, ადრეენეოლითური ასაკის დასადგენად.

რომ ამ კულტურის შემქმნელ ხალხს გაწყვეტილი არ ჰქონდა ნეოლითის საზოგადოებასთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი, მოჩანს, აგრეთვე, ქვის სხვა ინვენტარის მიხედვითაც. ეს არის ვულკანური და რიყის ქვის აურაცხელი ნამზადი, რომელიც უცხო არაა არც ზოგი სხვა ენეოლითური მოსახლობისათვის, მაგრამ ამ რაოდენობით პირველად თეთრ წყაროში იჩინა თავი და დაგვანახა ადგილობრივი, ხელმისაწვდომი ნედლეულის ენერგიული დამუშავების ახალი სურათი. ზოგი მათგანი, როგორიცაა, მაგალითად, ანდეზიტ-ბაზალტის გამჭოლი ან ნაწილობრივ გახვრეტილი დიდი ლოდები, ჩვენთვის ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცული არის და მათი დანიშნულების გამხსნელ ბედნიერ შემთხვევამდე ასევე პრობლემატურ ძეგლებად დარჩებიან. სოლისებური მოყვანილობის ანუ ორფერდა ლოდი ამათგან გამოირჩევა ზემო, თხელ ნაწილში მოთავსებული ორმხრივი ნახვრეტით, რომელსაც ვიწრო თავებით ერთმანეთზე მიდგმული ბიკონუსის ფორმა აქვს. გახვრეტის ამგვარი წესი თავისთავად მოწმობს საგნის სიძველეს, რადგანაც იგი დამოწმებულია მეზოლითიდან მოკიდებული[202] და ადგილს უთმობს ქვის ცილინდრულად გახვრეტას მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანაში. გამონაკლისს წარმოადგენენ მაგარი ქვის წვრილი სამკაულები, რომელთაც ამ დროსაც ორი მხრიდან ხვრეტენ. ამ ქვის დანიშნულების ძიებისას გვახსენდება მთაში დიდხანს შემორჩენილი მძიმე საგნების დიდ სიმაღლეზე აწევის ხერხი — კოჭისებური ჭაღის, მაგარი თოკისა და გამაწონასწორებელი მძიმე ქვის შემწეობით, რასაც, შესაძლოა, ეს გახვრეტილი ქვაც წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ამგვარ საგნებს იყენებდნენ, ისევ და ისევ, თოკთან და ჭაღთან ერთად, სახლის მძიმე კარის ავტომატურად დასახურად. თუ ამ ბოლო დანიშნულებას უპირატესობას მივანიჭებთ, მაშინ კიდევაც უნდა ვივარაუდოთ საკვლევ ადგილზე ცალფრთიანი კარის მქონე ნაგებობანი, რომელთა კვალი შეიძლება გამოვიცნოთ თითქოს კარის ჭუსლის საბრუნავად განკუთვნილ მრგვლად ამოხვრეტილ ერთ სხვა ლოდში. შვეულ ღერძზე მბრუნავი კარის იმ შორეულ დროში გამოყენება კავკასიაში სულაც არ არის მოულოდნელი, რადგან მესოპოტამიაში ამგვარი მოწყობილობით სარგებლობდნენ უკვე ჰასუნის ნეოლითელები[203].

გარდა ამისა, ჩვენს მონაპოვარში შედის ლოდები, რომელთა ფართო, მაგრამ არც თუ ღრმა ნახვრეტები, თითქოს, როდინებს მოგვაგონებენ, ხოლო ზო-

---

[201] Б. А. Куфтин, Арх. раск. в Триалети, I, გვ. 122.
[202] Г. Кларк, დასახ. ნაშრ., გვ. 176.
[203] Г. Чайлд, Древнейший Восток. .. გვ 170—171.

გის ვიწრო ცილინდრული ნახვრეტი უფრო იმას უნდა მოწმობდეს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჭოკის ჩასასმელ ფოსოებთან.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ანდეზიტ-ბაზალტის ლოდის ერთ დიდ ნატეხზე (ყორღანის ყრილი, კვადრატი ბ⁵), რომელსაც მომრგვალებულ თავთან შემოუყვება ღრმად ამოღარული ფართო სარტყელი, საფიქრებელია, ზედ ხის ტარის შემოსაჭდობად, თუმც არც ის არის გამორიცხული, რომ თოკის მარყუჟს გაუკეთებდნენ და, ამგვარად, პირველი ქვის მსგავსად სიმძიმეთა გამაწონასწორებლად ხმარობდნენ. თუ არა დიდი ზომით, ის სხვა არაფრით განსხვავდება ქვის შემოყელილი უროებიდან, რომლებსაც პოულობენ უმთავრესად მეტად არქაულ კულტურათა ნაშთების გარემოცვაში, ზოგჯერ კი — დამათარიღებელ ნივთთა გარეშეც. მსგავსი უროები ხშირად დაკავშირებულია ძველ სამთო გამონამუშევრებთან, როგორიცაა კულპის მარილის საბადოები,[204] კილიქ-დაღის ქვის სამტეხლოები[205] და სხვ. მაგრამ უმეტესად ისინი ცნობილია კარგად დათარიღებულ ენეოლითურ ფენებში თრიალეთში[206], ხანლარში[207] და ალიშარის I ფენაში[208]. თეთრი წყაროს კომპლექსში მისი მონაწილეობა, როგორც უროსი, სულაც არაა მოულოდნელი თუ გავიხსენებთ, რომ აქ მიკვლეულ სახელოსნოში და მის ახლოს უხვად გვხვდება მძიმე იარაღით დამტვრეული ობსიდიანისა და რქეულას ნატეხები. უფრო ძნელია განვსაზღვროთ $г^1$ კვადრატში აღმოჩენილი ქვის დიდი დოლაბისებური დისკოს სეგმენტის (№ 191 გ) დანიშნულება მიუხედავად იმისა, რომ დისკოს გახვრეტილი ცენტრი და ნაპირზე ჩაჭრილი, თითქოს ტარის ჩასარჭობად განკუთვნილი ჭდე მიგვანიშნებს მასში მბრუნავი წისქვილის ქვაზე. მაგრამ ამ ხელსაწყოს გამოგონების საყოველთაოდ აღიარებული თარიღი — რომაული ხანა — გვაფრთხილებს, რომ უმჯობესია ეს ნამზადიც გაურკვეველი ფუნქციის ინვენტარს მივაკუთვნოთ. მართლაც, რომ საკვლევ ობიექტზე მრგვალდოლაბიანი წისქვილის გამოყენება დამოწმებულიყო, გაუგებარი იქნებოდა არქაული ტიპის ხელსაფქვავებისა და მათი უამრავი ნატეხის აღმოჩენა როგორც ყორღანში, ისე მის გარეთ, ე. წ. სახელოსნოში.

ქვის ხვრეტის ხელოვნება თეთრწყაროში ეპოქის სიმაღლეზე რომ იდგა, ამას მიუთითებს ზემოთ დასახელებული საგნებიც, მაგრამ, ამათ გარდა, გვაქვს ბევრი როდინი და მათი ნატეხები, საპრიალო ან სალესი ქვა, ერთი დისკო და ერთიც ლახტისთავის ნატეხი. ლახტისთავი გამოუკვეთიათ მოვარდისფრო, მსხვილმარცვლოვანი ტუფისაგან და მისთვის მიუციათ მცირედდაბრტყელებული ბირთვისა თუ ვაშლის ფორმა. მაგრამ გახვრეტის დროს გატეხიათ იმ მომენტში, როცა ძაბრისებური ფოსოები ორივე მხრიდან მიახლოვებია ერთმანეთს (ყორ., კვ. $б^4$, № 173). სწორედ ასევე გახვრეტის დასრულებამდეა გატეხილი წვრილმარცვლოვანი მაგარი ქვის წაგრძელებულ-ოვალურ განივკვეთიანი სალესი თუ საპრიალო ქვა (ქვაყრ. III, № 713), რომლის ზედაპირი უთრო ბუნებრივად უნდა იყოს გლუვი, თუმცა ცალ წიბოზე ხელოვნურად გახეხვის კვა-

---

[204] П. С. Уварова, Коллекции Кавк. Музея, т. V, № 63.—87, ტაბ. XI; E. Chantre Pecherches anthrologiques dans le Caucase. გვ. 50, ტაბ. I, II.

[205] ОАК за 1899 г., გვ. 71.

[206] Б. А. Куфтин, Арх. раск. в Триалети, გვ. 112.

[207] Я. И. Гуммел, Археологическая разведка на Килик-Даге, Изв. Аз. ФАН СССР, 1938, № 2, გვ. 23—24, ტაბ. I—II.

[208] E. Schmidt, Anatolia through the ages. გვ. 80, სურ. 99.

ლიც არ დაუკარგავს. განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს ანდეზიტ-ბაზალტის მოზრდილი დისკო (დიამეტრი — 130 მმ, სისქე — 29 მმ), რომლის ბიკონუსური ნახვრეტი (უმცირესი დმ—12 მმ) თუმცა გამჭოლია, მაგრამ დასრულებულად ვერ ჩაითვლება მისი ნაპირების შემოუსწორებლობის გამო (I ქვაყრ. №623).

ქვის ასეთი დისკოები 11—12 სმ დიამეტრისა და 24-მდე მმ სიფართოვის ნახვრეტიანი, ზოგჯერ ცალგვერდგამობურცული, ზოგჯერაც ნაპირებდაკბილული აღმოჩენილია პრიმორიეში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული — I ათასწლეულის დასაწყისის „ნიჟარათა გროვებაში“, რომელთაც შემოუნახავთ აგრეთვე მინუსინსკის ქვაბულში ცნობილი ყარასუსა და თაგარის ლითონის იარაღის მიბაძვით ნაკეთები ქვის დანები და სატევრები. ბიკონუსურად გახვრეტილ ქვის ამ დისკოებს ლახტისთავებად თვლიან და ნეოლითური კულტურის დისკოსებური ლახტისთავის გადმონაშთად მიიჩნევენ, რამდენადაც სრულიად ამგვარივე ნამზადები დამოწმებულია იაპონიის კუნძულებისა და ჩრდილო ჩინეთის ნეოლითურ ფენებში[209]. პერმის ჰიდროსადგურის მშენებლობის დროს მდ. კამის მარცხენა ნაპირზე, „გრემიაჩეე რუჩეისთან“, ნეოლითურ სადგურში აღმოჩენილი ამგვარივე და ამავე ზომის ნამზადი, გამოქვეყნებულია როგორც საწაფი[210]. ბუშმენთა ეთნოგრაფია ამოწმებს ასეთნაირი ქვების გამოყენებას მიწის საჩიჩქნ ჯოხზე, მისი დამძიმების მიზნით[211]. უფრო მოზრდილ (დიამეტრი—20 სმ) დისკოებს პალესტინის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე რომ პოულობენ, კერამიკული ჩარხის წინამორბედ „სატრიალოებად“ მიიჩნევენ[212]. კალატ-ჯარმოში (ქურთისტანის ზეგანზე) ადრეული ნეოლითის ფენებში აღმოჩენილია დაბრტყელებული ვაშლისებური ქვები[213].

თეთრ წყაროში ყველა როდინი დამზადებულია ანდეზიტ-ბაზალტისაგან. მათი უმეტესობა აღმოჩენილია ქვაყრილებში, ორიოდე ცალი კი — ყრილქვეშმდებარე თიხნარშია ღრმად ჩადგმული. ერთი მათგანი ჩადგმული იყო მრგვალი ნაგებობის შესასვლელთან, შიგნით, აღმოსავლეთ მხარეზე, ხოლო მეორე — მის აღმოსავლეთით, კედლის გარეთ (ტაბ. V—1) ნაგებობის შიგნით. პირველი გამოირჩევა უნაკლო დაცულობით და, ერთ-ერთი უდიდესთაგანია ამ ტიპის ნივთთა მთელ კოლექციაში (სიმაღლე 48 სმ-მდე, სიგანე — 43 სმ, ნახვრეტის დიამეტრი—21 სმ, ნახვრეტის სიღრმე—16 სმ). როდინის ნახვრეტი წრიულია, თითქოს ფარგლით მოზომილი, და ბოლოვდება მომრგვალებულ-შეკვეთილი ძირით. მეორე ასევე დიდი როდინის ნატეხები აღმოჩენილია I ქვაყრილში, უფრო მომცროები კი — ყორღანში (№№ 303 და 141) და III ქვაყრილში (№ 727).

---

[209] А. П. Окладников, Приморье в I тысячелетии до нашей эры (по материалам поселений с раковинными кучами). СА, XXVI, გვ. 84, 90, ტაბ. 16, 1, 2.

[210] Н. А. Прокошев, Камская экспедиция 1935 г., СА, I, გვ. 255 შმ., სურ. 3, 4.,

[211] იხ. დ. ა. ოლდეროგეს შესავალი წერილი, В. Эленбергер, Трагический конец бушменов, М., 1956, გვ. 12.

[212] Lond, Megido, II, გვ. 177.

Revue Biblique, LIX, გვ. 403.

[213] ხელნაწერზე ავტორისავე მინაწერი გვამცნობს, რომ პარალელური მასალის მიმოხილვა ტექსტში არ არის დასრულებული. ავტორს გადაწყვეტილი ჰქონდა მოეტანა „ბევრი ანალოგი მახლობელი აღმოსავლეთის პრეისტორიული კულტურებიდან, რომლებშიც ნაპოვნ ასეთი ქვის დისკოებს ლახტისთავებად მიიჩნევენ“ (რედაქტორი).

ამოხვრეტილი ქვების უკანასკნელი ტიპი, რომელიც თეთრი წყაროს მონაპოვარში შედის, როდინებისაგან განსხვავდება მცირე ზომითაც და ზერელედ ამოღრმავებული ფოსოებითაც (№ 703, III ქვაყრ.), მაგრამ ერთი ცალი — დამზადებული ხმარებისგან გამოსული ხელსაფქვავის ნატეხიდან (ქვაყრ. III, № 763), საკმაო მოცულობისაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნამზადები გამოიყენებოდა საღებავების გასახსნელად და ფხვნილის მოსამზადებლად, ზოგიერთი კი გამოდგებოდა გრდემლისებურ საყრდენად კაჟისა და ობსიდიანის იარაღის კეთების დროს. ამგვარ საგნებს ხშირად პოულობენ სწორედ ქვის ინდუსტრიის მაუწყებელ ნამოსახლარებზე.

საჭიროება არაა ჩამოვთვალოთ თეთრ წყაროში მოპოვებული ყველა დამუშავებული ქვა და მათი ნატეხი. ძირითადი ტიპები წარმოდგენილია თანდართულ ტაბულებზე და ისინი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ თავისი დროისათვის საკმაოდ მძლავრი ქვის ინდუსტრიის მასშტაბზე. არის მრგვალი ქვები, რომელნიც. შესაძლოა, შურდულით სატყორცნი ბირთვები იყოს; არის ოთხკუთხედი ქვის გაპრიალებული ჩამონატეხები ან კიდევ მინიატურული სალესი, მეტად წვრილმარცვლოვანი მოშავო-მოლურჯო ქვისა (№ 464, კვ. ე³ და სხვ. მრ.).

უმართებულო იქნებოდა გვეთქვა, რომ ხელსაფქვავები, როდინები, საბეგველები, ფილთაქვები და გახეხვა-გაპრიალებით გამოყვანილი სხვა საგნები დამახასიათებელი იყოს მხოლოდ ახალი ქვის ხანისათვის. რასაკვირველია, ხელსაფქვავები უკვე ჰქონდათ ნეოლითელ ტომებს თეთრამიწაში[214], ოდიშში[215] და ეგვიპტის, მესოპოტამიისა და ბევრი სხვა მხარის პირველ მიწათმოქმედებს. ფსეთები იყვნენ ტასილის კულტურის მატარებელნი ეგვიპტეში[216], კალატ-ჯარმოს მოსახლეობა ქურთისტანის ზეგანზე[217], ჰასუნელები ტიგროსისა და ზაბის შესაყართან (ასურეთი)[218] და მრ. სხვ. მაგრამ არქეოლოგიური ფაქტები გვამცნობს ამ იარაღის, ისევე როგორც ზოგი აქ ჩამოთვლილი სხვა ნივთის გამოყენებას არა მარტო ენეოლითში და ბრინჯაოს ხანაში, არამედ მერეც — ახალი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის, — პრიმიტიულმა ტომებმა ხომ ის მოიტანეს უახლოეს საუკუნეებამდე. იგივე შეიძლება ითქვას საბეგველებზე[219]. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვის ინვენტარის რაოდენობას ლითონის წარმოების კვალის თითქმის არარსებობის ფაქტის სინათლეზე. პროფ. ბ. კუფტინისათვის იგდირის მოსახლობის ენეოლითური და არანეოლითური ხასიათი იმან განსაზღვრა, რომ იქ კვალიც კი არაა კაჟის, ობსიდიანის, ბაზალტის ან კრისტალური ქვისა, იარაღის რამდენადმე მაინც ენერგიულ დამუშავებას რომ მოწმობდეს.

თუ ობსიდიანი მუშავდებოდა, — მუშავდებოდა განსაზღვრული ოდენობით. ვულკანური ტუფიდან აკეთებდნენ მხოლოდ ხელსაფქვავებს,

---

[214] ნ. კ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 251, სურ. 4, ტაბ. III.

[215] ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. IV, 3, 1939.

[216] Г. Чайлд, დასახ. ნაშრ., გვ. 67—68.

[217] ი ქ ვ ე, გვ. 165—166.

[218] ი ქ ვ ე, გვ. 167—168.

[219] А. Н. Бернштам. Опыт классификации археологических находок в Чуйсской долине, МИА; 14, გვ. 104—106, ტაბ. XXXIII, 3, 4; Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий"... გვ. 74, ტაბ. XIX, 1—6.

როდინისთავებს და მისთ[220]. თეთრ წყაროში კი სხვა სურათი გვაქვს, სახელდობრ — ყველა ხელმისაწვდომი ქანის „ენერგიული“ გამოყენება შრომის იარაღებისათვის და ამ უკანასკნელის დამუშავების ნეოლითური წესის მძლავრი გამოვლინება (კაჟის იარაღის წნევითი რეტუშით გამოყვანიდან დაწყებული, ქვის გაპრიალებით და ორმხრივი გახვრეტით დამთავრებული). მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვფიქრობთ ნეოლითური ვუწოდოთ საკვლევ კულტურას: ნეოლითური ნამოსახლარის გათხრა-შესწავლას უნდა მოეცა ქვის ნაჩორკნი თოხები, გაპრიალებული ცულები, ბევრი ეჩო, თეგი და სატეხი იმ ტიპისა, როგორიცაა კაჟის (რქეულის) ერთადერთი სადურგლო იარაღი I ქვაყრილიდან. ეს არის მხოლოდ ნეოლითურ ხანასთან უფრო ახლო მყოფი ენეოლითი, ვიდრე ამ სახელწოდების მატარებელი, დღემდე შესწავლილი კავკასიური კულტურებია. კისტრიკის ნეოლითურ სადგურზე შეგროვებულ ინვენტართან ჩვენი მონაპოვრის ახლო მსგავსება ამ დასკვნის კიდევ ერთხელ დასაბუთებას წარმოადგენს[221].

§ 3. ლითონის ინვენტარი

თეთრი წყაროს არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც ერთი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანთაგანია ამიერკავკასიის ენეოლითურ კოლექციებს შორის, თითქმის აბსოლუტური ულითონობით ხასიათდება. ლითონის არცერთი ნივთი არ აღმოჩენილა I ქვაყრილში. XIX საუკუნის ერთადერთი მონეტაა ნაპოვნი III ქვაყრილის თავზე, იმავე ძეგლის განაპირა d^1 დამატებითი კვადრატის ქვაყრილში, 50 სმ სიღრმეზე იყო ანტიკური იერის ოქროს საკიდი შიგჩასმული ფირუზის თვლით (სურ. 36, № 328) და, ბოლოს, ყორღანის ცენტრალურ e^4 კვადრატში, ეს უკვე ქვაყრილის ქვეშ, შავმიწიან კულტურულ ფენაში, ნული წერტილიდან 107 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა შაბიამნისფერი სქელი ჟანგით დაფარული, ალბათ, სპილენძის პატარა ღერაკი (№ 475). ღერაკი ერთი მხრივ მრგვალია, მეორე მხრივ კი დაბრტყელებული, თანაც ისე, რომ ცალი ბოლოსკენ უფრო სქელია. მისი სიგრძე 24 მილიმეტრია, ხოლო სიგანე — 6 მმ. ამგვარი ნივთი შეიძლება შეგვხვდეს ლითონის ხანის ყველა კულტურაში, და არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ღერაკი გვიანდელ ხანას ეკუთვნოდეს, ვინაიდან სწორედ e^4 კვადრატზე მოდის ყორღანის იმ ძაბრისებური ჩავარდნილობის უდიდესი ნაწილი, რომელსაც თავის დროზე გავეცანით. ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე კვადრატში, ოდნავ უფრო მაღალ დონეზე, მაგრამ შავმიწიან ფენაში იყო გვიანი საშუალო საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის პატარა ნატეხიც (№ 472), რომელსაც სპილენძის ღერაკთან ერთად იქ მოხვედრა შეეძლო მაშინ, როცა ყორღანის შუაგულში გაჩნდა ძაბრისებური ღერძული, ამ მომენტს არ შეიძლება გადაჭარბებული მნიშვნელობა მივანიჭოთ, რადგანაც იმავე კვადრატში, ნული წერტილიდან 90 სმ დონეზე და უფრო ღრმადაც შენიშნულია აშკარად ენეოლითური დროის კულტურის შემდეგი ნაშთები: ობსიდიანის ისრისწვერი (№ 480), კერამიკის ნატეხები (№№ 474, 476, 478 და სხვ.), თიხის ბათქაშის ნატეხები (№ 473, 477, 483 და სხვ.) და ამ მასალით

---

[220] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[221] აქ ნაშრომის ეს ნაწილი წყდება — დასრულებული არ ჩანს (რედაქტორი).

შელესილი დიდი ქვაც. ერთი სიტყვით, დიდად არ დავშორდებით ჭეშმარიტ აზრს, თუ ამ საგანს ძირითადი კულტურის ნაშთთა კუთვნილებად მივიჩნევთ, მით უმეტეს, რომ სწორედ ამგვარი ღერაკი, ქვის ხელკვერის სატარეში გაჩხერილი, აღმოჩენილია სტალინირის ნაცარგორის ენეოლითურ სამარხში[222].

ასეა თუ ისე, ე[4] კვადრატის სპილენძის ღერაკი დიდად არ შეცვლის დას-



სურ. 36 — მოპოვებულია № 1 ყორღანის ყრილში

კვნას თეთრი წყაროს მოსახლეობაში მეტალურგიის განუვითარებლობის შესახებ, მაშინ, როცა შენგავითისა[223] და ოზნის[224] მოსახლეობა საკმაოდ წარმატებით იყენებდა სპილენძს სამკაულებისა და იარაღისთვისაც. თეთრწყაროელთა ყოფა-ცხოვრებაში ლითონს უმნიშვნელო როლი ეკუთვნოდა. თუ მომავალმა გათხრამაც ეს ვითარება დაადასტურა, მაშინ ჩვენ შეგვეძლება ამ ძეგლის მეტად მაღალი ასაკი დავადგინოთ და მის დამტოვებელი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში ქვის ინდუსტრიის წამყვანი როლიც ამ გარემოებით ავხსნათ.

---

[222] გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი“, II, თბ., 1952, გვ. 242, ტაბ. III-2.

[223] Б. Б. Пиотровский. Поселения медного века в Армении, СА, XI.

[224] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. тб., 1948.

დასკვნები

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ თეთრი წყაროს ნასოფლარის გათხრების ძირითადი შედეგები და საჭიროა მოკლედ შევაჯამოთ იგი.

1. თეთრი წყაროს ნასოფლარი მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი დიდი დასახლებაა (ძვ. წ. IV—III ათასწლეული), რომლის ზოგიერთ ნაწილში შენახული იყო კულტურული ფენების თავდაპირველი განლაგება. ამ შემთხვევის გამო შესაძლებელი გახდა ერთიანი კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურთა თანამიმდევრობის სურათის დადგენა და კავკასიის არქეოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის საიდუმლოებისათვის ფარდის ახდა, როგორიცაა ღია და შავი ფერის კერამიკის უფროს-უმცროსობა.

2. თეთრი წყაროს ნასოფლარის გათხრით დადასტურებულია, რომ ღია ფერის ჭურჭელი ჩნდება სოფლის ცხოვრების უძველეს საფეხურზე, რომელსაც ჩვენ A ჰორიზონტი ვუწოდეთ, ხოლო ხმარებაში ყოფილა Б ჰორიზონტის პერიოდშიც აქ პირველად გაჩენილ შავზედაპირიან კერამიკასთან ერთად. სწორედ A ჰორიზონტმა მოგვცა ქობაშემოუვლებელი სწორპირიანი და ცილინდრულყელიანი ჭურჭელი. № 4 ქვაყრილის კერამიკა, რომელიც არსებითად მხოლოდ ვარდისფერი ნატეხებითაა წარმოდგენილი, A ჰორიზონტის ასაკისა უნდა იყოს[1].

3. გამოირკვა, რომ ზემოთ მოხსენებული მრგვალი ქვაფენილი დაგებულია უფრო ადრინდელ თხელ კულტურულ ფენაზე, რომლის მთელი კერამიკული მასალა ვარდისფერია.

საკუთრივ ქვაფენილზე და მის ზემოთ მდებარე შავ თიხნარში ბლომადაა როგორც ვარდისფერი ჭურჭლის, ისე შავპრიალა — ვარდისფერსარჩულიანი და მონაცრისფრო-ლეგა გულიანი ჭურჭლის ნატეხები, ტიპური „მტკვარაარაქსის“ ყურები.

მონაპოვართა ურთიერთშეჯერებისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ქვაფენილის ქვედა ფენა ადრეული A ფენაა, ხოლო ზედა ფენა Б — შედარებით გვიანი დროისაა[2]. თუ გადავხედავთ ოდიშისა და კისტრიკის ნეოლითურ კერამიკას[3], ვიპოვით ზოგიერთ ნიშანს, რომლებიც ამ მასალას ერთგვარი ძაფებით აკავშირებს თეთრი წყაროს ჰორიზონტის თიხის ჭურჭლეულთან. ეს ნიშნები მოჩანს თიხის დამუშავებაში, გამოწვაში, კეცის ფერში, ჭილების პირისა და ძირის გაფორმებაში, მაგრამ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავებაც.

---

[1] გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი, გვ. 8).

[2] იქვე, გვ. 8—9.

[3] ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიმკის მოამბე, IV, თბ., 1939; А. Л. Лукин, Неолитическое селище близ Гудаут, СА, XII, М.-Л., 1950.

პირველ რიგში, ჭურჭლეულის საერთო აღნაგობაში, ყურიანობა-უყურობის მიხედვით, ზედაპირის დამუშავებაში და სხვ. ასე რომ, თეთრი წყაროს ნასოფლარის A ფენის კერამიკას ვერ მივიჩნევთ დასავლურ-ქართული ნეოლითური კულტურიდან დღემდე ცნობილი ჭურჭლის პირდაპირ მემკვიდრედ, თუმცა მასთან ნათესაობა სარწმუნოა. უნდა ვიფიქროთ, რომ განსხვავებას ქმნის არა იმდენად მათი ქრონოლოგიური სიშორე, რამდენადაც კულტურათა ადგილობრივი თავისებურებანი, რომელიც აგრეთვე მოჩანს მოგვიანო მასალების მიხედვითაც (შეად., მაგ., ოჩამჩირის ენეოლითური კერამიკა[4] — თრიალეთისას[5]"; საჩხერის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა[6] —თრიალეთის იმავდროულ კერამიკას[7], დასავლეთის გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკა[8] — სამთავროს იმავდროულ[9] ან ნაცარგორის კერამიკას[10]).

ამრიგად, სტრატიგრაფიულად დამოწმდა, რომ Б ფენის შავპრიალა კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების შუა და მოგვიანო საფეხურთა ნაყოფია, მაშინ, როცა ნარინჯისა ან ვარდისფერი რბილკეციანი ჭურჭლეული წინ უძღოდა შავპრიალას (A ფენა) და შემდეგ მასთან თანაარსებობდა. სხვა მონაპოვრების გათვალისწინებით გაირკვა, რომ რბილკეციანი კერამიკის დამზადების წესმა ამიერკავკასიიდან ადრე შეაღწია ჩრდილო კავკასიაშიც, სადაც ის შემოინახა ისე გვიანდელ ხანამდე, როგორსაც მაიკოპის კულტურას მიაწერენ (ძვ. წ. III ათასწლეულის შუა საუკუნეები).

როგორც უკვე აღინიშნა, ღია ფერის კერამიკის ფესვების ძიებამ მიგვიყვანა დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებამდე და ამგვარად, ერთმანეთს გადაება კავკასიის ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის კულტურები.

4. ძვ. წ. III ათასწლეულის „მტკვარ-არაქსის" კულტურისა და ბოლო წლებში კავკასიაში გამოვლენილ V—IV ათასწლეულთა კულტურას (შულავერი, არუხლო, ნახიჭევანის ჭიულ-თეფეს I ფენა, ნაცარგორა I და სხვ.) შორის ძევს თეთრი წყაროს ნასოფლარის A დონის არქეოლოგიური კომპლექსი, რომლის მთავარი ელემენტებია, როგორც უკვე ითქვა, არქაული ტიპის არქიტექტურა, ღია ფერის კერამიკული ნაწარმი, ზოგჯერ ობსიდიანის ფხვნილის ან ბზეშერეული, და ნეოლითურ-ენეოლითური იერის ქვის ინდუსტრიის მძლავრი ნაშთები. რაკი A და Б დონეებს შორის გამყოფი სტერილური ფენა არ ძევს და, პირიქით, მათ შორის ბევრი საერთო ელემენტი მოწმდება, შეიძლება ვივარაუდოთ „მტკვარ-არაქსის" კულტურის გენეზისი მისი წინამორბედი კულტურის საფუძველზე. ამასთან ერთად ორივე დონის კომპლექსში ჩანს მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს კულტურათა ბევრი ელემენტი, და ამ ელემენტთა გავრცელება ამიერკავკასიიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

5. „ნასოფლარზე" მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ

---

[4] Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. Труды АбНИИ, Сухуми, 1939.

[5] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском р-не.

[6] ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში.

[7] იქვე.

[8] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II.

[9] ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები.

[10] გ. გობეჯიშვილი, ნაცარგორა

აქ მოსახლე ტომები ბინადარი მიწათმოქმედი მესაქონლე ტომები არიან; მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე მონადირეობაც; მიწათმოქმედებაზე მიუთითებს ნამგლისპირები, ხელსაფქვავები, როდინები, ფილთაქვები, დიდი ზომის ჭურჭელი და საკუთრივ რბილი ხორბალი; მესაქონლეობის მაუწყებელია შინაურ პირუტყვთა ძვლები და ფარეხი; მონადირეობაზე მეტყველებს ისრისპირებისა და შუბისპირების სიმრავლე. ბინადარი ცხოვრების უტყუარი საბუთია ქვისა და, შესაძლოა ხის, სახლთა ნაშთები.

6. როცა იქაური მოსახლეობის მეურნეობასა და ბინადარ ცხოვრებაზე ვმსჯელობთ, ვითვალისწინებთ მხარის ბუნებრივ შესაძლებლობებს. ნასოფლარი მდებარეობს ქვემო ქართლის ზეგანზე. რომელიც ერთნაირად ხელსაყრელია მიწათმოქმედებისთვისაც და მესაქონლეობისთვისაც. მას ახლო აკრავს, ერთი მხრით, საზაფხულო საძოვრად ფრიად ვარგისი ბედენის მთა და, მეორე მხრით, ქვემო ქართლის დაბლობი, რომელსაც შეეძლო საზამთრო საძოვრების როლის შესრულება. საფიქრებელია, რომ განხილულ ხანაში ადგილი ჰქონდა სოფლის მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილის, უმთავრესად მწყემსების სეზონურ მოძრაობს მდ. ხრამის დაბალი სანაპიროდან ბედენის მთამდე, მაშინ, როცა მოსახლეობის მეორე ნაწილი აწინდელ ნასოფლარში იჯდა, მიწათმოქმედებას მისდევდა, ჭურჭელსა და იარაღს ამზადებდა. ამგვარად, ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს საზოგადოებასთან, რომლის წევრებს შორის, თუნდაც მორიგეობით, ნაწილდება მიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ფუნქციები. ნასოფლარზე აღმოჩენილი სახელოსნო და ქვის ინდუსტრიის მშვენიერი ხშირი ნიმუშები უეჭველად გვაუწყებენ, რომ იარაღის კეთებაშიც გარკვეული პირები იყვნენ დახელოვნებულნი. სავარაუდოა საგანგებო მეთუნეთა არსებობაც, თუმცა ჭურჭლის ადგილზე ძერწვის კვალი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა გვაროვნული კოლექტივი, რომელშიც შრომის დანაწილება თავისი დროის კვალობაზე უმაღლეს საფეხურზე დგას.

СЕЛИЩЕ ТЕТРИ ЦКАРО

Резюме

С 1956 года в окрестностях Тетри цкаро («Сопиосеули») раскапывался курган раннебронзовой эпохи, под каменной насыпью которого — в погребальной камере с двумя отсеками, были обнаружены черепки чернолощенной керамики, с розовой подкладкой, медный стерженок и обуглившийся каштан (табл. III).

Непосредственно у курганного погребения были выявлены остатки основания прямоугольного помещения, выложенного большими каменными глыбами (табл. III, 2; рис. 4). Обнаруженные на глинобитном полу помещения фрагменты обмазки дают основание для предположения существования на этом месте деревянного домика с глиняной обмазкой с внутренней стороны.

Рядом с вышеотмеченным помещением выявлена круглая каменная выкладка с обломками глиняного очага, по всей вероятности, культового назначения.

Под каменной насыпью № 3 обнаружены многочисленные заготовки обсидиановых и кремневых орудий, что указывает на обнаружение остатков мастерской для изготовления каменных орудий в Сопиосеули (табл. VI—2,4).

К мастерской оказалась пристроенной длинная каменная стена, у основания которой были выявлены четыре погребения эпохи Куро-араксской культуры.

Большую площадь занимает огороженный необработанными каменными глыбами загон для скота, характерный для субальпийской зоны Кавказа, летних сезонных скотоводческих сооружений типа «Ацангвара» (табл. VIII).

На селище выделяются два культурных слоя: нижний (А) и верхний (В). Стерильной прослойки между ними не оказалось; Фрагменты глинобитных полов перекрывают друг-друга и только на незначительной части сохранились in situ; вся остальная площадь сильно повреждена при возведении надмогильной курганной насыпи.

Выявление нетронутых фрагментов глинобитных полов дало возможность проследить их последовательное образование, следовательно, и преемственный характер разных ступеней развития единой культуры раскапываемого региона в эпоху энеолита и ранней бронзы.

Установлено, что сосуды со светлоглиняными в изломе черепками принадлежат древнему культурному слою (А), но пользуются ими и позже, в эпоху второго культурного слоя (В), наряду с чернолощенной керамикой, изготовленной впервые именно в эту эпоху и характеризующей второй культурный слой (В) селища Тетри-Цкаро.

Стратиграфический весьма важный материал выявлен при раскопке выше указанной каменной выкладки: непосредственно под вы-

кладкой встречаются исключительно розовые в изломе черепки, а образованном под выкладкой культурном слое обнаружены многочисленные черепки, как розовые так и ченолощенные, с розовой подкладкой и серо-бурые с типичными для Куро-аракссской культуры ушками.

Таким образом, стратиграфически установлено, что обнаруженная во втором культурном слое (В) чернолощенная керамика изготовлена в середине и на поздней ступени развития Куро-аракссской культуры, тогда как, светлоглинянные и розовые с мягкой глиной сосуды — на первой ступени (слой А) и продолжают жить, как было отмечено, наряду с чернолощенной керамикой второго (В) культурного слоя. Исследование показало, что корни светлоглиняной керамики ведут нас к неолитическим памятникам Западной Грузии.

Между культурой Куро-аракса II, тысячелетия и обнаруженной за последние годы на Кавказе культурой V—IV тысячелетий (Шулавери-Шому-Тепинская культура, I слой Нахичеванского Кюль-Тепе, Цхинвальская Нацаргора I и т. д.) определенный промежуток отводится материалам первого (А) слоя селища Тетри-Цкаро. Вместе с тем, поскольку между культурными слоями А и В селища Тетри-Цкаро стерильной прослойки не оказалось, а общих элементов в них больше чем достаточно, автор находит возможным предположить происхождение Куро-аракссской культуры на основе предшествовавшей ей элементов местной культуры.

На селище Тетри-Цкаро, причем в обоих культурных слоях, выявлены элементы древнейших культур Ближнего Востока, что дало автору основание предположить их распространение с Южного Кавказа к северу.

Анализ добытого при раскопках селища Тетри-Цкаро археологического материала, показывает, что изучаемое селище принадлежало оседлым земледельческо-скотоводческим племенам плоскогорья Квемо Картли, известному плодородному угодьями для земледелия и для развития скотоводства. Определенная часть населения, нужно предполагать, занималась отгонным скотоводством, остальные — обработкой земли и ремеслом, причем, налицо факты узкой специализации групп ремесленников на изготовление обсидиановых и кремневых орудий, керамических изделий, украшений и т. д.

Таким образом, вырисовывается довольно четкая картина высокоразвитой для той эпохи социальной единицы-поселения с характерным многообразием хозяйства, глубокими и широко разветвленными корнями автохтонной культуры эпох от энеолита и до позднего этапа ранней бронзы.

Трудно переоценить значение археологических открытий на селище Тетри-Цкаро для исследования генезиса Куро-аракссской культуры на Кавказе.

შემოკლებათა განმარტება

ენიმკის მოამბე — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე
სას — საანგარიშო არქეოლოგიური სესია
სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები
სმას — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
АРТ — Археологические раскопки в Триалети
АС — Археологический съезд
БГМГ — Вестник Государственного Музея Грузии
ВДИ — Вестник древней истории
ДКЮК — Древние культуры Южного Кавказа
ИВГО — Известия Всесоюзного географического общества
Изв. ГАИМК — Известия государственной академии истории материальной культуры
Изв. Аз. ФАН — Известия Азербайджанского филиала Академии наук СССР
КАН — Культура Армянского нагорья
КБНИИ — Кабардино-Балкарский научно-исследовательский институт
КСИА — Краткие сообщения Института археологии АН СССР
КСИИМК — Краткие сообщения Института истории материальной культуры АН СССР
ККМ — Коллекции Кавказского Музея
МАД — Материалы по археологии Дагестана
МАК — Материалы по археологии Кавказа
МАК I. II — Материалы к археологии Колхиды т. I, II
МИА — Материалы и исследования по археологии СССР
МИАБ — Материалы по истории Абхазии
ОАС — Отчетно-археологическая сессия
ОАК — Отчеты археологической комиссии.
СА — Советская Археология
УЗКНИИ — Ученые записки Кабардинского научно-исследовательского института

ტაბულათა ალწერილობა

I — პირველი გორასამარხის ქვაყრილი
II — პირველი გორასამარხი ქვაყრილის აღების შემდეგ
III-1 — პირველი გორასამარხის ქვით ნაგები დასაკრძალავი ორმო.
III-2 — ოთხკუთხა ნაგებობა
IV-1 — A და B ფენა, გათიშული თიხატკეპნილი იატაკით.
IV-2 — თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტები.
V-1 — მრგვალი ნაგებობა
V-2 — კულტურული ფენა ფაუნისტური მასალის ფრაგმენტებით
VI-1 — სახნისით დაკაწრული ქვები
VI-2 — „სახელოსნო“
VII-1, 2 — ნასოფლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხები
VIII — „ფარეხი“
IX-1 — „სახელოსნოში“ მოპოვებული ქვის მასალა
IX-2 — მრგვალი ნაგებობა, რომლის კედლებქვეშ აღმოჩნდა ორი მრგვალი ქვაფენილი
X-1 — მრგვალი ქვაფენილი, ზედ გადამავალი მრგვალი ნაგებობის კედელი
X-2 — მრგვალი ქვაფენილი, კედლის აღების შემდეგ; შუაში ჩამსხვრეული კერა
XI-1 — მრგვალი ნაგებობის კედლის გარეთ აღმოჩენილი როდინი
XI-2 — ნასოფლარზე აღმოჩენილი ისრისწვერები: 1 — ინვ. № 72; 2 — ინვ. № 351; 3 — ინვ. № 81; 4 — ინვ. № 439; 5 — ინვ. № 375; 6 — ინვ. № 352; 7 — ინვ. № 171; 8 — ინვ. № 463; 9 — ინვ. № 195.
XII — კერა
XIII-1 — ქორდიანი კერა შიგ ჩამსხვრეული ჰურჭლითურთ
XIII-2 — ქორდიანი კერა
XIV-1 — 1 — ინვ. № 738; 2 — ინვ. № 739; 3 — ინვ. № 740; 4 — ინვ. № 741; 5 — ეჩო; 6—B ფენაში მოპოვებული კერამიკის ნატეხები
XV-1 — მე-4 ქვაყრილი
XV-2 — კაჟისა და ობსიდიანის იარაღები: 1 — ინვ. № 620; 2 — ინვ. № 434; 3 — ინვ. № 296; 4 — ინვ. № 558; 5—ინვ. № 551; 6—ინვ. № 112; 7 — ინვ. № 516; 8—ინვ. № 629; 9—ინვ. № 878
XVI-1 — ხელცულისებრი იარაღები, ინვ № 843
XVI-2 — 1—ინვ. № 752; 2 — ინვ. № 633; 3 — ინვ. № 634; 4 — ინვ. № 649; 5 — ინვ. № 698; 6 — ინვ. № 618; 7 — ინვ. № 716; 8 — ინვ. № 613; 9 — ინვ. № 629; 10 — ინვ. № 660; 11 — ინვ. № 629
XVII — ნასოფლარზე აღმოჩენილი სასრესები, სანაყები და როდინები
XVIII-1 — მე-3 ქვაყრილი
XVIII-2 — ძირგახვრეტილი კერა
XIX — A ფენის კერამიკა
XX — A ფენის კერამიკა
XXI-2 — A ფენის კერამიკა
XXI-2 — B ფენის კერამიკა
XXII-1 — B ფენის კერამიკა
XXII-2 — A ფენის კერამიკა
XXIII — B ფენის კერამიკა

XXIV —B ფენის კერამიკა
XXV-1 — ურო
XXV-2 — ეჩო
XXVI — ქვის იარაღები გორასამარხის ქვაყრილიდან
XXVII — კაჟისა და ობსიდიანის კაჭრები
XXVIII — კაჟისა და ობსიდიანის ანატკეცები
XXIX — ობსიდიანის ისრისწვერები და ნამზადები
XXX — ობსიდიანის იარაღები
XXXI — ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები
XXXII — კაჟის იარაღები
XXXIII — ობსიდიანის ნამგლის ჩასართები მე-4 ქვაყრილიდან: 1 — ინვ. № 1086; 2 — ინვ. № 1086_{-1}; 3 —ინვ. № 1075_{-7}; 4—ინვ. № 1075_{-1}; 5 — ინვ. № 1075_{-6}; 6 — ინვ. № 1075_{-3}; 7 —ინვ. № 1075_{-3}; 8 — ინვ. № 1120; 9 — ინვ. № 1141
XXXIV — ობსიდიანის იარაღები მე-4 ქვაყრილიდან: 1 — ინვ. № 1116; 2 — ინვ. № 1075; 3-4— ინვ. № 1075_{-2}; 5 —ინვ. № 1100; 6 — ინვ. № 1075_{-5}; 7 — ინვ. № 1101; 8 — ინვ. № 1090; 9 — ინვ. № 1075; 10 — ინვ. № 1115; 11 — ინვ. № 1085; 12 — ინვ. № 1121; 13 — ინვ. № 1101_{-2};
XXXV — ობსიდიანის იარაღები მე-4 ქვაყრილიდან: 1 — ინვ. № 1109; 2 — ინვ. № 1103; 3 — ინვ. № 1113; 4 — ინვ. № 1102; 5 — ინვ. № 1104; 6 — ინვ. № 1105.

ცხრილები
Таблицы







1



2

IV

1



2

1



2

VI

1

2

1

2

VIII



1



2



1



2

1



2

XII

1



2

XIV

738

1

739

2

740

3

741

4



1 2 3 4 5 6

6

1




N645
N657
1 2 3 4 5cm

1


N752
N639
N634
N649
N698
N716
N613
N618
N629
N660
N641
1 2 3 4 5cm

2



XVII



1



2



1



2



1



2



1



2



1



2

0 1 2 3 4 5

0 5 10



1



2



1

10.

2

XXVI



1



2





2



1



2

2

1

4 sm
0
2

3 sm
0
1

0 5 cm
2

0 3 cm
1

XXXII

N 1086/2

N 1086

N 1075/7

N 1075/1

N 1075/6

N 1075/3

N 1075/3

N 1126

N 1141

XXXIV

N 1116

N 1075

N 1075/2

N 1100

N 1075/5

N 1101

N 1090

N. 1075

N 1115

N 1085

N 1121



N 1101/2

0 3 sm

N 1109



N 1103



N 1113

N 1102

N 1104

N 1105

0 3 sm

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3
ნასოფლარის ბუნებრივი გარემო და გათხრილი ძეგლების ხასიათი 5
ნაგებობათა ნაშთები 16
თიხის ნაწარმი 55
ქვის ინდუსტრიის ნაშთები 82
ლითონის ინვენტარი 109
დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი 112
Р е з ю м е 115
შემოკლებათა განმარტება 117
ტაბულათა აღწერილობა 118

Гобеджишвили Герман Феодорович

СЕЛИЩЕ ТЕТРИ ЦКАРО

(на грузинском языке)

ИБ 494

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვარი ლ. ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი დ. ე რ ი ს თ ა ვ ი

გადაეცა წარმოებას 22.8.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.1.1978;
ქაღალდის ზომა 70×108/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 13.65;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.89;
უე 01111; ტირაჟი 800; შეკვეთა № 3444;
ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060 კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი		არის	უნდა იყოს
	ზემ.	ქვემ.		
9	20	—	ტეხები	ტეხები;
55	—	1	Гера	Гере
72	—	2	Wolley	Woolley
100	—	6	deutchen	deutschen
115	13	—	Куро-аракса II	Куро-аракса III
115	—	14	плодородному	плодородными
115	1	—	а об —	а в об —

გ. გობეჯიშვილი